რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია — პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 8 ოქტომბერი 1917 წ.

# ერთობა

ფასი 12 კაპ.

Редакція «Эртоба». Тифлисъ (Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 165 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 165

[illegible] ცუცა (მარი) სამსონის ასული ქუთათელაძისა. დასაფლავება მოხდება ქ. თელავში 7 ოქტ. [illegible]

[illegible] ცუცა (მარია) სამსონის ასული ქუთათელაძის [illegible] დასაფლავება მოხდება ქ. თელავში 7 ოქტ. [illegible]

[illegible] პელაგია მახე კვიტაიშვილის ასული დიხაისი. [illegible]

[illegible] ხარება შიოს ძე იობაშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება დღეს, დილის 10 საათზე წმ. ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენებენ ანჯაფაროვის ქ. იაროსლავის შესახვევი სახლი № 2.

## ღარიბ მოწაფეთა შემწე

თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების

## საგანგებო კრების გაგრძელება

დანიშნულია, დღეს, 8 ოქტომბერს, დილის 11 საათზე, ქართულ გიმნაზიის შენობაში. კრების საგანი: გამგე კომიტეტის არჩევნები.

## განცხადება.

ქართულ კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს ამავე კლუბის წევრთ, რომ კვირას, 8 ოქტ. დღის 12 ს. დანიშნულია

## წევრთა საგანგებო კრება

განსახილველია: 40 წევრის განცხადება, მიმდინარე კითხვები, მუდმივ მოსამართლეთა არჩევნები.

## თფ. მომალაშეთა საყურადღებოთ

10 ოქტომბერს დაიწყება დროებითი სასურსათო ბარათების მიცემა კოოპერატიულ დუქნებიდან.

დროებითი სასურსათო ბარათის მისაღებათ საჭიროა წარდგენილ იქნას შაქრის ბარათი.

### ბარათის ფასი 25 კაპ.

3—1 ქალაქის სასურსათო კომიტეტი.

## თეატრი „ნაძალადევი“,

ორშაბათს, 9 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, მოწვეულია

## საზოგადო კრება

ორი საზოგადოებისა, ნაძალადევის თეატრის და სიფხიზლის საზოგადოების წევრებისა შემდეგი კითხვების გასარჩევათ: შეერთება ორივე საზოგადოების და ახალი შენობის აშენება. ვინაიდან ეს კითხვები მეტად საყურადღებოა, გამგეობა თეატრი ნაძალადევისა, საზოგადო კრების დადგენილების თანახმათ, გთხოვთ ორივე საზოგადოების წევრებს აუცილებლათ დაესწროთ.

გამგეობა.

### თავისუფალი თეატრი

(ხელოსანთა კლუბი, მიხაილოვის ქ. № 66)

კვირას, 8 ოქტომბერს, სახალხო სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება გ. ნინოშვილის მოთხრობიდან ირეთელის მიერ გადმოკეთებული ცნობილი დრამა

## ქრისტინე

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ბარნოველაშვილი, პაპუნაშვილი, კაპიაშვილი, ჩიჩუელოვა, გოგილაშვილისა; ბ-ნნი: ალ. გოგაშვილი, უტიაშვილი, სალაყაია, გელაკურაშვილი, ყანჩაველი, კაცაძე, თვალჭრელიძე, კუპრაძე და სხვანი. ბილეთები გაიყიდება კასაში ყოველ დღე დილის 10—1 საათ., საღამოს 5—8 ს-დე.

2—2 რეჟისორი ალ. გოგაშვილი.

### ბიურო

მეოთხე რაიონულ კოლექტივის რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია მე 6 საქ ქლ გიმნაზიაში (ბულვარის ქ. № 3) აქ შეიძლება გამოწერა გაზეთებისა: „ერთობა“, „ბორბა“ და „ფაიქარი“. იყიდება სხვა და სხვა ბროშიურები. ბიურო ღიაა ყოველ-დღე: 4-დან 8 ს-დე.

## ერევნის ორგანიზაცია

რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიისა იმყოფება. ასტაფიევის ქუჩა № 31. ღიაა 10—12 საათამდე დღით და 6—8 საათამდე საღამოთი.

## სახელმწიფო თეატრი

(გოლოვინის პროსპექტი)

დღეს 8 ოქტომბერს, დღის 12 საათზე

# ი. გ. წერეთელი

წაიკითხავს ლექციას რუსულ ენაზე

შემდეგ თემაზე:

## ომი და რევოლიუცია

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 9 საათიდან.

## მომავალ საბჭოთა ყრილობა

რუსეთი კრიტიკულ მდგომარეობაშია. მეომარი მოკავშირე სახელმწიფონი ერთნაირათ მოწადინებული არიან ხანგრძლივი სისხლის ღვრის ზარალი რუსეთის ხარჯზე აინაზღაურონ. შინ აწეწილ-დაწეწილი მეურნეობის გამოსწორება და ფეხზე დაყენება ისეთ გიგანტიურ შრომას და ენერგიას მოითხოვს, რომელსაც ყოველი დროებითი მთავრობის ძალღონეს აღემატება, თუნდა ის გენიალურ პიროვნებისაგან იქნეს შემდგარი. მაგრამ ის, რაც ძნელია და დამაფიქრებელი დაკვირვებული პოლიტიკური მოღვაწეებისათვის, სულ იოლი და ადვილია ბოლშევიკების უპასუხისმგებლო მეთაურთათვის. ევროპის ბურჟუაზია ჩვენ ხარჯზე აპირობს ომის გათავებას. ე. ი. რუსეთი სურს შეაწიროს გერმანიას მ. ხვეროპლათ. ბოლშევიკებს მზათ აქვთ რეცეპტი: ჩამოაგდეთ ძირს ტერეშჩენკო და საერთაშორისო საქმის წარმოება მიანდეთ ლენინს ან ზინოვიევს, ე. ი. ბოლშევიკებს. მათ იციან, არ შეიძლება არ იცოდენ, რომ რუსეთის დანაწილება პირველ ყოვლისა ზარალს მიაყენებს რუსეთის ბურჟუაზიის იმპერიალისტურ სურვილებს, კიდევ მეტი, საფრთხეში ჩააგდებს მის ნორმალურ განვითარებას, მის მომავალს.

მაგრამ ბოლშევიკებს ამ მარქსისტული შეხედულებისათვის სადა სცალიან. მათ მზათ აქვთ ფორმულა: „მთელი ძალა უფლება საბჭოებს“, და ამ ანარქისტულ ლოზუნგს უნდა შესწიროს რეალური ანალიზიც და საღი შეხედულებაც.

მთელი ქვეყანა—ბოლშევიკების აზრით, რეაქციონერთა და კონტრ-რევოლიუციონერთა ერთ დაუსრულებელ ბანაკათ გადაქცეულა. არა თუ ბურჟუაზია, თვით ესერები, მენშევიკები, გლეხთა საბჭოები და მათი ხელმძღვანელნი ყველანი თურმე კონტრ-რევოლიუციის ბანაკში მოკალათებულან, ვინაიდან მათ ლოზუნგს—საბჭოების მთავრობაში ჩაყენების შესახებ არ იზიარებენ.

მაგრამ ყველაზე საკვირველია ის, როცა ბოლშევიკები ამგვარ აცხადებენ: „დროებითი მთავრობას სურს სამოქალაქო ომის გამოწვევა ახლავე დაუყონებლივ, რათა მუშათა და სალდათთა სისხლში ჩაახრჩონ რევოლიუცია. კადეტები და მნიშვნელოვანი ნაწილი ოქტომბრისტების ცდილობენ აგრეთვე სამოქალაქო ომის გამოწვევას, რათაც უნდა დაუჯდეთ“.

როგორც ხედავთ მთელი ანტიბოლშევიკური კოალიცია სისხლის წყურვილით შეპყრობილია. არა ნაკლებ სწყურია ბრძოლა თვით ბოლშევიკებს და მათ მიმდევართ. „ალწფოთების ტალღები ქშინავს უფართესს მასებში მუშების, გლეხების და სალდათების. მუშები და სალდათები ვეღარ უძლებენ ბურჟუაზიის მიერ მასხარათ აგდებას, კაპიტალისტების გათახსირებას და სხვ.“ თვით ბოლშევიკებიც მზათ არიან წყევა-კრულვა შეუთვალონ მტერს. მაგრამ მაინც ამბობენ: „ჩვენ არ ჩავერთვებით ბრძოლაში მაშინ, როცა ეს სურს ჩვენს მტრებს. არავითარი კერძო გამოსვლები!“

რა იქმის ასეთ ლოზუნგის წინააღმდეგ?

თუ გამოსვლა აუცილებელია, დაე ის მოხდეს მაშინ, როცა მუშათა კლასს ყველაზე მეტი შანსები ექნება მისი მოგების, როცა იგი საკმაოთ მომწიფებული და დარაზმული იქნება თავდამსხმელთა მოსაგერებლათ და მტრის შესამუსრავათ. კერძო გამოსვლები, ანარქიის მოციქულნი და გამომწვევნი აჯანყებანი—ხან ტაშკენტში, ხან კამბოვში, მაშასადამე, უნდა დაგმობილ იქნას, რადგან იგინი მხოლოდ ასუსტებენ მუშათა ძალას. მაგრამ პეტროგრადის საბჭოს პირით იგივე ბოლშევიკები, საამს უძღვნიან და ღახმარებას პირდებიან ტაშკენტის მეამბოხეთ და ეს როგორ და უნდა შევურიგოთ ამ ლოზუნგებს? აშკარაა აქ საქმე სხვაა—სიტყვა სხვაა, შეუ უძევს დიდი ზღვარი.

და მართლაც, ბოლშევიკები არა თუ ცდილობენ სამოქალაქო ომის თავიდან აცილებას, არამედ თვითონაც მოწადინებული არიან ამ მოქალაქეობრივი სისხლის ღვრით განბანონ მუშათა კლასი. და ეს წყეულოვანი მოქალაქეობრივი ომის, უდიდეს საფრთხეს შეიცავს თვით მუშათა კლასისათვის. მართალია, ბოლშევიკების მოწოდება ცდილობს დაამტკიცოს, რომ კოალიციონური მთავრობა—არის მთავრობა სამოქალაქო ომის. მაგრამ განა ეს საბუთია ასეთ ომისათვის მოვიწვიოთ მუშათა კლასიც?

მუშათა კლასს უდიდესი და უძლიერესი პოლიტიკური იარაღი აქვს ხელთ მოპოვებული საშუალებით, ის იარაღი, რომელის საშუალებით, როგორც ენგელსმა აღნიშნა, გერმანიის პროლეტარიატი ძლიერდებოდა და იზრდებოდა, ხალხს იკრებდა, ლაშქარს ილაშქრებდა. ეს იარაღია საყოველთაო საარჩევნო სისტემა და კოალიციის თავისუფლება. და მუშათა კლასი ორივე ხელებით უნდა ჩაეჭიდოს ამ საშუალებებს, რათა თავის რაზმები მწყობრათ დააწყოს და კლასიური პოზიციები გაამაგროს. ქუჩაში გამოსვლა იარაღით ხელში, ეს უკიდურესი ზომაა, უკიდურესი საშუალებაა, რომლის იოლათ ხელის წამოკვრა უდიდეს დანაშაულათ ჩაეთვლება ყოველ პოლიტიკურ მოღვაწეს... ბრძოლა წინასწარ პარლამენტს—ბრძოლა მთავრობას, ბრძოლა დემოკრატიის უმეტესობას,—განა ეს ავანტიურა არ არის? განა ჰკუათამყოფელი ადამიანი ასეთ ლოზუნგებით გამოვა მასაში, რომ მას ამ მასის მართლა გამარჯვება ჰქონდეს მიზნათ და არა სიტყვების გამაბრუებელი რახა-რუხი?

და აი ამ ბრძოლის ლოზუნგების გარშემო იწვევს მომავალ საბჭოთა ყრილობას ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტი.

„შეუბრალებელი ბრძოლა გამცემლებს, რომლებიც შეთანხმების მომხრენი არიან, შეუბრალებელი კრიტიკა კოალიციური მთავრობას, მთავრობას მოქალაქობრივი ომისა და ბურჟუაზიის დიქტატურის! შეუბრალებელი გამოაშკარავება კომენდიანტურ, კონტრ-რევოლიუციონურ ბულიგინისებურ წინასწარ პარლამენტის. ბრძოლა საბჭოთა სიუზღლისთვის. მთელი ძალა-უფლება საბჭოებს. ასეთია ჩვენი გზა“.

ასე ათავებს თავის მოწოდებას ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტი.

და არ სურს შეამჩნიოს, რომ სწორეთ ამ სიტყვებში და ლოზუნგებში იმარხება მოწოდება მოქალაქობრივ ბრძოლის და ისეთ ისეთი ბრძოლის, რომელიც მუშათა კლასმა უნდა განმარტოვებით აწარმოოს ყველა დანარჩენ კლასების და ჯგუფების წინააღმდეგ.

არ უნდა შეამჩნიოს, რომ ამით იგი თვით ქადაგებს მუშათა იზოლიაციას, მათ განცალკევებას და ნიადაგს უმზადებს მუშათა სისხლის მორევში რევოლიუციის ჩახრჩობას.

ამ გზით მუშათა კლასის ნამდვილი ინტერესების გამომხატველნი ვერ წავლენ. მუშათა კლასის ინტერესები მოითხოვენ სულ წინააღმდეგს: ბურჟუაზიის იზოლიაციის მოწყვეტას, ცენზიანების განცალკევებით მათ დამარცხებას და ასე მთელი დემოკრატიის მუშათა დროშის ქვეშ მოგროვებას. აი ამ მიზანს უნდა ემსახუროს მუშათა პარტია. ამ მიზანს უნდა ემსახუროს საბჭოთა ყრილობა, თუ მას სურს რევოლიუციის ნამდვილი მესვეურობა გაუწიოს.

## საერთაშორისო სოლიდარობისაკენ

საერთაშორისო სოლიდარობას მტკიცე საფუძველი ეყრება. ინტერნაციონალური დემოკრატია კრიზისის ჩიხიდან გამოდის და იგი ჩვეულებრივ ისტორიულ გზას ადგება.

სამი წლის მსოფლიო ომმა, რომელმაც დროებით მეომარ და მოკავშირე სახელმწიფოების მუშათა კლასი ერთი-მეორეს დაუპირისპირა, მათ შორის ჩამოვარდნილი უკმაყოფილება თანდათან ქრება და ისტორიის არაქივს ბარდება.

რუსეთის დემოკრატიამ, რუსეთის რევოლიუციონურმა კლასებმა მთელი ქვეყნის დემოკრატიაზე დიდი გავლენა მოახდინა და იქ შესაფერი გამოძახილი გამოიწვია. თვით საფრანგეთის პროლეტარიატი, რომელიც საგარეო ომის მეოხებით მძიმე პირობებში იმყოფებოდა და სამშობლოს დაცვის საქმეში ბურჟუაზიასთან თანამშრომლობა დაიწყო,—დღეს იგი იმავე ბურჟუაზიას გამოეყო და ბოლოს კონგრესზე ზავი წამოაყენა და მით საერთაშორისო დემოკრატიას ძმური ხელი გაუწოდა.

ზავს ნიადაგი მოუმზადდა სხვა დანარჩენ მოკავშირეთა სახელმწიფოების მუშათა წრეებში და ყველა ერთად ომის გათავების მოტრფიალეთ გამოდიან.

ცენტრალურ სახელმწიფოებში,—გერმანია-ავსტრიაში, დაუყონებლივ ზავისადმი ლტოლვილება ამ ბოლო დროს წარმოუდგენლათ გაცხოველდა და იგი გერმანია-ავსტრიის მუშათა კლასის საყოველთაო მოთხოვნილებათ გადაიქცა.

განსაკუთრებით გერმანიაში თვით ოპორტუნისტი სოციალისტებიც კი ზავის საკითხს პირველ რიგში აყენებენ და ამ პრობლემის კეთილად დაგვირგვინების საქმეში დამოუკიდებელ სოციალისტებთან—ე. ი. ოპოზიციონერებთან კომპრომისულ შეთანხმებისათვის ემზადებიან.

ომის მეოხებით დაქსაქსული გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია ერთად შემოკრებას აპირებს, მემარჯვენე ფრთას მემარცხენე ფრთასთან დაახლოება გადაუწყვეტია და ეს დიდი საქმე პარტეიტაგისათვის მიუნდვია. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ამ წლის პარტეიტაგის გახსნა და იქ წამოყენებულ საკითხების გარჩევა-გაშუქება. გერმანიიდან მოსულ დეპეშების თანახმად ქ. ვიურსტბურგში სოციალ-დემოკრატიული წლიური ყრილობა (პარტეიტაგი) გაიხსნა, რომელზედაც სხვა მრავალ საყურადღებო საკითხებთან ერთად განხილულ იქნება სამხედრო კრედიტების უარყოფა და დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატებთან შეთანხმების საკითხი.

ყრილობის წინ მოხდა დიდებული დემონსტრაცია შეკრებილ სოციალისტთა კომპრომისულ შეთანხმების სასარგებლოთ, პარტეიტაგი პარტიულ ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარე ებერტმა გახსნა და მან მისალმებითი სიტყვაში ხაზ-გასმულათ აღნიშნა, რომ ყველა ჩვენ ზავი სწყურიათ და გერმანიის სოციალ-დემოკრატია მთელი თავისი ძალ-ღონით უნდა შეებრძოლოს გერმანიის იმპერიალისტური კლასების ჯიუტ პოლიტიკას და მას ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოუღოს.

ფაქტი დიდ მნიშვნელოვანია. გერმანიის სოციალ-დემოკრატების უმრავლესობა ოპორტუნისტულ გზას ეთხოვება და იგი საერთაშორისო სოლიდარობისაკენ მიილტვის.

რეალურმა სინამდვილემ ყველაფერი შესცვალა. ომის პირველ ხანებში და შემდეგშიაც, თუ გერმანიის სოციალ-დემოკრატების უმრავლესობა სამხედრო კრედიტებს ამტკიცებდა, ომისა და ზავის საკითხში მემარცხენე—დამოუკიდებელ სოციალისტებს ებრძოდა, დღეს იგი გამოფხიზლდა და ინტერნაციონალური სოლიდარობისაკენ ხელს იწვდის. დადგა დრო, როცა ზავის გარშემო საერთაშორისო დემოკრატია უნდა აიძრას და იგი მხოლოდ თვითონ უნდა გადასწყვიტოს. იმპერიალისტური კლასების პოლიტიკამ თავისი წრიდან წარმოშობა თავისივე პოლიტიკის უარმყოფელი ჯადოქრული ძალები და უკანასკნელი ადრე თუ გვიან ომს ბოლოს მოუღებს და ზავს ჩამოაგდებს. საერთაშორისო სოლიდარობა ძლიერდება, იგი მტკიცე ნიადაგზე მყარდება და უკანასკნელი კი იმის თავდებია, რომ რუსეთის რევოლიუციის მიერ წამოყენებულ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი—ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე დამყარებული განხორციელდება და მას მტკიცე საფუძველი ჩაეყრება. ზავის ჩამოგდება საერთაშორისო დემოკრატიის საქმეა და მისი ჩამოგდებაც მოახლოვებულია.

# ამხანაგებო!

**არ დაივიწყოთ, რომ საარჩევნო სიები დამფუძნებელ კრებისთვის გამოქვეყნებულია, რომ სიების შესწორება შეიძლება მხოლოდ 8 ოქტომბრამდე. გახსოვდეთ, რომ ვინც სიაში არ მოხვდება, ის დაკარგავს საარჩევნო უფლებას, მიიღეთ ზომები, რომ თქვენც და ყველა თქვენი ნაცნობნი აუცილებლათ შეტანილი იქნეთ სიაში. განცხადება სიაში შეტანის შესახებ უნდა წარადგინოთ შემდეგ ადგილებში, სადაც 27 სექტემბრიდან ამა წლისა ქალაქის გამგეობა გზავნის სპეციალურ პირთ, რომლებიც იქნებიან იქ დილის 10 დან შუადღის 3 ს. და საღამოს 6 დან 10 საათამდე.**

1 უბანში ქალაქის სკოლა მაჩაბელის სახლი, ოლღას ქუჩა № 52.
2 „ არტისტიულ საზოგ. საზამთრო სადგომი.
3 „ ქალაქის გამგეობა.
4 „ სახელოსნო სასწავლებელში.
5 „ ქალაქის სამკურნალო ვორონცოვის ქუჩაზე.
6 „ ნადეჟდის თავშესაფარი, რეიტერის ქუჩაზე.
7 „ ველობრის კლუბის საზამთრო შენობა.
8 „ ქალაქის სკოლა, პანასევიჩის ქუჩა.
9 „ ქალაქის სკოლა, ჩერქეზიშვილის ქუჩა № 29.
10 „ სახალხო სახლი ზუბალოვისა, კირიჩნი ქ.
11 „ ქალაქის სკოლა ჩერქეზიშვილის ქ. № 100.
12 „ ტეხნიკური რკინის გზის სასწავლებელი შერემეტიევის ქ.

**ამხანაგებო! ყოველი ზედმეტი ხმა ხელს შეუწყობს ჩვენი პარტიის გამარჯვებას და ამით დამფუძნებელ კრებაში ნამდვილ მებრძოლების გაგზავნას. გახსოვდეთ, რომ სიაში შეტანას მოითხოვს თქვენგან ს. დ. პარტია, სიაში შეტანას ითხოვს თქვენგან მოვალეობა მოქალაქის და ადამიანის. არ დაკარგოთ არც ერთი ხმა, რომელიც პარტიას და რევოლიუციას ესაჭიროება.**

# საერთაშორისო ომი

**ბალტიის ზღვაზე გერმანიის სამხედრო ფლოტი იერიშებს განაგრძობს. მან უკვე კუნძული მონი დაიკავა და რუსეთის ფლოტი იძულებული გახდა მძიმე პირობებში მტრის ფლოტს ხელიდან გასხლეტოდა. ამის შემდეგ გერმანიის ფლოტი ბალტიის ზღვის ყველა კუნძულებს მთლათ დაეპატრონა და იგი ფინის ყურეში თავისუფლათ დანავარდობს. დიას მტრის სამხედრო ფლოტი ბალტიის ზღვის ბატონ-პატრონი გახდა და პეტროგრადისაკენ გზა ხსნილი აქვს.**

**დასავლეთის ასპარეზზე ბრძოლა შეწყდა და პოზიციური შეტაკების ხასიათი მიიღო. საფრანგეთისა და ინგლისის ფრონტზე უმნიშვნელო შეტაკებები ხდება.**

**იტალია-ავსტრიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.**

# პრესა.

ახირებული ხალხი ზის „სახალხო საქმის“ რედაქციაში. ამ ბოლო დროს გულთმისნობაც დასჩემდათ. ეს კიდევ დიდი უბედურება არ იქნებოდა, რომ გულთმისნობა მხოლოდ მათი რედაქციის მომავალ სვებედს შეეხებოდეს. მაგრამ გულთმისნობა საქვეყნო საქმეში კი ვერაფერი თავდებია საკითხის გარკვევის.

აი ბილეთ თუნდა უკანასკნელი ნომერი ამ ფედერალისტთა ორგანოსი. მთელი მეთაური აშენებულია იმაზე, რომ კაკი წერეთელს და ა. ჩხენკელს კონოვალოვთან უსაუბრიათ კავკასიის შესახებ.

რა ისაუბრეს მათ, გაზეთმა არ იცის. რა აზრი გამოსთქვეს, ეს მათთვის არავის გადაუცია. მაგრამ აბა რის გულთმისნები იქნებიან, რომ მაინც ვერ მიხვდენ სოციალდემოკრატების გულისნადებსა და აი ცდილობენ კიდეც თავის ნაგულთმისნები კრიტიკის ქარცეცხლში გაატარონ.

მათთვის საკმარისია, რომ კაკი წერეთელმა და ა. ჩხენკელმა კავკასიის შესახებ ილაპარაკეს. და აი მზათაა ფედერალისტური ფილოსოფია.

„ჩვენ მივაქცევთ საზოგადოების ყურადღებას იმ პოზიციას საუბრისას, რომელსაც დაიჭერდნენ კავკასიის შვილები. ეს პრინციპი უსახო კავკასიური თვალსაზრისია. კავკასიის საკითხს შეგვიძლია მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული თვალსაზრისით შევხედოთ. ვიწამოთ კავკასიის ერები და პოლიტიკური შემოქმედება დავამყაროთ არა გეოგრაფიას, არამედ ეთნოგრაფიას“—გვასწავლის ბრძნულათ გაზეთი.

ჩვენ კი გვინდა მივაქციოთ გაზეთის ყურადღება იმ გარემოებას, რომ პოლიტიკური შემოქმედება არ ეყრდნობა არც გეოგრაფიას, არც ეტნოგრაფიას. იგი ეყრდნობა კლასთა ბრძოლას და საწარმოვო ძალთა განვითარების პრინციპს. ე. ი. სოციალურ ფაქტორს. ეს დღეს მესამე კლასის მოწაფემაც იცის და გულთმისან რედაქციისთვის მისი ცოდნა ზედმეტი არ იქნება.

* * *

იმავე გაზეთში მეპრესე გვასწავლის, რომ ერი არ შეიძლება მსხვერპლათ შეეწიროს მეორე ერის სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ჩვენ სრული თანახმა ვართ ამის, მაგრამ ჩვენ ვსვამთ სხვა საკითხს. როცა ორი ერის ბედიღბალი, მათი განვითარების, მათი მომავალის ინტერესები ისტორიული სოციალ-პოლიტიკური პირობების წყალობით ერთიმეორეზე გადაჯაჭვულია, როცა მათ ერთი გზა აქვთ გამარჯვების და ერთი გზა დაღუპვის, განა შეიძლება ერთი მათგანი მეორეს გამოეშალოს და მხოლოდ თავის თავზე იზრუნოს?

ჩვენ ვამბობთ, რომ ასეთია ჩვენი ერის და საერთოთ კავკასიის ხალხთა მდგომარეობა, ამით იგინი განსხვავდება, თუ გნებავთ ფინლიანდიის მდგომარეობიდან. ამიტომ ვამბობთ ჩვენ აქ არ შეიძლება დაისვას კითხვა ქართველი ერის ხსნაზე, თუ რუსეთის რევოლიუცია წაგებულ იქნა. ამ უკანასკნელს პირველის დაღუპვაც მოყვება. და აი ასეთ პირობებში ჩვენი ვალია რუსეთის საერთო საქმეში ენერგიული ჩარევით რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკის განმტკიცებას და მით ჩვენი ერის ქართველი ხალხის ინტერესების დაცვასაც ხელი შევუწყოთ, ცალკე ხსნის გზა ჩვენთვის არ არსებობს. რუსეთის რესპუბლიკა თუ დაინგრევა, მის ქვეშ გაისრისება საქართველოს ინტერესები. ეს აუცილებელია და ამიტომ გვმართებს არა გაქცევაზე ფიქრი, არამედ საერთო საქმის შველაზე.

აბა ვინ იტყვის, რომ ეს ერის შეწირვაა სხვისი ინტერესებისთვის? არა, ესაა დაცვა ერის იმ სწორი დემოკრატიული გზით, რომელსაც უკარნახებს დემოკრატიას სოლიდარობა ყველა ერის მუშათა კლასისა. ესაა უარყოფა ნაციონალისტური საშუალების და გზის, რომელზე შედგომა ჩვენი ხალხისთვის დამღუპველი იქნებოდა. ნაციონ. მისწრაფებამ მხოლოდ თავის ერის დახსნისაკენ—გაარღვია ფრონტი ავსტრიის რევოლიუციის 1848 წ. დაქსაქსა განმათავისუფლებელი ძალები და ბოლოს ყველა ერები გაბსბურგთა საჯიჯგნათ გახადა. ჩვენ არ გვსურს ავსტრიის შეცდომები გავიმეოროთ, ჩვენ არ გვსურს რომანოვების ახალ გამოცემის ქვეშევრდომებათ გავხდეთ და მეფობის ტვირთი ზურგზე ავიკიდოთ. აი ამიტომ ვერ გავყვებით ჩვენ ავსტრიის ერთა 1848 წლის პოლიტიკას, რომელსაც ასე თავგამოდებით გვაჩრებენ ხელში „სახალხო საქმის“ უბედო ნაციონალისტები.

ჩვენი ბედი რუსეთის რევოლიუციასთან არის შეკავშირებული. და მხოლოდ მასთან ერთათ მოგველის გამარჯვება. ასეთია გზა სოციალისტების.

# დეპეშები.

(პ. დ. ს. 7 ოქტომბერი).

**კანონ-პროექტები.**

**პეტროგრადი.** იუსტიციის სამინისტრომ დროებით მთავრობას წარუდგინა განსახილველათ პიროვნების და ბინის ხელშეუხებლობის და კორესპონდენციის საიდუმლოების დაცვის კანონ-პროექტები.

**წიგნთ-საცავ სამკითხველოებისთვის ფულის გადადება.**

**პეტროგრადი.** განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს გადასდოს 1918 წ. სახალხო წიგნთ-საცავ-სამკითხველოების გასახსნელათ 36 000 000 მანათი. აზრათ აქვთ თვითოეულ სოფლის საზოგადოებაში გახსნან თითო წიგნთ-საცავ-სამკითხველო, ამ ხანათ სულ 30.000.

**თემთა პალატა.**

**ლონდონი.** ორი თვის დასვენების შემდეგ გაიხსნა თემთა პალატა, პალატა ჯერ-ჯერობით განიხილავს წვრილ კანონ პროექტებს და შემდეგ შეუდგება მინისტრების მნიშვნელოვან განცხადებების განხილვას.

**მინისტრის ამხანაგის დანიშვნა.**

**პეტროგრადი.** ბაქოს სამხარეო სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარე გზათა ინჟინერი ბრონკოვიჩი დაინიშნა ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგათ.

**ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთათვის ფულის გადადება.**

**პეტროგრადი.** დროებითმა მთავრობამ 8 მილიონი მანეთი გადასდო ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა საჭიროების დასაკმაყოფილებლათ.

**ბოროტ-მოქმედების გამოძიება.**

**პეტროგრადი.** დროებითმა მთავრობამ სენატორ ტრეგუბოვს დაავალა გამოიძიოს ბაქოს ქალაქის გამგეობის გრადონაჩალნიკ ტოლმაჩოვის, სასნიცკის და მათი ხელქვეითების საქმის გარდა: 1) ბაქოს სასურსათო თათბირის და მიწათ-მოქმედების სამინისტროს რწმუნებულის გნედიჩის და მისი ხელქვეითების უკანონო მოქმედების საქმე. 2) შემახის რკინის გზების საზოგადოების და 3) სამხედრო, სამღვთო და სამოქალაქო პირთა ბოროტ-მოქმედების შესახებ სამხედრო საქმეზ.

**დამფუძნებელ კრების არჩევნები.**

**პეტროგრადი.** როგორც მოსულ ცნობებიდან სჩანს, 50 ოლქი უკვე მზათ არის 2 ნოემბერს მოახდინოს დამფუძნებელ კრების არჩევნები. ზოგიერთ ოლქებში და, უმეტესათ, განაპირა, ამ დროსთვის ვერ მოასწრებენ არჩევნებს, რაც წინდაწინ იცოდენ.

**სოფლის მასწავლებელთა ჯამაგირების მომატება.**

**პეტროგრადი.** სახალხო განათლების სამინისტრომ დროულათ სცნო მოუმატოს სოფლის მასწავლებლებს ჯამაგირები 100 მანეთამდე თვეში.

**გერმანიის ს.-დემ. პარტიის ყრილობა.**

**კოპენჰაგენი.** ბერლინიდან იტყობინებიან, რომ გერმანიის ს.-დემოკრატიულ ყრილობაზე პარტიის მემარცხენე ფრთის წარმომადგენელმა გოხმა შეიტანა რეზოლიუცია, უარი უთხრან მთავრობას სამხედრო კრედიტზე, უკეთუ ის არ მიემხრობა ს.-დემოკრატიის ზავის პროგრამას. რეზოლიუცია ყრილობამ 284 ხმით უარჰყო, წინაამდეგ 24 ხმისა.

**კოოპერატიული ყრილობა.**

**მოსკოვი.** სრულიად რუსეთის კოოპერატიულმა ყრილობამ დამფუძნებელ კრების არჩევნების შესახებ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც მოუწოდებს კოოპერატივებს ენერგიული მონაწილეობა მიიღონ ამ არჩევნებში.

# ომის დეპეშები.

**პეტროგრადი.** 5 ოქტომ. დასავლეთის ასპარეზზე, რუმინიისა და კავკასიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

ბალტიის ზღვაზე. საზღვაო შტაბის ცნობით მტრის სამხედრო ფლოტის იერიშების შეოხებით რუსის ჯარმა კუნძული მონი მთლათ დასტოვა. ფინლიანდიის ყურეში გერმანელების სამხედრო გემები გამოჩდენ.

**პარიზი.** 5 ოქტომ. მდ. ენის ჩრდილოეთით, ვოკლერის მაღლობებთან მტრის სასტიკი იერიშები მოვიგერიეთ.

მდ. მაასის მარჯვენა ნაპირთან და მეზონდე-შამპანში საარტილერიო სროლაა.

**ლონდონი.** 4 ოქტომ. აილიას მახლობლათ ჩვენმა მოწინავე რაზმებმა სამხედრო ტყვეები წამოიყვანეს. გარდა ამისა აქ ორივე მოწინაამდეგენი ერთმანეთს ხარბაზნის ყუმბარებს უშენენ. რეს მიდამოებში მტრის პოზიციებს თავს დაესხით და იქ მყოფ ჯარისკაცებს სროლა აუტეხეთ. ლანსის ჩრდილოეთით სამხედრო ტყვეები წამოვიყვანეთ.

ოქტაშვილის სამხრეთ-დასავლეთით მტრის ძლიერი რაზმების იერიშები მოვიგერიეთ. დანარჩენ ფრონტზე ჩვეულებრივი სროლაა.

# ახალი ამბები

კაკი წერეთელი წაიკითხავს რუსულად სახელმწიფო თეატრში დღეს ლექციას შემდეგ თემაზე: „ომი და რევოლიუცია“—დასაწყისი შუადღის 12 საათზე.

◆ **სურამიდან თფილისში** ჩამოვიდენ სურამის აღმასრულებელი კომიტეტის დავალებით დელეგატები, რომელნიც შუამდგომლობენ უმაღლეს რევოლიუციონურ ორგანოს წინაშე რათა სურამში არ იქნეს დაბინავებული 280 „სათარიგო“ პოლკი, ეს პოლკი შემდგარი უნდა იყოს სხვა და სხვა გაუქმებულ პოლკების ნაწილებისაგან. სურამში ჩამოსულა სამი აფიცერი ამ პოლკისა, რომელთაც უნდა მოუმზადონ ბინა პოლკს. მიუხედავათ იმისა, რომ სურამში არ მოიპოვება საზამთრო ბინები პოლკის მოსათავსებლათ და საშინელი კრიზისია სურსათისა, აფიცრები მაინც თხოულობენ. რომ ადგილობრივმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მოუმზადოს იმათ შესაფერი ბინები, აღმასრულებელ კომიტეტს უარი განუცხადებია.

◆ **მოწაფეთა გაფიცვა.** გუშინ თფილისში დაიწყო საშუალო სასწავლებელთა მოწაფეების გაფიცვა. მოსწავლეები მოითხოვენ პედაგოგიურ საბჭოში წარმომადგენლის ყოლის უფლებას გადამწყვეტის ხმით სამი უფროსი კლასებიდან. ამასთანავე მოითხოვენ ლათინური ენის გაკვეთილების შემცირებას, კვირაში 5 გაკვეთილის ნაცვლათ სამის დაწესებას. ზოგიერთი პედაგოგიური საბჭოები დასთანხმდენ მოწაფეთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე და საქმე გადაეცა საბოლოოდ დასამტკიცებლათ ამიერ კავკასიის სასწავლო კომიტეტს; კომიტეტმა მოწაფეთა შუამდგომლობა უარჰყო, ამიტომ პროტესტის ნიშნათ მოწაფეებმა გაფიცვა გამოაცხადეს.

◆ **დარბევის წინაამდეგ** საბრძოლველათ სრულიად რუსეთის საბჭოთა ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებული წესის თანახმად ყოველ ქალაქში უნდა შესდგეს საგანგებო კომისია, რომელშიაც შევლენ წარმომადგენლები საბჭოების, პარტიების, მუშათა და ჯარისკაცთა ორგანიზაციების, პროფესიონალური კავშირების, ადგილობრივ თვითმართველობათა და სხ. საზოგადოებრივ თუ მთავრობის დაწესებულებათა.

◆ **შემრიგებელი კამერა.** პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს კრებაზე 6 ოქტომბერს არჩეულ იქნა ცენტრალურ შემრიგებელ კამერაში ამხ. დუმბაძე (მბეჭდავთა კავშირი), კორძახია (ფარმაცევტთა კავშირი), კიკნაძე (ელექტრონის კავშირიდან), რუბცოვი (თერძებიდან), მიშა არსენიძე (იურისტი, ჟურნალისტი), პუგაჩოვი (ბეჭდვითი სიტყვის კავშირიდან), ხელაძე (თუთუნის ქარხნის მუშათა კავშირიდან), ავატკოვი (ლითონზე მომუშავეთა კავშირი), ფარჯანიძე (ოფიციანტთა კავშირიდან) და ბასილაშვილი (ადელხანოვის ქარხნიდან).

◆ ვინაიდან სავსებით დაკმაყოფილდა აფთიაქში მომუშავეთა მოთხოვნანი, იმუშავებენ შემდეგ აფთიაქებში: ოტენის, არისტაკოვის, ბენიამოვიჩი, მაკერი, ვილდერტი, დელერერი და კოხი, ზელკინი, ზილბერნიცკი, ნოვინსკი, იაკუბოვიჩი, მეფისაშვილი და შენგარდტი. იმ აფთიაქებში, რომელთა რეკვიზიცია უნდა მოხდარიყო, ჯერჯერობით გაფიცვები გრძელდება, პირველ საჭიროებისამებრ აფთიაქები ჩამორთმეული იქნება.

◆ სიტყვა-კაზმულ მწერალთა ყრილობა გაიხსნება ოფიციალურათ დღეს, 8 ოქტომბერს დილის 11 საათზე.

**კრებები და მიტინგები.**

— დღეს, ნაშუადღევის 8 საათზე ნავთლუღში რკინის გზის უბანში მოხდება საჯარო კრება. ვთხოვთ ამ საქმეში მონაწილეთ მობრძანდენ დანიშნულ დროზე მიმდინარე საქმეების გასარჩევათ.

— დღეს, დილის 9 ს. პეტრე დიდის ქ. № 18 დანიშნულია ხუროთა კავშირის წევრთა კრება.

— ორშაბათს 9 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, სავაჭრო სამეურნო ინსპექციის კანტორაში (თათრის მოედანი) დანიშნულია კრება მე-6 რაიონის რ. ს. დ. მ. პ. კოლექტივის წევრებისა.

— ორშაბათს, 9 ოქტომბერს საღამოს, 6 საათზე დანიშნულია ნაძალადევის თეატრში ამავე თეატრის და სიფხიზლის საზოგადოების წევრების საზოგადო კრება.

# კაკი წერეთლის მოხსენება

6 ოქტომბერს საოლქო კომიტეტმა ნაძალადევის თეატრში მოიწვია პარტიულ კომიტეტებისა და რაიონულ კოლექტივების წევრებისა და პროპაგანდისტთა კრება. საოლქო კომიტეტის მიზანი იყო ურთიერთის გაცნობა და აზრთა გაზიარება. კრებას დიდ-წრო გარეშე პირებიც, დარბაზში ხალხის ტევა არ იყო. თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანია, რომელმაც კრების გახსნისას განუმარტა დამსწრეთ მათი შეკრების მიზანი. მიესალმა კაკის ნაძალადევის წარმომადგენელი სადაგიშვილი. კაკიმ ვრცელი მოხსენება გააკეთა მიმდინარე მომენტზე. უპირველეს ყოვლისა მან მადლობა მოუძღვნა დამსწრეთ გულითადი მისალმება-შეხვედრისათვის და სიხარული გამოსთქვა, რომ კვლავ ეხედავ იმ მხარის მუშათა კლასს, სადაც დაიბადა და მიიღო პირველი რევოლიუციონური ნათლისღება. შემდეგ შეეხო ომის საკითხს და სთქვა, რომ ზავის დაჩქარებით ჩამოგდება, ეს მომენტის მთავარი საკითხია. ჩვენ ყოველივე ძალ-ღონით ვცდილობდით და ვცდილობთ ზავის მოახლოვებას, თქვენ იცით 14 მარტის მიმართვა, მაგრამ მან ისე ჩქარა, როგორც ჩვენ გვინდოდა ვერ გამოიწვია საერთაშორისო დემოკრატიაში გამოხმაურება. თუმცა ამ მოწოდებას უშედეგოთ მაინც არ ჩაუვლია, უკვე სჩანს ნიშნები გამოფხიზლებისა და დანარჩენ მებრძოლ სახელმწიფოთა პროლეტარიატიც თანდათან უერთდება რუსეთის რევოლიუციას ომისა და ზავის საკითხში. მაგრამ ჩვენ მარტო მოლოდინით ვერ დავკმაყოფილდებოდით, უნდა მივგვემართა პრაქტიკული ზომებისათვის და ამ მხრით პირველი ნაბიჯიც დიპლომატიას უნდა გადაედგა. ამ კითხვაში ჩვენ დავემარცხეთ ბურჟუაზია, ქვეყანა განადგურებულია, მოკავშირე და მეომარი სახელმწიფოები ჩვენ ხარჯზე ფიქრობენ ომის დათავებას და ამიტომ ომის საკითხში ცენზიანი ელემენტებიც იძულებული გახდენ მიიღონ ჩვენი დემოკრატიული პლატფორმა, ხელი აიღეს დაპყრობით პოლიტიკაზე, რევოლიუციის დასაცავათ საუკეთესო საშუალება—ეს დემოკრატიული ზავია. და როცა იმპერიალისტური ბურჟუაზია შეუდგა პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას რუსეთის ხარჯზე ზავის ჩამოსაგდებათ, პროლეტარიატის მოვალეობაა აქტიურათ ჩაერიოს გარეშე პოლიტიკაში, რუსეთმა ხელში უნდა აიღოს ინიციატივა, შეიმუშაოს პლატფორმა და წარუდგინოს იგი მოკავშირეებს, რომლებსაც არ შეუძლიათ არ მიიღონ დღეს ჩვენი წინადადება საკუთარ მუშათა კლასის ამოძრავების გამო. ამაზე შორს კი რევოლიუცია ვერ წავა, მარტო რუსეთის რევოლიუციას საკუთარ ძალით არ შეუძლია ბოლო მოუღოს ომს. იგი თავის ბურჟუაზიას აიძულებს დაადგეს დათმობის გზას, მაგრამ, ევროპის ბურჟუაზიასთან კი ვერაფერს გააწყობს, აქ უნდა ჩაერიოს თვით სახელმწიფო მთავრობა და თუ მიზანს ვერ მივაღწიეთ, უნდა ვიცოდეთ, რომ რუსეთი დაღუპვის გზაზე შედგება, ეს კარგათ უნდა გაითვალისწინოს პროლეტარიატმა.

შემდეგ ორატორი შეეხო მთავრობის ორგანიზაციის საკითხს და სთქვა, მთავრობის შედგენის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ქვეყნის ეკონომიურ პოლიტიკური მდგომარეობა. დემოკრატიული რეფორმები, წარმოებისა და განაწილების ორგანიზაცია დემოკრატიის მიერ—ეს საუკეთესო გზაა, მაგრამ ამასთანავე არ შეგვიძლია ანგარიში არ გაუწიოთ სინამდვილეს. ყველა დემოკრატმა კარგათ იცის, რომ მთავრობა უკეთესი იქნება, თუ იგი თვით დემოკრატიის წიაღიდან იქნება გამოსული. ჩვენს შორის უთანხმოებას იწვევს მხოლოდ ძალთა განწყობილების შეფასება. რევოლიუცია თავიდანვე დემოკრატიული რესპუბლიკის დროშის ქვეშ მიდიოდა. მიუხედავათ ამისა იძულებული ვიყავით დათმობის გზას დავდგომოდით და მართვა-გამგეობა ცენზიანი ელემენტებისათვის გადაგვეცა, ამასთანავე შევქმენით მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, რომ კონტროლი გაგვეწია მთავრობის მოქმედებისათვის და მიგვეცა მუშათა კლასისათვის ყველაფერი, რისი მიცემაც კი შეიძლება ბურჟუაზიულ საზოგადოების საზღვრებში. ეს მაშინ არ იწვევდა უთანხმოებას, მაგრამ დროთა განმავლობაში თვით დემოკრატიაში თავი იჩინა ცენზიანი ელემენტებისადმი [illegible] ნაწილი თავისუფლებისა და მართვა-გამგეობის საკუთარ ხელში აღების ტენდენციამ. და როცა გამოირკვა, რომ კორნილოვს მხარს უჭერდა ცენზიანი ბურჟუაზიაც, ეს ტენდენცია მეტათ გაძლიერდა. მაგრამ აქ თავი წამოყო საკითხმა, აქვს კი საკმარისი ძალა დემოკრატიას, რომ საკუთარ ხელში აიღოს მართვა-გამგეობა? ცენტრალური კომიტეტი წინააღმდეგი იყო ერთფეროვანი მთავრობისა, ვინაიდან მთელი წინანდელი მუშაობა ამტკიცებდა, რომ დემოკრატიას არ შეუძლია აწარმოოს საერთო ნაციონალური ბრძოლა. ერთხელ კიდევ რომ გაგვეთვალისწინებია ძალთა განწყობილება, მოვიწვიეთ დემოკრატიული თათბირი, სადაც გამოაშკარავდა ის, რაც მოსკოვის თათბირზე დაიწყო—პროლეტარიატისა და დემოკრატიის განცალკევება. მთავრობის შედგენის საკითხმა დემოკრატია ორათ გაჰყო. დემოკრატიამ, როგორც მთლიან ერთეულმა, ვერ გამოიჩინა მტკიცე ნება მართვა-გამგეობის ხელში ჩაგდებისათვის. მხოლოდ დემოკრატიის ერთმა ნაწილმა მოითხოვა მართვა-გამგეობის საკუთარ ხელში აღება, მეორე ნაწილი კი აუცილებლათ თვლიდა ცენზიან ელემენტებთან კოალიციას. ეს იყო ობიექტიური მდგომარეობის გამოხატვა. რუსეთში პროლეტარიატის დროშის ქვეშ დემოკრატიის გაერთიანების პროცესი არ დამთავრებულა, იგი არ წარმოადგენს მთლიან ერთეულს. და ვინაიდან ეს საშუალო ნაწილი—წვრილი დემოკრატიული ბურჟუაზია ყველა ეპოქაში სჭრიდა რევოლიუციის ბედს, ცხადია, ჩვენც ანგარიში უნდა გაუწიოთ მას. ქალაქისა და სოფლის დემოკრატია თავის თავს მოუმზადებლათ აღიარებს, მას არა აქვს თავის იმედი, მას შეუძლებლათ მიაჩნია პროლეტარიატთან შეერთება, ვინაიდან კარგათ იცის, რომ უკანასკნელი არ დაკმაყოფილდება დემოკრატიული რეფორმებით და გასწევს წინ თავის კლასიური მიზნების განსახორციელებლათ, ესე იგი სოციალიზმის გზაზე, დემოკრატია კი ვერ შესძლებს საკუთარ ძალით მის შეჩერებას. და ვინაიდან დემოკრატიას ძალა არ შესწევს პროლეტარიატთან ბლოკში საკუთარი მიმართულება იქონიოს და მეორეს მხრით მას არა აქვს ნდობა და სურვილი პროლეტარიატის საბოლოო კლასობრივ მიზნებს გაჰყვეს, იგი ეუბნება პროლეტარიატს, შევკრავ შენთან ბლოკს, თუ ამ ბლოკში შემოიყვანთ ბურჟუაზიასაც. იმათ იციან, რომ პროლეტარიატი ბურჟუაზიაში შეხვდება მოწინააღმდეგეს, პროლეტარიატის მოძრაობის შემაფერხებელ ძალათ. იგი ცენზიან ბურჟუაზიას აღიარებს. პროლეტარიატმა რომ წინათ არ უარყო კოალიცია, ამით მან ხელი შეუწყო ყველა ცოცხალ ძალთა გაერთიანებას და ეს გაერთიანება ფხიზელი დარაჯი იყო რევოლიუციისა. და როცა დადგა საკითხი ამ გაერთიანების მოსპობის შესახებ, მუშათა კლასს დაუყენეს ალტერნატივა, ან აიღე საკუთარ ხელში მართვა-გამგეობა, ან მიიღე ბლოკი ცენზიან ელემენტებთანო. თუ ამ ჟამათ დემოკრატია უარს ამბობს მართვა-გამგეობის საკუთარ ხელში აღებაზე, უკვე შორს არაა ის დრო, როცა იგი ხელში ჩაიგდებს მართვა-გამგეობას. უკვე მოეწყო ქალაქისა და სოფლის დემოკრატიის ორგანიზაციები თვითმართველობების სახით, რაიც მთავარი საბუთია მათი გაძლიერების და პოლიტიკური გაწვრთნის.

როცა ამბობენ, რევოლიუციამ პროლეტარიატს არაფერი მისცაო, ეს არ არის მართალი, ამას ამბობენ ისინი, ვინც ყველა ინტერესებზე მაღლა დროებით ნივთიერ ინტერესებს აყენებენ და არა საზოგადო კლასიურ ინტერესებს. დღევანდელ პირობებში კი პროლეტარიატისათვის სხვა გვარი მოპოვებანი უფრო ძვირფასია. ასეთია თავისუფლება და ორგანიზაციების მოწყობის შესაძლებლობა. საყოველთაო საარჩევნო უფლება—ეს ყველაზე უდიდესი მოპოვებაა, როგორიც კი შეეძლო მიეღო პროლეტარიატს თვითმპყრობელობით განაწამებ რუსეთში. ამ მოპოვებათა საშუალებით როგორც პროლეტარიატმა ისე საერთოდ დემოკრატიამ სულ სხვა სახე მიიღო და მალე დადგება დრო, როცა მართვა-გამგეობას ხელში აიღებს ის დემოკრატიული ბურჟუაზია, რომლის არ არსებობა აფერხებდა რუსეთში განმათავისუფლებელ მოძრაობას და დღესაც აძნელებს რევოლიუციის მსვლელობას. ჩვენ ვიცით, რომ შეთანხმების პოლიტიკა არ არის იდეალური, მაგრამ რუსეთში არ აღმოჩნდა მართვა-გამგეობის მემკვიდრე. აქ იყო კარგათ შეკავშირებული ბურჟუაზია, შეუკავშირებელი, მოუმწიფებელი დემოკრატია და მომზადებული, გაწვრთნილი პროლეტარიატი. რუსეთის ცხოვრებამ ვერ შექმნა ძალა, რომელსაც უნდა აეღო ხელში მართვა-გამგეობა და ამის გამო პროლეტარიატი იძულებული შეიქმნა მსხვერპლი გაეღო—შესულიყო კოალიციაში და მით გაენაწილებია მთელი პასუხისმგებლობა და სიმძიმე თანამედროვე მდგომარეობისა. ამ წინააღმდეგობის დაძლევა შეიძლება მხოლოდ რევოლიუციის პროცესში, და მე ღრმათ ვარ დარწმუნებული, თუ თავიდან ავიცილეთ სამოქალაქო ომი და ყველა ძალები დაუქსაქსველათ მივიყვანეთ დამფუძნებელ კრებამდე—ჩვენ მივაღწევთ მომენტს, როცა დემოკრატია ცენზიან ბურჟუაზიის გარეშეც შესძლებს ქვეყნის მართვას. აი სწორეთ ამან გვაიძულა ჩვენ დავეთანხმებულიყავით კოალიციას, ფორმის მხრით დღევანდელი კოალიცია არ გან-

# უკანასკნელი ფოსტა

პეტროგრადის გაზეთები ბევრსა სწერენ იმ „პაგრომების" შესახებ, რომლებმაც ამ უკანასკნელ ხანებში ფართო ხასიათი მიიღო მთელს რუსეთში. „უწყებანი" სწერს: ჩვენ კვლავ კრიტიკულ მდგომარეობაში ვიმყოფებით. ბევრია იმის ნიშნები, რომ რევოლიუციის შემდეგი განვითარება საფრთხეშია. უნდა ზომები იქნას მიღებული, რომ მთავარი მიზეზი ქვეყნის უბედურებისა—ომი შეწყვეტილი იქნას. „რაბოჩ. გაზ." ეხება რუსეთში ებრაელების დარბევის საკითხს და სწერს, რომ ეს მოვლენა რევოლიუციის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. დემოკრატიამ ყოველივე საშუალება უნდა იხმაროს, რომ რევოლიუციას ეს საფრთხე თავიდან აიცილოს.

პეტროგრადის დაცლა 12 ოქტომბრიდან დაიწყება. ბანკები გადაიქვთ მოსკოვში, ნიჟნი-ნოვგოროდში და სარატოვში. დამფუძნებელი კრება მოსკოვში იქნება მოწვეული.

პარიზის კონფერენცია 3 ნოემბრისთვის გადაიდო. საბჭოთა ცენტრალური კომიტეტის აზრით კონფერენციაზე უნდა გაგზავნილ იქნენ: ორი მუშა და ორი გლეხი. ყაზახებიც მოითხოვენ ერთი წარმომადგენლის გაგზავნას.

გენერალ კორნილოვის საქმე ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით გაირჩევა.

მთავრობამ ნება დართო უკრაინელთა ჯარების 15 დივიზიის ნაციონალიზაცია მოახდინონ.

---

სხვადასხვა წინანდელი კოალიციისაგან მაგრამ დღეს იძულებული შევიქენით შეგვექმნა წინასწარი პარლამენტი, სადაც უმრავლესობა დემოკრატიის წარმომადგენლებია და მხოლოდ მცირე ნაწილია ბურჟუაზიული ელემენტების. ბურჟუაზია ცდილობდა განეცალკევებინა მთავრობა საზოგადოებისაგან. ეს კი გამოიწვევდა კონტრ-რევოლიუციურ გამოსვლებს მარჯვნით და ანარქო-სინდიკალისტურ მოძრაობას მარცხნით. ამიტომ ჩვენ შევქმენით წინასწარი პარლამენტი, რომ მის წინაში პასუხის მგებელი გაგვეხადა მთავრობა. როგორიც არ უნდა იყოს მათ შორის ფორმალური დამოკიდებულება ფაქტიურად, მთავრობა უნდა დაემორჩილოს წინასწარ პარლამენტს, იგი იძლევა გარანტიათა მაქსიმუმს სამოქალაქო ომის თავიდან ასაშორებლათ. წინათ ჩვენ ქუჩაში გამოსვლით ვახდენდით გავლენას მთავრობაზე. არ უარვყოფთ რა ამ ფაქტიურ ძალას, ჩვენ ამასთანევე გვინდოდა მოგვეწყო ისეთი ორგანო, რომელიც ქუჩაში გამოსვლამდე გაუწევდა კონტროლს მთავრობის მოქმედებას. ასეთი ორგანოა წინასწარ პარლამენტი. შეიძლება ეს არც იყოს გარანტია ყოველ-გვარ შემთხვევათა თავიდან ასაცილებლათ. მე ვიცი, ყველა რევოლიუციებში იყო მომენტი, როცა პროლეტარიატი, იძულებული გახდა დაეცვა თავისი დროშის სიწმინდე და სახელი. ყოველთვის ბურჟუაზია ცდილობდა პროლეტარიატის განცალკევებას და როცა აღწევდა ამ მიზანს, პროლეტარიატს სისხლში ახრჩობდა. შეიძლება ეს მომენტი დადგეს რუსეთის რევოლიუციაშიაც. მაშინ პროლეტარიატი უნდა გადაეშვას ბრძოლაში და მის ხელმძღვანელებმაც თავი დასდვან პროლეტარიატის დროშის სახელის და სიწმინდის დასაცავათ, იმ აზრით, რომ შემდეგი შთამომავლობა მაინც განაგრძობს მათ გზას... მაგრამ ჩვენში არ დამდგარა ჯერ ეს უკიდურესი მომენტი, პროლეტარიატი ჯერ კიდევ არ არის განცალკევებული და უნდა ყოველივე საშუალებით შევეცადოთ, რომ ეს განცალკევება არ მოხდეს, რომ შევძლოთ რევოლიუციის გამარჯვებით დაგვირგვინება. ჩვენ ვიცით, რომ ერთი ნაწილი პროლეტარიატისა ამბობს, რათ არ გვიხმობენ საბრძოლველათო. მაგრამ არის მეორე ნაწილი, რომელიც იზიარებს ჩვენს პოლიტიკას. დღეს შეუძლებელია პროლეტარიატის გამოცალკევება, მისი დიდი ნაწილი საშინელ აპატიითა შეპყრობილი. ამას ამტკიცებს თუნდ ის გარემოებაც, რომ თვით ბოლშევიკების კრებებსაც სულ რამდენიმე კაცები ესწრება. ისინი ვერ გრძნობენ, რომ მათი მისწრაფებანი განხორციელდება ამხედრებულა არა მარტო ბურჟუაზიას, არამედ—დემოკრატიასაც კი. და სანამ არის იმედი ჩვენი პოლიტიკის წარმოებისა, ეს არამც თუ დაიცავს პროლეტარიატის ღირსებას, რევოლიუციასაც მიიყვანს დამფუძნებელ კრებამდე. ეს კი ნახევარი გამარჯვებაა, იქ გადაიჭრება ყველა საყურადღებო კითხვები. და მაშინ პროლეტარიატი დაინახავს, რომ მისი ინტერესები სისწორით გაიგეს იმათ, ვინც ქვეყანა დემოკრატიულ რესპუბლიკამდე მიიყვანა და არა იმ მყვირალა ხელმძღვანელებმა, რომლებიც ბევრს პირდებიან პროლეტარიატს, მაგრამ იგი მიყავთ მხოლოდ დამარცხებისაკენ, როგორც ეს მოიმოქმედეს 3—5 ივლისს. შეიძლება ჩვენი პოლიტიკა არ ბრწყინავდეს გარედან, მაგრამ იგი დამფუძნებელ კრებამდე მიგვიყვანს. მეორე პოლიტიკას კი 3—4 ივლისის ამბებამდე მივყავართ. ამ პოლიტიკით ჩვენ დამარცხებამდე მივიყვანდით პროლეტარიატს და კლასი კი დამარცხებას არავის არ აპატიებს... იგი საბოლოოთ ჩამოგვშორდება და ეს უფრო საშიშია, ვინემ რყევით გამოწვეული წუთიერ გატაცებათა გამო პოპულარობის დაკარგვა. და ჩვენც შევსწირავთ ჩვენს პოპულარობას, ოღონდ პროლეტარიატმა კი გაიმარჯვოს საბოლოოთ... მეორე პოლიტიკა კი დამარცხება განადგურებისაკენ მიგვიქანებს... და, რა მოსაზრებებიდან გამოვდიოდით ჩვენ, როცა ვსწყვეტდით მთავრობის შედგენის საკითხს. (ხანგრძლივი ტაში). მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ნოე ჟორდანიამ, აკაკი ჩხენკელმა და სხვა ამხანაგებმა.

### ნოე ჟორდანიას სიტყვა.

ამხ. კაკი ამბობს, რომ რუსეთში არ აღმოჩნდა დემოკრატია, რომელიც შესძლებდა მართვა-გამგეობის ხელში აღებას. ეს ფაქტის საქმეა და ამაზე არ შევჩერდებით. მაგრამ როგორი უნდა იქნეს დღეს ჩვენი ტაქტიკა? ჩვენ მომავალის პარტია ვართ. მაგრამ მარტო საბოლოო მიზნებს თუ გავუწევთ ანგარიში, ამით მოვსწყდებით სინამდვილეს და მაქსიმალისტებათ გადავიქცევოდით. მარტო აწმყოთი თუ დავკმაყოფილდებოდით, მაშინ უბრალო დემოკრატიულ პარტიათ გარდავიქმნებოდით. სწორი ტაქტიკა მოითხოვს ამ ორი მომენტის შეთანხმებას, შეერთებას. ჩვენ ვამტყუნებდით ლიკვიდატორებს, რომლებიც ვერ ითვალისწინებდენ მომავალს და ოპორტუნიზმში ვარდებოდნენ. ბოლშევიკები კი არსებულ მდგომარეობას არ უწევდენ ანგარიშს და ანარქიზმს უერთდებოდენ. თუ წერეთელი აღნიშნავს, რომ ჩვენ აქ გვყავს პროლეტარიატის დროშის ქვეშ გაერთიანებული დემოკრატია, ეს იმის გამო მოხდა, რომ ჩვენ აქ ვაწარმოებდით დამოუკიდებელ პოლიტიკას, მაშასადამე ასეთივე პოლიტიკა უნდა ვაწარმოვოთ რუსეთშიაც. მე კი დღეს რუსეთში ვერ ვხედავ ამ, ასე ვთქვათ, კავკასიურ ხაზს. ჩვენი ამხანაგები იქ რჩებოდნენ ლიკვიდატორების გავლენის ქვეშ. საზოგადოება იყოფა კლასებათ. არის ბურჟუაზია, პროლეტარიატი, არის მათ შუა მესამე ნაწილიც, რომელიც ყოველთვის სწყვეტს რევოლიუციის ბედს. ძირითადი მარქსისტული ტაქტიკა მოითხოვს ამ ნაწილის თავისკენ მიმხრობას. პეტროგრადში კი მენშევიკები ცდილობდნენ მის ჩამოშორებას და ბურჟუაზიის ბანაკში გადასროლას, თუ იგი ნაწილი წვრილ ბურჟუაზიულია და არ არის მომზადებული, რომ ჩაიგდოს ხელში მართვა-გამგეობა, საჭიროა მისი მიმხრობა. ჩვენ კი ჩვენი ტაქტიკით წინააღმდეგს ვაკეთებდით. და აი, სწორეთ აქ არის ძირითადი შეცდომა. და თუ მაინც ვერ შევსძლებდით დემოკრატიის მიმხრობას, ჩვენ მაშინ ჩამოვიშორებდით ყოველგვარ პასუხისმგებლობას და პროლეტარიატიც არ აღმოჩნდებოდა განცალკევებული, ჩვენ მაშინ გადავდიოდით მთავრობის ოპოზიციაში. მაშინ მივიღებდით ისეთივე განწყობილებას, როგორიც აქ არის. ამას ივიწყებენ ჩვენები და პეტროგრადში სულ სხვაგვარათ მოქმედობენ. მე-19 საუკუნის ყველა რევოლიუციებში მუშათა კლასი ბოლშევიკური ტენდენციებით იყო გატაცებული. ეს სტიქიაა მუშათა კლასისა და რომ ჩვენშიაც არ გაძლიერდეს ეს ტენდენციები, საჭიროა ჩვენი ტაქტიკით შევაჩეროთ მუშათა კლასი მავნე გამოსვლებისაგან. მოსკოვის თათბირმა გააძლიერა ერთის მხრით ბოლშევიზმი და მეორეს მხრით კადეტები. დემოკრატიულ თათბირზე ჩვენ ვიცავდით საშუალო მიმდინარეობას, რომელიც მოითხოვდა დემოკრატიულ მთავრობას, ვინაიდან ეს გვიხსნიდა როგორც კონტრ-რევოლიუციისაგან, ისე ანარქიზმისაგან. ამით ნიადაგს გამოვაცლიდით ბოლშევიზმს, მთელი მუშათა კურია, პროფესიონალური კავშირები კოალიციის წინააღმდეგი იყვნენ. კოალიციის მხარის დაჭერით ჩვენ კავშირს გავწყვეტდით მათთან, ამით გავაძლიერებდით ბოლშევიზმს და საფრთხეში ჩავაგდებდით რევოლიუციას. ცენზიან ბურჟუაზიას ძლიერ უნდა, რომ ჩვენ ვიბრძოლოთ ტყვიებით და არა ტაქტიკით. მაგრამ ჩვენ ამ შეცდომას არ დაუშვებთ. რადგანაც ბრძოლაა საშუალო ნაწილის—დემოკრატიისათვის—ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ იგი ჩვენს მხარეზე გადმოვიყვანოთ. ეს გვიხსნის ჩვენ როგორც აწმყოს პარტიას, ვინაიდან იხსნის რევოლიუციას, და როგორც მომავალის პარტიას, ვინაიდან მოამზადებს მასსას, ურომლისათაც შეუძლებელია სოციალური რევოლიუციის მოხდენა.

### აკაკი ჩხენკელის სიტყვა.

როცა მე აქედან რუსეთში მივდიოდი, მეც თქვენი შეხედულების ვიყავი, მაგრამ დღეს კაკის შეხედულებას ვიზიარებ. მოსკოვის თათბირზე არავინ არ ყოფილა კოალიციის წინააღმდეგი. მაგრამ კორნილოვის გამოსვლა მიიღეს, როგორც ბურჟუაზიის გადასვლა კონტრ-რევოლიუციონერთა ბანაკში და მოითხოვეს მართვა-გამგეობის საკუთარ ხელში აღება. მაგრამ შეცდომა იქნება თუ ჩვენ კორნილოვის გამოსვლას მარტო ბურჟუაზიის მოქმედებას მივაწერთ. თვით საზოგადოების ფართო ნაწილი გულ გრილათ შეხვდა კორნილოვის გამოსვლას, ვინაიდან იგი ანგარიშს უწევს ფაქტებს და ფაქტები კი იმას ამბობენ, რომ რევოლიუციამ ვერ შესძლო ვერც ერთი საყურადღებო კითხვის გადაჭრა, მან ვერ ჩამოაგდო ზავი, ვერ დაიცვა ქვეყანა გარეშე საფრთხისაგან, ვერ მოსპო ეკონომიური არევ-დარევა და სხვ. და სანამ ეს მიზეზები არ გაქრება, ჩვენ მუდამ ვიქნებით კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლების საფრთხის წინაშე. დემოკრატიულ თათბირზე გამოაშკარავდა დემოკრატიის უძლურება. მან უარი განაცხადა მართვა-გამგეობის ხელში ჩაგდებაზე, მას არ აღმოაჩნდა საამისო ძალა. ამხ. ნოე ჟორდანია ამბობს, თუ ვერ გადმოვიყვანდით დემოკრატიას ჩვენს მხარეზე, პასუხისმგებლობასაც ჩამოვიშორებდით, ვაწარმოებდით საკუთარ პოლიტიკას და ოპოზიციაში ჩავუდგებოდით მთავრობასო, მაგრამ მაშინ ჩვენ ვერ ავაშორებდით 3—4 ივლისის ამბებს სრულიათ რუსეთის მასშტაბით. ჩვენ ამას ვერ ვიზამდით. ცხადია, დარჩა ერთად ერთი გზა: ან უნდა შემდგარიყო მთავრობა საბჭოებისაგან, ან წმინდა ბურჟუაზიული. საბჭოების ხელში მართვა-გამგეობის გადასვლა—ეს უკანასკნელი საშუალებაა. ვერ შევადგენდით ვერც ბურჟუაზიულ მთავრობას, მაშასადამე, უნდა შეგვედგინა კოალიციური მთავრობა. ამხ. ნოე ჟორდანია ამბობს, რომ დემოკრატია არ წარმოადგენს შეკავშირებულ მთელს, ეს ფაქტია და ფაქტის შესახებ არ ვიდავებთ. მაგრამ უნდა გამოვიდეთ თუ არა ამ ფაქტებიდან? და ჩვენი გამოსავალი ჩვენც არ მიგვაჩნია იდეალურათ, მაგრამ მას ერთადერთი მიზანი აქვს—რევოლიუციის მიყვანა დამფუძნებელ კრებამდე.

### ელეგია აწმყოსი

დაფიქრებული, ცხოვრების გზაზე,
ვიდოდა ჯარი დაჩაგრულების,
ბრძოლის თავხედურ საყვირის ხმაზე,
დგებოდა სია დაკარგულების.
საბედისწერო სისხლის ზღვის დენა
და გამარჯვება—ერთმანეთს სდევდა.
ლოლიტით გვქონდა პირადი ლხენა
და ორგულობათ უკან მოხედვა.
ჩვენ ორნი ერთად ვადგენდით მიზანს,
კითხვებს ვარკვევდით თავდავიწყებით,—
ხვალინდელი დღე თუ რას მოგვიტანს,
უცნობ მერმისში თუ სად ვიქნებით...

—

განხორციელდა! ტკბილმა ოცნებამ,
ხომ ხედავ, ჩემო, ფრთები აისხა!
ხალხის ზღვა-ცრემლმა, კვნესა-გოდებამ
შავ განწირული საჯარო რისხვა!
და ძლევის წმიდა ემბლემით თავში
თავისუფლება ამოლოცინდა.
ვინ გიცქერს ცხლა მაგ უცხრულ თვალში?
ვის ეტკბობ მზერით?.. მე შენთან მინდა!

**ფახამანი.**

---

მოვებდით საკუთარ პოლიტიკას და ოპოზიციაში ჩავუდგებოდით მთავრობასო, მაგრამ მაშინ ჩვენ ვერ ავაშორებდით 3—4 ივლისის ამბებს სრულიათ რუსეთის მასშტაბით. ჩვენ ამას ვერ ვიზამდით. ცხადია, დარჩა ერთად ერთი გზა: ან უნდა შემდგარიყო მთავრობა საბჭოებისაგან, ან წმინდა ბურჟუაზიული. საბჭოების ხელში მართვა-გამგეობის გადასვლა—ეს უკანასკნელი საშუალებაა. ვერ შევადგენდით ვერც ბურჟუაზიულ მთავრობას, მაშასადამე, უნდა შეგვედგინა კოალიციური მთავრობა. ამხ. ნოე ჟორდანია ამბობს, რომ დემოკრატია არ წარმოადგენს შეკავშირებულ მთელს, ეს ფაქტია და ფაქტის შესახებ არ ვიდავებთ. მაგრამ უნდა გამოვიდეთ თუ არა ამ ფაქტებიდან? და ჩვენი გამოსავალი ჩვენც არ მიგვაჩნია იდეალურათ, მაგრამ მას ერთადერთი მიზანი აქვს—რევოლიუციის მიყვანა დამფუძნებელ კრებამდე.

### კაკის საპასუხო სიტყვა.

საპასუხო სიტყვაში კაკი არ ეთანხმება ნოე ჟორდანიას შეხედულებას რუსეთის დემოკრატიის ჩამორჩენის მიზეზების ახსნაში. სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ცენტრი კავკასიაში არის საქართველო, კერძოდ ქუთაისისა და თფილისის გუბერნიები. თვით ნოე ჟორდანია გვასწავლიდა ჩვენ, რომ ისტორიულ პირობების გამო ჩვენ არ გვყავდა მსხვილი ბურჟუაზია და პროლეტარიატმა შესძლო თავის დროშის ქვეშ მთელი მასსის შემოკრება, თქვენ აქ შეგიძლიათ პროლეტარიატის გეგემონია აღიაროთ, მაგრამ რუსეთში ეს შეუძლებელია. იქ რომ სოციალისტებმა აიღონ სახელმწიფოს სადავე ხელში—უნდა განახორციელონ ყველა მოთხოვნილებანი, თვით სოციალიზმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავის თავის სიკვდილს გამოაშკარავებდენ ან ბურჟუაზიულ პარტიათ გადაიქცეოდენ. რუსეთში სოციალისტები არ არიან მდგომარეობის ბატონ პატრონი, მართალია ბურჟუაზია არასოდეს არ მიდიოდა დემოკრატიული პლატფორმის ქვეშ, მაგრამ რევოლიუციის დროს იგი იძულებულია ანგარიში გაუწიოს დემოკრატიის მოთხოვნილებას, ასე მოხდა ჩვენშიც. ყველა იმ საკითხებში, რომელთა ჩვენი თვალსაზრისით გადაჭრის დროს შეიძლებოდა მასსის ჩამოშორება ბურჟუაზიაზე, ბურჟუაზია ჩვენ წინააღმდეგ არ გამოდიოდა. ასეთია მაგ. ომისა და ზავის საკითხი. მე არა მწამს, რომ ბურჟუაზია დაინტერესებული იყოს ამ საკითხში მიიღოს დემ. პლატ., მაგრამ იგი იძულებულია ეს ჩაიდინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მას ჩამოვაშორებდით დემოკრატიას. ერთი დაკვრით არ შეიძლება ყველა მოთხოვნილებათა განხორციელება, ერთფეროვანი მთავრობაც ვერაფერს გახდებოდა, იგი საბჭოების მთავრობათ იქცეოდა, ვინაიდან დემოკრატიას არ აღმოაჩნდა მართვა-გამგეობისადმი მისწრაფება. რომ ჩვენ პასუხისმგებლობა თავიდან ჩამოვიშოროთ, როგორც ამხ. ნოე ჟორდანია გვეუბნება, მაშინ ბურჟუაზია აიღებდა ხელში მართვა-გამგეობას და მისი მაქსიმალისტური მოთხოვნილებანი გააძლიერებდა ანარქისტულ მოძრაობას, პროვოკაციის მსხვერპლათ გახდიდა მუშებს. მე მომხრე ვარ კოალიციის, მაგრამ ბურჟუაზია ისე მძულს, როგორც თქვენ... მაგრამ გრძნობით ხელმძღვანელობა პოლიტიკაში არ შეიძლება. ჩემი ტაქტიკა გამომდინარეობს რევოლიუციის გამარჯვების ობიექტიურ შესაძლებლობისაგან, და თუ ჩვენ დღეს ვშორდებით მუშებს, ეს იმიტომ, რომ ვიხსნათ მუშათა კლასი განსაცდელისაგან. შესაძლებელია ამით ვერ დავიხსნათ რევოლიუცია, მაგრამ გამარჯვების ყველაზე მეტ გარანტიას მაინც ეს გვაძლევს. ისე უნდა მივიყვანოთ რევოლიუცია დამფუძნებელ კრებამდე, რომ არ დავასუსტოთ პროლეტარიატის ძალა. თუ პროლეტარიატი მაინც განცალკევდა და გადაეშვა ბრძოლაში, ეკვეთა მტერს, მაშინ ჩვენც არ გვექნება სხვა ადგილი, თუ არა მასთან ერთად ბრძოლა. მაგრამ ჯერ არ დამდგარა ეს მომენტი და მის თავიდან ასაცილებლათ რევოლიუციისა და თვით პროლეტარიატის გამარჯვების გულისათვის ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია ტაქტიკით სიბრძნე, თუნდაც ამან იმსხვერპლოს ჩვენი პოპულარობა. (ხანგრძლივი ტაში და ოვაციები).

**ვანო.**

# პროვინციის ქრონიკა.

**ბ. ბორჯომი.** ბორჯომის სახელოსნო სასწავლებლის დროებითი გამგეთ აირჩიეს გ. ვაშაკიძე, მასწავლებლად თ. პაიჩო. სახელოსნო სასწავლებელთან არსებულ ნორმალურ სასწავლებლის გამგეთ ნოე დევიძე, მასწავლებლათ დ. არევაძე და ა. პატაპოვი.

— რკინის გზის სამმართველოს გადაუწყვეტია ბაკურიანის რკინის გზის აყრა. ამის გამო ბორჯომიდან გაემგზავრა თფილისში დეპუტაცია, რათა ეს გადაწყვეტილება არ იქნას სისრულეში მოყვანილი.

**ბათუმი.** 4 ოქტომბერს ქუთაისიდან ჩამოსულებმა ზოგიერთმა ჯარისკაცებმა ჩამოიტანეს იქ ნაძარცვი საქონელი, ერთს კი სიჩქარის გამო წამოედო სხვადასხვა ფეხის ბატინკები, რომლის მყიდველი მაშინ არავინ აღმოჩნდა.

**ოზურგეთი.** 15 ოქტომბერს დილით კვირას, 11 საათზე ქ. ოზურგეთში დანიშნულია ახალ თეატრის დარბაზში გურიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა წლიური კრება. დღის წესრიგი: განხილვა და დამტკიცება გასული 1916 წლის ანგარიშისა; განხილვა და დამტკიცება ამა 1917 წ. ხარჯთა აღრიცხვისა; რწმუნების მიცემა საბჭოსადმი შესახებ უძრავ მამულების შეძენისა და საკუთარი ბაღის მამულის მიღებისა შემწირველი კნ. ნინო თავდგირიძისაგან; არჩევა საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრებისა ნაცვლად იმათი, ვისაც რიგით გამოსვლა უწევს; არჩევა და მიღება საზოგადოების ახალი წევრებისა. გამგეობა.

— 1 ოქტომბ. გაიხსნა ოზურგეთის შერეული ტიპის გიმნაზია. გახსნას მრავალი ხალხი დაესწრო. მგრძნობიარე სიტყვები წარმოსთქვეს—ქალაქის გამგეობის სახელით ქალაქის თავმა ვიქ. დღონტმა, გურიის ცენტრ. სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის პრეზიდიუმისა და აგრეთვე სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის სახელით მიხ. საბაშვილმა პაჟუკ მარქსისტმა—ამხ. ვას. ჩიტაიშვილმა და გიმნაზიის დირექტორმა ამხ. ილ. ცეცხლაძემ. სტუმრები მიპატიჟებული იქნენ ჩაიზე, სადაც შეგროვდა შეწირულებაც.

— ამავე დღეს გაიმართა გურიის სახალხო მასწავლებელთა კრება, რომელსაც წევრთა სიცოტავის გამო დაერქვა თათბირი. სხვათა შორის გაირჩა კითხვა გაფიცვის შესახებ; ფედერალისტები იცავდენ გაფიცვას. წინააღმდეგ ილაპარაკეს ბევრმა—მ. რამიშვილმა, მ. საბაშვილმა და სხვებმა. თათბირმა მიიღო მიხ. საბაშვილის მიერ წარმდგენილი რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია, რომ კრება ხაზს უსვამს მასწავლებელთა უსაშინლეს ნივთიერ გაჭირვებას, რაზედაც მიაქცევს მთავრობის ყურადღებას, მაგრამ წინააღმდეგია გაფიცვის, რადგან დღევანდელ პირობებში გაფიცვა ლახვარს ჩასცემდა გულში რევოლიუციას და სხვა.

— 30 სექტ. ადგილობრივ ინტერპარტიულ კლუბში წაიკითხეს ლექციები ნაციონალ-დემოკრატებმა: ვას. წერეთელმა და ილ. ქლენტმა. პირველმა „ეროვნულ-დემოკრ. პარტიის ძირითადი საფუძვლებზე" და მეორემ ნაციონალურ კითხვაზე. ბოლოს გაიმართა კამათი. ოპონენტებათ გამოვიდენ ს.-დემ. ყარ. ქარცივაძე და მიხ. საბაშვილი, ს.-რ. ქორქაშვილი და ს. ფ. გვახარია და დოლიძე. კამათი გაგრძელდა ღამის 2 საათამდე.

— მოხდა რეორგანიზაცია მაზრის მართვა-გამგეობაში. ნაცვლად სამი წევრისაგან შემდგარ კომისარიატისა არჩეულ იქნა ერთი სამაზრო კომისარი—ოფიცერი პრ. დოლიძე (ამხ.), რომელიც ითვლება სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტისა და მთავრობის ადმინისტრატიულ დავალებათა აღმასრულებლად. უმთავრესი ძალა-უფლება რჩება სამაზრო აღმ. კომიტეტის ხელში, რომელსაც ხელმძღვანელობს პრეზიდიუმი. პრეზიდიუმის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ვიქ. დღონტი, მის ამხანაგათ ამხ. მიხ. საბაშვილი, მდივნათ ს.-რ. შ. პოპუა. ოზურგეთის რაიონის კომისართ მოწვეულია პავლე ცინცაძე, რომელიც უკვე შეუდგა მოვალეობის აღსრულებას.

— სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ივ. მ. დღონტი. საერობო კომისიაში არჩეულ იქნა ვიქ. დღონტი, დ. თალაკვაძე, მ. საბაშვილი, გ. შილაკაძე, ნ. დოლიძე, ივ. კონსტ. დღონტი და სხვები.

— ამ დღეებში აქ გაიმართა „ფინჯანი ჩაი" და ვახშამი გურიის ცენტრალური სოც.-დემ. კომიტეტის სასარგებლოთ.

— ოზურგეთის მუშათა და სალდათთა დეპუტატის საბჭოს თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. გიორ. შილაკაძე.

**ხად ნატანები.** სადგურ ნატანებში გაიხსნა უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველო. როგორც ახალი დაწესებულება, ის ამ ხანად ვერ არის რიგზე მოწყობილი და ბევრ რამეს საჭიროებს. ადგილობრივ მცხოვრებთ იმდენი შეძლება არა აქვთ, რომ რაიმე დახმარება გაუწიონ სამკითხველოს. საჭიროა გარეშე დახმარება. ახლო მომავალში აქ გაიხსნება კოოპერატიული სასადილო. ამბობენ აგრეთვე, რომ ჩქარა ოზურგეთსა და ნატანებს შუა ავტომობილების მიმოსვლა დაიწყება.

**ხვანჭკარის საზოგადოება (რაჭა).** 16 სექტემბერს ს. ხვანჭკარაში ფოსტალიონმა ყიფიანმა და ფრუიძემ, რომლებიც ლენინით ძალზე გალეშილები იყვნენ სცემეს ადგილობრივ კომისარს ტყეშელაშვილს. როცა ეს იქვე ახლოს მყოფმა გლეხებმა გაიგეს, მისცვივდენ ზოგი თოფით, ზოგი კეტით და უნდოდათ თვითგასამართლება მოეხდინათ, მაგრამ კომისარმა დიდი სულგრძელობა გამოიჩინა და გადაარჩინა სიკვდილს მისი შეურაცხმყოფელნი. საჭიროა [illegible] დირსეულათ დაისაჯონ [illegible].

**ხ. ხარაღაული (ქუთ.).** აქ არსებობს ერთ კლასიანი სამინისტრო სკოლა, წიგნთსაცავ სამკითხველო და კოოპერატივი. ხალხი სწავლა-განათლებას ხარბათ ეწაფება. განმანთავისუფლებელმა მოძრაობამ აქაც გამოაფხიზლა ხალხი, შესდგა მკითხველთა წრე. ხშირათ ლექციებს კითხულობენ. ხალხი ხალისით ისმენს ყოველივე საგულისხმიერო სიტყვას.

# ოზურგეთის ქალაქის საბჭო.

საბჭომ 25 სექტემბრის სხდომაზე დაადგინა: 50% გაუდიდეს ჯამაგირები მოსამსახურეთ, ამათ შორის ქალაქის მილიციონერებსაც; უარი ეთქვას ქალაქის თავის ყოფილ თანაშემწეს ჯაყელს 458 მ. 24 კ. მიცემაზე, რომელიც ვითომდა მიუღებელი აქვს მას ჯამაგირის ანგარიშში; აპ. წულაძეს განცხადება ყოფილ ქალაქის ექიმ პოლოშვილზე (1905 წ. მსახურებდა) დანაკლისი ჯამაგირის 600 მან. მიცემის შესახებ უყურადღებოთ იქნას დატოვებული;—მიღებული იქნა ქალაქის თავის მოხსენება სასურსათო საქმის შესახებ, არჩეული იქნა საბჭოს წარმომადგენლები საქალაქო სასურსათო კომიტეტში. მოწონებული და დამტკიცებული იქნა მისივე მოხსენება ქონებათა ხელ-ახალი შეფასებისა და შეფასებითი გადასახადის 10%-მდე გადიდების შესახებ; მიღებული იქნა აგრეთვე მისივე მოხსენება ქალაქიდან გასულ და შემოსული საქონლის სად. ნატანებში ფუთზე 1 კაპეიკით დაბეგვრის შესახებ, მიღებული იქნა აგრეთვე დადგენილება ოზურგეთის მეურმეთა კანტორის საშვალებით გაზიდულ და შემოზიდულ საქონლის ოზურგეთშივე 2—კაპ. დაბეგვრის შესახებ; უკანასკნელათ არჩეულ იქნა ქალ. გამგეობის მესამე წევრათ ამხ. ილ. ლომაძე (16 თ.—8—შავი) და საბჭოს მდივნათ ამხ. ივ. კონსტ. დღონტი (20 თ.) ჯამაგირი დაენიშნათ ორთავეს 200—200 მ. თვეში.

# გერმანიის ს.-დემოკრატია

(1914—1917 წლამდე).

გერმანიის ს.-დემოკრატიულ პარტიის გამგეობამ ამას წინეთ გამოაქვეყნა ანგარიში 1914—1917 წ. პარტიის მდგომარეობის შესახებ პარტიის ცხოვრების სახ. მიმოხილვაში ანგარიშის ავტორები იგონებენ იმ ლამაზ სიტყვებს, რომლებსაც გერმანიის ს.-დემოკრატიულ პარტიის ბელადები ხარჯავდენ. როცა არა ლამაზ საქმეს აკეთებდენ, მუდამ, როცა იგინი ხმებს აძლევდენ სამხედრო კრედიტს, ამ[illegible]დენ, რომ ამით არ უნდა ისარგებლოს მთავრობამ და მტაცებლობის პოლიტიკა არ აწარმოოს, რომ ომი დაუყოვნებლივ უნდა გათავდეს, როცა ამას მოწინააღმდეგენი მოისურვებენ და სხვა. პარტიის გამგეობა აღნიშნავს, რომ პარტიამ ზავის სასარგებლოთ დიდი ნაბიჯი გადასდგა, როცა 19 ივლისს რეიხსტაგმა რეზოლიუცია მიიღო. ამ რეზოლიუციით რეიხსტაგმა თითქოს მიიღო უანექსიო ზავი, მაგრამ ნამდვილათ კი, ისე გამოდიოდა, რომ კურლიანდია ნემცების ხელში რჩებოდა. რომ რეიხსტაგს ეს რეზოლიუცია მიეღო, ს.-დემოკრატიამ კიდევ ხმა მისცა სამხედრო კრედიტს.

ანგარიშში ნათქვამია, რომ ს.-დემოკრატია იცავს ხალხის თვით-გამორკვევის იდეას, მაგრამ ის ნებას არ მისცემს, რომ გერმანიისთვის ასეთ დემოკრატიულ მოთხოვნების სისრულეში მოყვანა სხვა ქვეყნების ბურჟუაზიულ მთავრობებს საქმეთ გადაიქცეს.

შემდეგ ანგარიშის ავტორები აღნიშნავენ, რომ პარტიამ პროფესიონალურ კავშირებთან ერთად ბევრი იმუშავა სასურსათო საქმეზე. ჯერ კიდევ 1914 წლის 13 აგვისტოს პარტიამ წარუდგინა მთავრობას ყოველ მხრივ შემუშავებული სასურსათო საქმის მოწყობის შესახებ გეგმა. ს. დემოკრატიის პოლიტიკურ ორგანიზაციებში წევრთა რიცხვი იყო:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1914 წ. | -1085305 | ამათში მუშ. ქალ. ტ. კ. | 174754 |
| 1915 — | 585898 | — — — — | 134603 |
| 1916 — | 432618 | — — — — | 112418 |
| 1917 — | 242061 | — — — — | 66608 |

წევრთა რიცხვის შემცირებასთან ერთად შემცირდა პარტიულ ორგანოების რიცხვიც 91 დან 80-მდე.

# ბაქოს პროლეტარიატი

ბაქოს პროლეტარიატმა გაიმარჯვა. რამდენიმე თვის განმავლობაში სწარმოებდა ბრძოლა კოლექტიური ხელშეკრულობის გარშემო. პოზიციებს თანდათან სთმობდენ კაპიტალისტები და როდესაც გადაუჭრელი დარჩა ის პუნქტები, რომელთა შესახებ ვერ შეთანხმდენ, რომელთა შესახებაც არც ერთი მხარე არ სთმობდა არც ერთ ნაბიჯს—მუშათა მასსამ მიმართა ერთ უკანასკნელ საშვალებას—გაფიცვას. მეტის მეტათ უხნდღებოლდათ ბაქოს მუშებს ასეთ იერიშების მიტანა, ამას ისინი კარგათ გრძნობდენ, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო, ყველა სხვა გზები დახშული იყო.

გაფიცვამ გამარჯვება მოიტანა, დიდია ნაყოფი ამ გამარჯვებისა, ვინაიდან ის დროებით საშვალებას აძლევს ბაქოს მუშებს თავი დაიღწიონ, დროებით მაინც, შიმშილობას, მაგრამ ამას გარდა, ამ გაფიცვამ ნათლათ

დაგვანახვა, თუ როგორი შეკავშირებული ყოფილა ბაქოს პროლეტარიატი. მუშათა კლასის მოსისხლე მტრებმაც კი უნდა აღიარონ ბაქოს პროლეტარიატის შეკავშირება. პროლეტარიატმა გაიმარჯვა, მაგრამ ერთი წუთითაც მან არ უნდა დაივიწყოს, რომ ეს გამარჯვება შეკავშირების ნაყოფია და ორგანიზაციის შესუსტება ამ ჟამათ, ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ხელიდან გაუშვას პროლეტარიატმა ის, რაც მან მოიპოვა. წინანდელზე უფრო მხნეთ უნდა მოეჭიდოს ხელი პროლეტარიატმა პროფესიონალურ და პოლიტიკურ ორგანიზაციებში მუშაობას. ყველა ნაკლებათ შეგნებულთ, ზანტ მუშებს და ერთი სიტყვით ყველა იმათ, რომლებმაც ამ გაფიცვის შემდეგ კიდეც დაისვენეს, აი სწორეთ ამათ უნდა მოვუწოდოთ შეკავშირებისაკენ და ავუხსნათ, რომ მხოლოდ ორგანიზაცია, ცოდნა და ძალა გვანიჭებს გამარჯვებას. (ს. დ.).

## სოც.-დემ. პარტიაში.

(მოხსენებიდან)

ყვირილა-შორაპანის რაიონში ჯერ კიდევ რეაქციის დროს იყო პარტიული მუშაობა (არა ლეგალური). ამ რაიონში ითვლებოდა მაშინ 6—7 პარტიული „იაჩეიკა"—120 მდე პარტიის წევრით. ამ დროს პარტიულ მუშაობას სათავეში ედგა სოც. დემ. კოლექტივი, 7 წევრისაგან შემდგარი. ადგილობრივი პარტიული ამხანაგები და კოლექტივი მეტ ყურადღებას აქცევდენ პარტიულ ლიტერატურის გავრცელებას, კოოპერატივის გარშემო მუშების შემოკრებას და ზოგიერთ საერთო კითხვებზე სხვა ამხანაგებთან ერთად გამოხმაურებას. ასეთ მდგომარეობაში იყო ყვირილა-შორაპანში პარტიული მუშაობა რევოლიუციის დასაწყისში. მარტის პირველ რიცხვებში ძველმა კოლექტივმა მოუწოდა პარტიის გარეშე დარჩენილ მუშებს და თანამოაზრეებს ჩაწერილიყვნენ პარტიაში, რასაც მუშები დიდის სიხარულით შეხვდნენ; 20 მარტს 1917 წ. კოლექტივმა მოიწვია პარტიული საზოგადო კრება, სადაც სხვა კითხვებთან ერთად დასმული იყო რაიონული კომიტეტის არჩევნები; კრებამ აირჩია რაიონული კომიტეტი 9 კაცისაგან. ამ კომიტეტს უნდა გაეწია ხელმძღვანელობა მთელი მაზრისათვის გარდა ჭიათურისა და საჩხერის რაიონებისა. ამ დროიდან იწყება ფართო პარტიული მუშაობა როგორც დაბა ქალაქებში, ისე სოფლებში. ყველა სოფლებში კომიტეტმა დაარსა სოც. დემოკრატიული ბიუროები. ამ ბიუროებში შედიან სოფლებიდან საუკეთესო ძალები. ბიუროს შემადგენლობა პირველ ხანებში 20—30-მდე იყო. შემდეგში თანდათან იზრდება. ამ ბიუროების დახმარებით ხდებოდა არჩევნები სოფლებში. ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ არჩევნებში ყველგან სოც. დემ. პარტია გამოდიოდა გამარჯვებული. ეს იყო რევოლიუციის პირველ თვეებში, როდესაც არსდებოდა სოფლებში და რაიონებში ადმინისტრაციული კომიტეტები. ამ ხანებში არსდება ამ რაიონებში პარტიული წრეები, სადაც სისტემატიურათ სწარმოებს პარტიული მეცადინეობა. ასეთი წრეები არის დაარსებული ყვირ. რემონტის მუშებში, ყვირ. დეპოს მუშებში, ყვირ. ნოქარ-შეგირდ ხელოსნებში; შორაპნის დეპოს მუშებში; შორაპნის რემონტის მუშებში, ძირულა-ბელოგორის; მოლითი-მარელისას; ძირულაში „შრომის" ქარხანაში, ქინდორის მუშებში; სულ 18 წრე ითვლება. ამას გარდა ყვირილა-შორაპნის რაიონულ კომიტეტის ხელმძღვანელობით დაარსდა ჩხარსა და ბელოგორში რაიონის დამხმარე კომიტეტები; ეს უკანასკნელნი მუშაობენ ყვირილა შორაპნის რაიონულ კომიტეტის დირექტივების მიხედვით. აგრეთვე, ყვირილაში არსებობს ახალგაზრდა მარქსისტთა წრე, რომელშიაც 80 წევრია. დროგამოშვებით ყვირილა შორაპანში იმართებოდა კომიტეტის ხელმძღვანელობით ლექცია-რეფერატები. სოფლებში და ადგილობრივათ—ქალაქში, რაიონულმა კომიტეტმა გამართა მთელი რიგი მიტინგებისა. მიტინგები იმართებოდა სოფლებში არჩევნების წინა დღეებში და ყველა ის არჩევნები თავდებოდა სოციალ-დემოკრატების გამარჯვებით. მაგალითისათვის მოვიყვანთ კავკასიის საოლქო ყრილობას (მუშათა, გლეხთა და მასწავლებელთა დელეგატების ყრილობაში); თვითეულ ამ ყრილობებზე ჩვენი რაიონულ სოც. დემ. კომიტეტის დაუღალავი შრომით იგზავნებოდა მთელი მაზრიდან 50—60-მდე დელეგატი.

ახლა, როდესაც დამფუძნებელ კრების არჩევნების სამზადისში ვართ, ყვირილა-შორაპნის რაიონულმა კომიტეტმა გადადგა ერთი საყურადღებო ნაბიჯი: იქნას გამართული ყველა სოფლებში ადგილობრივათ დამფუძნებელ კრებისათვის საარჩევნო აგიტაციები, სადაც ჩვენი პროპაგანდისტები უნდა გამოდიოდნენ პარტიული პლატფორმით. ამ მიზნით ყვირილა-შორაპნის კომიტ. თავის პროპაგანდისტთა საშვალებით უკვე შემოიარა ბელოგორის და ჩხარის რაიონები და 2 კვირის განმავლობაში ამ 2 რაიონში გაიმართა 40-მდე მიტინგი. ამ მიტინგებზე საზოგადოება დიდი აღტაცებით ხვდებოდა და სიტყვას აძლევდა ჩვენს პროპაგანდისტებს,—გარდა სოც.-დემოკრატებისა ხმას არავის არ მისცემენ. დარჩენილია ყვირილის რაიონი, რომელიც პირველ რიგში დგას და განზრახულია ასეთივე სოც.-დემ. „ტურნე" გაიმართოს ამ რაიონშიც. ამავე დროს ქალაქის ხმოსანთა არჩევნები კარზე გვადგია და ეს არჩევნებიც ყვირილა-შორაპნის კომიტეტის ხელმძღვანელობით გამარჯვებით უნდა დასრულდეს. რაც შეეხება პარტიულ წევრთა ზრდას უნდა აღინიშნოს, რომ ბევრია მსურველი პარტიაში ჩაწერისა და ყოველთვიურათ იზრდება პარტიის წევრთა რიცხვი. ჯერ კიდევ მარტის დამლევს 500-მდე წევრი ითვლებოდა პარტიაში. შემდეგ 4 ივნისის საზოგადო ანგარიშის მიხედვით პარტიის წევრთა რაოდენობა გაზრდილა 1260-მდე, შემდეგ უკანასკნელი 24 სექტემბრის პარტიული კრების ანგარიშების მიხედვით პარტიის წევრთა რიცხვი იყო 1400-მდე.

ყვირილა შორაპნ. კომიტეტის ფინანსიური მხარე ასეთია: შემოსავალი არის 1368 მ. 70 კ. გასავალი 845 მ. 60 კ. დარჩა 523 მ. 10 კაპ. №.

ოზურგეთი. 24 სექტემბერს შესდგა ოზურგეთის რაიონის ს. დ. მ. პ. რაიონული კრება; ასარჩევი იყო დელეგატები ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების ს. დ. მ. პ. საოლქო ყრილობაზე დასასწრებლათ. სანამ დელეგატებს აირჩევდნენ მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გ. შილაკაძემ.

მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა შესაფერი რეზოლიუცია. ი. ეკაშვილი.

## მუშათა შორის.

ფოტოგრაფთა შორის. ამას წინათ ფოტოგრაფებმა წარმოუდგინეს მოთხოვნილება ხაზეინებს ჯამაგირების მომატების შესახებ. ცხოვრების გაძვირების გამო ხაზეინებმა სამართლიანათ იცნეს მოთხოვნილება და დააკმაყოფილეს კიდეც. გამონაკლის შეადგენენ მხოლოდ სამი ხაზეინები: პ. ბ. კლარი (სასახლის ქ. № 5); ბაბალოვი (მიხეილის ქ. № 22) და ალახვერდოვი (ალაზნის ქ. და ღვინის აღმართი). მათ შორის უფრო საყურადღებოა ბ. კლარი, ერთი უმდიდრესთაგან ფოტოგრაფიის პატრონთა შორის, რომლის შესახებ გამოირკვა, რომ ის თურმე არ აძლევს მომუშავეებს თავის დროზე ჯამაგირს. სტამბების მომუშავე პროფესიონალური კავშირის გამგეობამ დაადგინა გამოაცხადოს ადგილები ზემოაღნიშნულ ფოტოგრაფებთან ბოიკოტ ქვეშ და სთხოვოს ყველას, ვინც თანაუგრძნობს მუშების სამართლიან მოთხოვნილებებს, არ მისცენ სამუშაო ზემო ჩამოთვლილ ფოტოგრაფებს. მომრიგებელ კამერაშიაც არ მოისურვეს საქმის კითხვების გადაცემა.

## ჯარის-კაცთა წერილები.

წითელი ფრონტიდან. 21 სექტემბერს მე-5 სამთო ბატარეასთან არსებულ რ. ს. დ. მ. პ. ადგილობრივ ორგანიზაციამ მოიწვია პარტიული კრება. კრებას საკმაო წევრნი დაესწრენ. თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. თ. თევდორაძე, მის ამხ. ბ. ჯავახია. კრების მიზანი იყო გაგვეცნო დღევანდელი მიმდინარე მომენტი. ამ თემაზე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ლეონ. დემურიამ. შემდეგ მოკლე და შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ა. ფერაძემ. ამხ. ი. მეპვარიანმა წარმოსთქვა სიტყვა და გაუთვალისწინა კრებას კონტრ-რევოლიუციონერების თავხედობა. სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. კრებამ აღუთქვა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვან სისხლით მოპოვებული თავისუფლება. მასთან აღინიშნა ამხ. ილიკო ქუთათელაძის ნაძირალების მიერ ვერაგული მკვლელობა და აღნიშნა აგრეთვე მისი მოღვაწეობა და ბრძოლა თავისუფლებისათვის. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ამხ. ილიკოს ხსოვნას და ზიზღი გამოუცხადა მკვლელებს. დასასრულ მოხსენება გააკეთა ამხ. გ. გოგორიშვილმა პარტიული მუშაობის შესახებ.

ჯარისკაცი ა. მახარაძე.

ჩემს ღრმა გულისწყრომას და აღშფოთებას გამოვსთქვამ დაუვიწყარ ამხანაგ იოსებ ალექსის ძე ქადარიას უდროოვოთ ტრაგიკულათ სიკვდილის გამო, ზიზღი და კრულვა ბნელეთის წარმომადგენლებს, რომელთა ბოროტმა ხელმა უდროვოთ მოგლიჯა ტანჯულ ხალხს დაუღალავი მუშაკი იოსები.

ოსმალეთის ფრონტის ჯარისკაცი 491 ქვეითი პოლკისა პარმენ ქანთარია.

## პროვინციის ცხოვრება

ზემო აჭარა. გასულ ზაფხულში აჭარაში ყოფნის დროს, მუსულმან ამხანაგ ქალებს დაუპირდი წერა-კითხვის, კრა-კერვის და ხელსაქმის სწავლებას. ამ მიზნით გაზეთის საშუალებით ქართველ საზოგადოებას ვსთხოვე მატერიალური დახმარება აღმოეჩინათ ხელ-საქმის მასალების და სასწავლო ნივთების საყიდლათ. სამი პირისაგან მივიღე შემოწირულება: სოფიო სვიმონოვისაგან ქართული მეთოდი კრა-კერვის თვით მასწავლებელი, მათ მიერ შედგენილი, ბრძოლის ველზე მყოფ პრაპორშჩიკების პ. გ. ტაბიძისა და ს. ვ. გაბუნიასაგან ერთი თუმანი, თ. ჩ. წიგნები და რვეულები. აღნიშნულ პირებს დიდ მადლობას ვუწირავ. ჩემ დაპირებულ ქალებს დაპირება შევასრულე, მაგრამ, სამწუხაროთ, ბევრი ვერაფერი გავაკეთე. ზაფხულობით მათთან სისტემატიურათ მეცადინეობა შეუძლებელია. შრომის მძიმე უღელი, რომელიც მათ ზაფხულობით კისერზე ადგიათ, შეუძლებელს ხდის მეცადინეობას. საზოგადოთ, ქალებს მეტი შრომა აწევთ კისერზე, ვინემ კაცებს. მამაკაცების მეტი წილი გასართობ ადგილებში ქალაქლისა და ნარდის თამაშობაში ატარებენ დროს. დედაკაცები კი ყანა-ველებში დადიან და მთელი ოჯახური საქმეებიც მათ კისერზეა. ძალიან წარმოსადგენია აჭარელი ქალების დაჩაგრული მდგომარეობა: მონობა, უუფლებობა და მძიმე შრომა მათი ხვედრია, ამიტომ ხშირათ შეხვდებით ახალგაზრდა ქალებს, უდროვოთ დაუძლურებულ-დაკუტებულებს. საბრალო ქალებიც თითქო შეჩვეულია ასეთ მდგომარეობას. ბევრია ისეთები, რომლებიც არ არიან კმაყოფილნი ბედით, მაგრამ როგორ და რანაირათ გაიუმჯობესონ მდგომარეობა, ვერ წარმოუდგენიათ. ანდა რა ქნან საწყლებმა, როცა თვით სარწმუნოებაც ყოველივე თავისუფლებას ართმევს მათ და ნებას აძლევს მამაკაცებს განუსაზღვრელი უფლებით იბატონონ დედაკაცზე. ქალი მონაა მამაკაცის. რაც უნდა უხეირო, უმსგავსო ქმარი ჰყავდეს ქალს, არა აქვს ნება ქმარი დაიწუნოს და სხვას გაჰყვეს, კაცისათვის კი საკმარისია უბრალო რამეზე გაჯავრდეს და ქალი მშობლებს მიუგდოს. ან კიდევ, როცა ქალი უძლური ხდება მძიმე აუტანელ შრომისაგან, ქმარი მშობლებთან გზავნის. მას კი სხვა მოჰყავს და არაფერსაც არ აძლევს. საგონებელში ჩააგდო მამაკაცები ახალმა კანონმა, რომლითაც ქალებს ეძლევათ უფლება მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში. „არ შეიძლება, ბატონო, ქალებმა თავის ქმრებს „დაუწუნონ" და ისე მისცენ ხმა, სულ ერთია—ჩვენი ქალები კაცების წინაშე ვერ წავლენ, მათ ჩვენი „შერიათი" ნებას არ აძლევს ასეთი საქმეებისათვის",—ხშირათ ეკითხებიან აჭარლები ახალი მთავრობის წარმომადგენლებს, მაგრამ როცა უარს მიიღებენ, უკმაყოფილონი რჩებიან. ამიტომ ბევრი მუშაობაა საჭირო, რომ ჩვენი დაჩაგრული დები თავისუფლების გზაზედ გამოვიდნენ. ორჯერ გავმართეთ წარმოდგენა, რაც პირველია აჭარაში. მონაწილეობას ღებულობდენ აჭარელი ბავშვები, რომლებიც წამოყვანილია ბათუმში სასწავლოდ მღ. ბესარიონ ლოლიძის მიერ. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო და კარგი შთაბეჭდილებაც მოახდინა. „როდის გვასეირნებთ კიდევ" მეკითხებოდენ აჭარლები. გავმართეთ წარმოდგენა ქალებისათვისაც, მაგრამ რადგან წარმოდგენის დარბაზი ახლოს იყო ბაზარზე, ამისათვის მამაკაცებმა ნება არ მისცეს ქალებს წარმოდგენაზე დასწრების, თუმცა ქალებს ძალიან გულით უნდოდათ. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: თანდათანობით ეცლება ნიადაგი ბევრ ცრუ მორწმუნეობას, რომლებსაც სარწმუნოებასთან ჰქონდა კავშირი. ძველად თუ სკოლას უკავშირებდენ ჩაცმა დახურვას და ტანისამოსის სხვანაირად შეკერვას ურიდებოდენ, დღეს კი სიამოვნებით შეიკერავს ვიწრო შარვლები და ხალათები, აგრეთვე საზაფხულო ქუდებიც, რომლის ტარებაც წინათ დიდი ცოდვა იყო. მეც სიამოვნებით ვუკეთებდი ყველას, ვინც კი მოისურვებდა. ვსწუხვარ, რომ აჭარაში ნაყოფიერი შრომის დრო დაება და მე კი იძულებული ვხდები დავტოვო ჩემი მოწაფე და მეგობარი ქალები, გამოთხოვის დროს ბევრი ცრემლი დავღვარეთ, ძალიან შევეჩვიეთ ერთმანეთს. დაშორებამ გული დამწყვიტა.

მასწ. მარიამ დოლიძისა.

ხიდაური (გურია). მოხდა არაჩვეულებრივი კრება ხიდაურის მომხმარებელ საზოგადოება „ჩვენი საქმე"-ს წევრებისა. სარევიზიო კომისიის წევრმა კონსტანტინე როყვამ გააკეთა მოხსენება: 9 იანვრიდან 1 აგვისტომდე ამა 1917 წ. კოოპერატივის ანგარიშისა; აღმოჩნდა შემდეგი: კოოპერატივს და განყოფილებას ერთად მოუგია ყოველივე ხარჯების გარდა 1602 მ. 60 კაპ. კასირის მოწვევა კრებამ უარყო. ახალ განყოფილების შესახებ კრებამ დაადგინა: გახსნილ იქნას იქაც ხაფართალი განყოფილება, სახარაზოში, გადიდებულ იქნას მომუშავეთა რიცხვი. ზოგიერთებმა მოითხოვა საქონელზე მოგების 9 პროც: მოკლება, მაგრამ კრებამ ხმის უმეტესობით დასტოვა ისევ 20 კაპ. მოგებები ხარჯებიანათ, შემდეგ არჩეულ იქნა გამგეობა.

მოგებებიდან 10 პროც. კრებამ გადასდო სათადარიგო თანხისათვის, დანარჩენი გადასცა განაწილდეს წევრებზე პაის და მიხედვით და გადაირიცხოს პაის ფულში; კრებამ დაადგინა აგრეთვე კოოპერატივმა იჯარით აიღოს გურიელის წისქვილი და ამისათვის აირჩია კომისია. ხიმონ ჯორბენაძე.

## ცემის სავაჭრო კომიტეტის ანგარიში

(დასასრული).

კომიტეტმა პირდაპირ მოვალეობათ დაისახა ცხოვრებაში გატარებინა საგუბერნიო კომისარიატის გამოცემული და ბორჯომის სარაიონო კომიტეტის დადასტურებული განკარგულება, რომ ყოველგვარი სპეკულიაცია ბინებზე კანონით დასჯილი იქნებოდა. ამ მიზნით ჩამოიარა ყველა ბინები და შეჰკრიბა ცნობები; აღმოჩნდა სპეკულიაციის ოთხი შემთხვევა. ყველას გამოუცხადა, რომ მათ არა აქვთ უფლება აიღონ იმაზე მეტი ფასი ოთახში, რასაც თითონ იხდიან. ყველა დაემორჩილა განკარგულებას გარდა ერთისა, მ. ხვილი სპეკულიანტისა, რომლის საქმის გარჩევაში საჭირო გახდა ბორჯომის ადმინისტრაციული კომიტეტის ჩარევა. ბოლოს ამ ნინაგმაც მოიხადა ქედი, მაგრამ გვიანღა იყო. კომიტეტმა მოასწრო და მხოლოდ ერთს მის მდგმურს ქ. ლევანდოვსკის ჩამოართვა 200 მ. საქმის გამორკვევამდე, დანარჩენებს, ზოგს დაუვაგეგეით, ზოგს მეპატრონე სპეკულიანტმა დასტოვა ბინის ქირები. ეს ფული საგანგებო კომისიამ ასე განაწილა: 70 მ. მოტყუებულ გლეხს, 92 მ. ლევანდოვსკის ქალს, როგორც დირექტორის ზედმეტი გადახდილი და 38 მან. დამქირავებელს, რაც უკვე სისრულეში იქნა მოყვანილი.

ოთახების ფასი დღითი-დღე იზრდებოდა; უბრალო სარდაფი 150 მ. ქირავდებოდა. იგივე დამლევს სასიმინდე გაქირავდა 100 მ. კომიტეტი ამის წინააღმდეგ ბრძოლაში უძლური იყო და გულხელ დაკრეფილი შესცქეროდა ამ სამინელებას. სეზონის დასაწყისში ნ. ჟორდანიამ დეპეშით გამოგზავნა განკარგულება, ბინებზე ნიხრი დააწესებინათ, მაგრამ ეს განკარგულება მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. რამდენჯერმე მივმართეთ ვისაც ჯერ არს, რომ საზღვარი დაედვათ ამისათვის, მაგრამ ხმა არავინ გაგვცა. წელს რაც იყო იყო. მომავლისათვის მაინც საჭიროა თადარიგი დროზე დავიჭიროთ.

ქუთაისის გიმნაზიის მოწაფის კ. კეცხოველის მეთაურობით შესდგა სათეატრო კომისია, რომელმაც კომიტეტის ხელმძღვანელობით მოაწყო საზაფხულო თეატრი; მადლობის ღირსნი არიან სასოფლო კომიტეტი, რომელმაც ნება დაგვრთო პარკში თეატრის აშენებისა და მასალა ტყიდან მუქთად დაგვითმო; პავლე გოგოლაძე, რომელმაც ფიცრები გვათხოვა უფასოთ და პავლე ჩაჩანიძე, რომელმაც თავის კალოებს თავი მიანება და ექვსი დღე სცენის აშენებაზე იმუშავა. სულ გაიმართა სამი წარმოდგენა, ამათში ერთი საქველმოქმედო, ლირიკ ამხანაგის სასარგებლოთ. პირველათ ვითამაშეთ ერთი სიმღერიანი ვოდევილი „კრიტ-კრიტ", ერთი ქართული „მათიკო" და დივერტისმენი მუსიკალური განყოფილებით. სცენის მოყვარეთა გარდა მონაწილეობა მიიღეს ჩვენმა დამსახურებულმა მსახიობმა ვ. აბაშიძემ, მ. ნემოამ, გ. ნუცუბიძემ, ვ. მატარაძემ, ა. მატარაძემ და ვ. შალიკაშვილმა. ამათივე მონაწილეობით გაიმართა „ძუნწი", „უბედური დღე", „სიმართლე" და „ოინბაზი". სამივე წარმოდგენას ადგილობრივი გლეხები უფასოთ დაესწრენ და ვიდგაა ნასიამოვნებიც დარჩნენ. ასე, რომ ცემში წარმოდგენებისათვის ნიადაგი უკვე არის, გზაც საჭიროა შენობაზე ვიფიქროთ. მადლობა სათეატრო კომისიის წევრთ: აკიმოვს, ნ. პოტლაშვილს, გ. ტერ-ოგანეზოვს, ი. ჯუგანიანცს, მ. კოკოჩაშვილს, გ. აბაშიძეს, ა. სააკოვს, რ. ქიმიანცს, შ. ჩიქოვანს, ი. ამბაროვს და განსაკუთრებით თვით კომერციულ სასწავლებლის მოწაფეს სოფიო პოტლაშვილს, რომელიც თავისი დაუღალავი ენერგიით სხვებსაც ანთებდა და მუშაობის სურვილს უღვივებდა.

კომიტეტს შემოსავალი ჰქონდა: სანატორიუმისათვის შეგროვილი ფულიდან დარჩა—68 მ. 73 კ. გამოკი გაიყიდა—12 მ. სხვადასხვა ოპერაციებიდან მოგება—132 მ. 30 კაპ. მღვდელმა კადმიანმა ბინის ზედმეტი შემოსწირა—30 მ. მოხ. გასპარიანცმა შემოსწირა—10 მან. სულ 253 მ. 8 კ. დაიხარჯა—თეატრის აშენებაზე 83 მ. წვრილმანი ხარჯები 19 მ. 15 კ. სულ—102 მ. 15 კ. დარჩა 150 მ. 88 კ. ეს ფული და თეატრის მთელი მასალა კომიტეტის დადგენილების თანახმად გადაეცა სასოფლო კომიტეტს შესანახათ და მომავალ ზაფხულისათვის თეატრის შენობისა და სამკითხველოს ასაშენებლათ. ფულის მიღების ხელწერილი და მასალის სია ინახება ჩემთან.

ექიმმა ზაქარიაძემ ადგილობრივ სკოლის სასარგებლოთ შემოსწირა—10 მ. დაჯარიმებულ იქმნენ: ადგილობრივი ვაჭარი ცემს გარეშე პურის გაყიდვისათვის 12 მ. 90 კ. წყალნარევი რძის გაყიდვისათვის 3 მ. მოვაჭრე დუქანში სიმილის მოტეხისათვის 3 მ. სულ 28 მ. 90 კ. ეს ფულიც გადაეცა სასოფლო კომიტეტს სკოლის სასარგებლოთ.

სავაჭრო კომიტეტი საერთო კითხვების გადაწყვეტაში სასოფლო კომიტეტთან რამდენათაც-კი შესაძლებელი იყო შეთანხმებით მუშაობდა. ეს უკანასკნელი ჩვენთან სოლიდარობას მხოლოდ მაშინ იჩენდა, თუ ეს სასარგებლო იყო მთელი სოფლისა, აწუ კერძოთ რომელიმე გლეხისათვის. სწორედ ეს იყო მიზეზი, სოფლის კომიტეტი არ დაგვეთანხმა დაგვეწესებინა ბინები და ოთახების ფასი წელს ასე აიწია.

აღსანიშნავია სოფლის წარმომადგენლის სიმონ ტაბატაძის გონების სიფხიზლე და სამართლიანობა. შეიძლება ითქვას, რომ ეს მოხუცი გლეხი მთელი სოფლის სინდისია.

საზოგადოთ აქაური გლეხობა ჯერ არ არის საკმაოდ მომზადებული და ფეხდგმულ ნაბიჯზე, ყოველ კუთხეში შეუგნებლობა და ძველი სენი ტრიალებს. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ბორჯომის ხეობას და კერძოთ ცემს, ხშირათ გაიმართოს ხოლმე მიტინგები და ხალხს მდაბიურათ ესაუბრონ.

მაინცდამაინც შეუგნებლობით ყველას გადააჭარბა ერთმა აქაურმა გლეხმა, რკინის გზის სადგურზე მოსამსახურე ვერმე ტაბატაძემ. ამ ვექილმანმა „თავისუფლება" თავისებურათ გაიგო, ორჯერ კომიტეტი მასზე შემოსულ საჩივრების გარჩევას უნდებოდა, მაგრამ მაინც ვერას გავხდით; მისი აღვირ წახსნილობა ვერაფრით ავლაგმეთ. ვინც-კი ხელში ჩაუვარდა—ყველას ტყავი გააძრო. საჭიროა რკინის გზის კომიტეტმა მაინც მიაქციოს ამას ყურადღება.

კომიტეტმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა: „ეთხოვოს „ერთობის", „რესპუბლიკის" და „ბაქარის" რედაქციებს ადგილი დაუთმონ ამ ანგარიშს".

ს. ცემის სავაჭრო კომიტეტის თავმჯდომარე გაბ. შალიკაშვილი. მდივანი ი. ნანუა.

## ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

24 სექტემბერს ღამის 12 საათზე მტერთან შეტაკების [illegible] ბრძოლაში გმირულათ მოკლული იქნა ამხანაგი [illegible] (ფუხაევი) [illegible] მე-19 თურქესტანის მსროლელ პოლკის მეზვერავთა რაზმისა. ის იყო ოსი გორის მაზრიდან ოქონის საზოგადოების სოფ. ხელიტიდან. მწუხარებით ვაცნობებთ ამ ამბავს მის მშობლებს და ნაცნობ-მეგობრებს. „ვოლნოოპრედელიაიუში" დიმიტრი პაიჰაძე. ბრძოლის ველი 25 სექტემბერი.

— ჯარის კაცი პარმენ ნესტორის ძე გურგენიძე (სოფ. ცხე, ოზურგეთის მაზრა) ესახურებოდა მე 329 ბუზულუკის პოლკში, მე-11 როტაში, მე-3 ვზვოდში. და ჯარის-კაცი თომა სპირიდონის ძე ტრაპაიძე (სოფ. სურები, ოზურგ. მაზრა) მსახურობდა კავკასიის მოქმედ ჯარში, მე 18 კავკასიის მსროლელ პოლკში, მე 8 როტაში, 1 ვზვოდში. ვსთხოვ თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ მაცნობოს შემდეგი მისამართით: კავკასიის არმია. მე-3 ბრიგადა, მე 14 მუშათა ბატალიონი, მე-7 როტა, სილიბისტრო ბერიშვილი.

— ჯარის-კაცი ქართველთა მსროლელი პოლკის მესამე როტის აპოლონ მირიანის ძე ურუშაძე, ლანჩხუთის მცხოვრები, გარდაიცვალა სპარსეთში ქ. სოუჯბულაგში № მესამე ლაზარეთში, დასაფლავებულია ქალაქ სოუჯბულაგში. აკაკი კაპარავა.

— ჯარის-კაცი ილარიონ ქესთიმეს ძე პიშკარიანი მსახურობდა კავკასიის 23 მსროლელ პოლკში 4 როტაში. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, შეატყობინოს შემდეგი ადრესით: Кавказская дѣйствующая армія 25 кавказскій стрѣлковый полкъ 14 рота 2 взводъ. Доментію Чишкаріани.

## ჩვენი ფოსტა.

ს. ჯუმათი. აფრასიონ ურუკაძეს. ფული ძველ ფასზე იყო გადახდილი. დასამატებელი არ წარმოუდგენიათ და ამიტომ აღარ ეგზავნება 17 სექტემბრიდან.


ჩირქვინაშვილის მოედანზე, ყოფილ სადარაჯოში ნემეცების საკვერთან მოთავსებულია რ. ს.-დ. მ. პ. მეტეხის უბნის კოლექტივის

ბიურო და კიოსკი

სადაც შეიძლება პარტიის წევრათ ჩაწერა, მიიღება ხელის მოწერა გაზეთებზე: „ერთობა", „ბორბა" და „ბანვორი" იყიდება გაზეთები და წიგნები. ბიურო ღიაა საღ. 6—9 საათამდე.

დაიკარგა

30 სექტემბერს საფულე, რომელშიაც იყო 313 მანეთი და სხვა და სხვა დოკუმენტები. ვსთხოვ მნახველს, რადგან მისთვის გამოუსადეგარია ჩემი დოკუმენტები დამიბრუნოს ფოსტით „ერთობის" რედაქციაში. ფულს კი, რა თქმა უნდა, დაიტოვებს. მიხა თრმოცაძე.

ექიმის თანაშემწე

ვლ. ი. თავართქილაძე

ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი და ელექტრიზაცია. [illegible] ქუჩა, № 4

ექიმის თანაშემწე

ვანო საათაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს საღ. 4—6 ს. მდე.—ვენერიულ-სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებით, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ, ციებიანებს და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ.

მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3, (1-ლი სამხედრო ნაწილი). (24—11)

ექიმი

დ. ი. ჟორდანია

იღებს ავადმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სპეციალურათ ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—6 საათამდე გარდა სამშაბათისა. [illegible] ქუჩა № 6 ([illegible])

ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს [illegible] ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: [illegible] ქუჩა № 67; [illegible] № 5—77.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავადმყოფებს იღებს ყოველდღე საღამოს 5—8 ს., კვირა დღის გარდა. [illegible] ქუჩა, № 4, [illegible] ტელეფ. 15—00.

ექიმი მ. გ. ვეშაპიძე

მოსკოვის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორი [illegible] იღებს ავადმყოფებს კანის და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვორონცოვის ძეგლის მახლობლ., [illegible] ქუჩა, № 19.

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, საღ. 5—7 საათამდე, გუნიბის ქ. № 41.

რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია — პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 10 ოქტომბერი 1917 წ.

# ერთობა

ფასი 12 კაპ.

ხელის მოწერის ფასი: ერთი თვით 2 მან. 60 კაპ., ორი თვით 5 მ. 20 კ., სამი თვით 7 მან. 80 კ., ოთხი თვით 10 მ. 40 კ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—50 კაპ., მეოთხე გვერდზე—25 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 6 მ. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почт. ящ. 199. Редакція „Эртоба“. ფოსტით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 166 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 166

გულდათუთქულნი მეუღლე სპირიდონი, შვილები: ნიკიტა, პავლე, ანასტასია და გიორგი, რძალი ეკატერინე და შვილის შვილი ქორეჯიკა ამით აუწყებენ ნათესავთ, მოყვარეთ და ნაცნობ მეგობრებს, რომ პარასკევს 7 ოქტომბერს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

**პელაგია მახუ კვიტაშვილის ასული ჩიტაიასი.**

გამოსვენება დღეს, 10 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, ქ. ფოთში საკუთარი სახლიდან (ლიალინის ქუჩა).

## ფეხსაცმელების მკერავ ცეხის მუშებს

ქალაქის სასურსათო გამგეობა შეუდგა უბნებში ფეხსაცმელების შესაკეთებელ სახელოსნოების მოწყობას და იწვევს

**ფეხსაცმელების მოხელეებს**

რომელთაც სურს იმსახურონ აღნიშნულ სახელოსნოებში, მოვიდნენ ქალაქის სასურსათო კომიტეტში (სოლოლაკი, რტიშჩევის და ბებუთოვის ქუჩ. კუთხე) დღეს 10 ოქტ. დილის 10 საათ.

## ტფ. მოქალაქეთა საყურადღებოთ

10 ოქტომბერს დაიწყება დროებითი სასურსათო ბარათების მიცემა კოოპერატიულ დუქნებიდან.

დროებითი სასურსათო ბარათის მისაღებათ საჭიროა წარდგენილ იქნას შაქრის ბარათი.

**ბარათის ფასი 25 კაპ.**

8—2 ქალაქის სასურსათო კომიტეტი.

## ფეხსაცმელ. და ტყავეულობით ვაჭრობის შესახებ

ერთის მხრით ფეხსაცმელებისა და ტყავეულობის უსაზღვროთ გაძვირების გამო და მეორე მხრით ამ საქონლის მეტის მეტად ნაკლებობის და მათ ქალაქში სპეკულიაციის გავრცელების გამო, ქალაქის სასურსათო კომიტეტმა მცხოვრებთა ფეხსაცმელებით უფრო სამართლიანათ უზრუნველსაყოფათ, აგრეთვე სპეკულიაციის ძირიანათ აღმოსაფხვრელათ, შეიმუშავა რამდენიმე ზომა, რომლებიც ძალაში შედის 9 ოქტომბრიდან ამა წლისა.

**ეს ზომები შემდეგია:**

1. გადაწყვეტილია თვითეულ მოქალაქეს ექვსი თვის განმავლობაში მიეცეს უფლება ერთი წყვილი ფეხსაცმლის ყიდვისა, რისთვისაც ყიდვის დროს უნდა წარუდგინოს მაღაზიის პატრონს შაქრის ბარათი, რომელზედაც აღინიშნება თუ რამდენი ფეხსაცმელი იყიდა ბარათის პატრონმა.

**შენიშვნა:** კოლექტიური შაქრის ბარათი იცვლება სახელობითი მოწმობით ფეხსაცმლის მისაღებათ, რისთვისაც თფილისში არსებული დაწესებულებანი, რომლებიც დებულობენ სანოვაგეს მოსამსახურეთათვის კოლექტიური ბარათებით: აძლევენ განსაკუთრებულ მოწმობებს ფეხსაცმლების შესაძენათ, რომელშიდაც მოიხსენიებენ შაქრის ბარათის ნომერს.

ცნობები დაწესებულებათა მიერ მიცემულ მოწმობების შესახებ უნდა წარდგენილ იქნას ქალაქის სასურსათო კომიტეტში.

2. ფეხსაცმელი და კალოში იძლევა მხოლოდ ფეხზე მოზომვის შემდეგ.

3. შეკეთებული ფეხსაცმელი, რომელიც აღწერაში მოჰყვა, ეძლევა შემკვეთელს მის შაქრის ბარათზე აღნიშვნის შემდეგ. (მუხ. 1).

4. ფასები დამზადებულ ფეხსაცმლებზე განსაზღვრულია განსაკუთრებულ კომისიის მიერ და დამტკიცებულია ქალაქის სასურსათო კომიტეტის მიერ.

ნიმუშები ფეხსაცმლებისა ნომრებით და ბეჭდით ქალაქის სასურსათო კომიტეტისა ფასების აღნიშვნით ინახება აგრეთვე ასლი აქტისა ფეხსაცმლის აღწერით და ფასის აღნიშვნით.

**მოქალაქენი მოწოდებული არიან საერთო ინტერესებისათვის ნუ მისცემენ იმაზე მეტ ფასს, რაც დაწესებულია.**

5. დროებით მაღაზიებში არსებულ ფეხსაცმლების გაყიდვის დროს შემოღებულია მეთვალყურეობა ქალაქის სასურსათო კომიტეტის განსაკუთრებულ კონტროლიორებისა ვაჭრობის სისწორისათვის თვალ-ყურის სადევნათ. რაიმე გაუგებრობის გამოსარკვევათ მოქალაქეებმა უნდა მიმართონ ამ კონტროლიორებს აგრეთვე საუბნო სასურსათო კომიტეტში.

6. ბაზარზე მასალის ნაკლებობის გამო აკრძალულია ქალების ფეხსაცმლების შეკერვა ძირიდან 24 სანტიმეტრზე უმაღლესის. არსებული მაღალ ყელიანი ქალის ფეხსაცმლები შემოწმებულია სასურსათო კომიტეტის ბეჭდით.

7. ქალაქის სასურსათო კომიტეტმა მიიღო ზომები ქალაქის და გუბერნიის მცხოვრებთა იაფ-ფასიან ფეხსაცმლებით უზრუნველსაყოფათ.

ამას გარდა მიღებულია ზომები უბნებში ძველი ფეხსაცმლების შესაკეთებელ სახელოსნოების დასაარსებლათ.

დაიწყო მუშაობა ერთმა სახელოსნომ მექანიკურ იაფფასიან ფეხსაცმლებისა, მიღებულია ზომები და საშუალებანი მისი წარმოების გასაფართოებლათ.

8. კალოშები (თითო წყვილი წელიწადში) იყიდება ნიხრით. ამჟამათ ქალაქში არის მხოლოდ დარჩენილი კალოშები ძველი ფასონისა; კალოშების ფაბრიკიდან მიღების შემდეგ გაიყიდება ბარათებში აღნიშვნით როგორც ეს პირველ მუხლში არის აღნიშნული.

**9. საერთო ინტერესებისათვის მოქალაქენი მოწოდებულნი არიან ხელი შეუწყონ სპეკულიაციის აღმოფხვრას და ნუ გადაუხდიან დადგენილ წესებს.**

10. მაღაზიების და ფეხსაცმლების სახელოსნოების პატრონები ვალდებულნი არიან იქონიონ თავისთვის სწორი ანგარიში ფეხსაცმლების შემოსავალ-გასავლისა, და ყოველი ახალი პარტია საქონლის მოსვლისა უნდა აცნობონ ქალაქის სასურსათო კომიტეტს.

საქონლის დამმალველისათვის, საქონელს ჩამოართმევენ და სპეკულიანტებს პასუხისგებაში მისცემენ.

11. პროვინციისათვის გამოყოფილია ნაწილი ფეხსაცმლებისა ქალაქში არსებულ ფეხსაცმლებიდან. მოქალაქეებმა უნდა მოიწონონ ეს ზომა, რადგანაც ვაძლევთ რა სოფლის ხალხს ნაწილს ქალაქში არსებულ საქონლისა მის მაგიერ მივიღებთ სოფლიდან მათ ნაწარმოებს: შეშას, ნახშირს და სხვ. რაც ჩვენთვის ძლიერ საჭირო არის.

12. სამხედრო მსახურნი, რომლებიც ნივთებს საინტენდანტოდან ღებულობენ, ვერ მიიღებენ ქალაქში არსებულ ფეხსაცმლებიდან და საქონლიდან. სამხედრო პირთა ოჯახის წევრები ყიდულობენ ფეხსაცმელს მოქალაქეთათვის არსებულ წესით.

13. წესი ტყავეულობის გაყიდვისა მისი ფასების შესახებ გამოცხადებული იქნება ამ დღეებში.

**14. სახეში უნდა მივიღოთ ის, რომ ომის დროს თფილისის მაღაზიებში საქონელი შემოდიოდა შემთხვევით სხვადასხვა პირებისა და ფირმებისაგან და შესაძლებელია, რომ საქონელი არ გამოდგეს მაგარი და კარგი ღირსების, ამისათვის განსაკუთრებით ურჩევენ ნუ იყიდიან დამზადებულ ფეხსაცმელს, და იყიდონ ის მხოლოდ განსაკუთრებულ საჭიროების დროს.**

15. ამ წესების დარღვევისათვის დამნაშავენი დაისჯებიან 29 მუხლის ძალით, რომელიც იჯდება მომრიგებელ მოსამართლეთა მიერ (კანონ. კრებ. ტ. XV 1917 წ.) ახალი მთავრობის 17 მარტის 1917 წლის დადგენილების რედაქციით (დაბეჭდილია დროებითი მთავრობის უწყებაში 30 მარტს 1917 წ. № 20 (66).

**ეს წესები აუცილებლათ უნდა გამოკრულ იქნას ყველა ფეხსაცმლის მაღაზიაში და სახელოსნოში დასანახ ადგილზე.**

(1—1). თფილისის ქალ. სასურსათო კომიტეტი.

## განცხადება

ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭო აცხადებს, რომ ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის ნებართვით 15 ოქტომბერს 1917 წ. ქალაქ ქუთაისში მოწვეულია შავი ქვის მრეწველთა

**მეცხრამეტე (მორიგი) საერთო კრება**

შემდეგი საკითხების განსახილველათ:

1) კრების თავმჯდომარის და მდივნის არჩევა.

2) განხილვა ანგარიშებისა: ა) საბჭოსი 4 წლ., ბ) სარევიზიო კომისიის, გ) განმანაწილებელი ბიუროსი.

3) განხილვა სტატისტიკური ცნობებისა შესახებ ამოღებული მადნის რაოდენობისა, საწყობებზე დამზადებულ და გატანილი მადნის რაოდენობისა, დასაწყობ და გადასაზიდავ მოწყობილობისა, რომელნიც ხელთ აქვს რკინის გზის მმართველობას, როგორც ჭიათურის შტოზე, ისე მთავარ ლიანდაგზე.

4) რკინის გზის საკითხები, რომელნიც დაკავშირებულნი არიან მარგანეცის და სხვა საქონლის გადაზიდვის გაუმჯობესებასთან ჭიათურის შტოს საშუალებით.

5) განმანაწილებელ ბიუროს რეორგანიზაცია.

6) სახელმწიფო ბანკიდან მარგანეცის მრეწველებისათვის კრედიტის გახსნა.

7) მარგანეცის გადასაზიდავ ტარიფის დაკლება.

8) შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭოს მოსამსახურეთა მოთხოვნილებანი.

9) სესხის აღება შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭოს მოქმედების გასაგრძელებლათ.

10. საფუთო გადასახადის მომატება მრეწველთა კრების სასარგებლოთ.

11) გერმანელების კუთვნილი სალიკვიდაციოთ დანიშნული წარმოების შეძენა ჭიათურაში.

12) საბჭოს კანტორის ჭიათურაში გადატანა.

13) ურთიერთობა შავი ქვის მრეწველთა საბჭოსა და ჭიათურის საქალაქო თვითმმართველობის შორის.

14) კითხვები, რომელნიც დაკავშირებულნი არიან დაშავებულ მუშათა უზრუნველყოფის საქმის წარმოებასთან.

15) თავისუფალი აფთიაქის გახსნა ჭიათურაში შავი ქვის მრეწველთა კრების ხარჯით.

16) 1917 და 1918 წლების ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.

17) არჩევნები საბჭოს მთელი შემადგენლობისა და სხვა თანამდებობის პირთა. (3—3)

## სტოკჰოლმის კონფერენცია

სტოკჰოლმის საერთაშორისო სამშვიდობო სოციალისტური კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტმა ინტერნაციონალურ დემოკრატიას ახალი მანიფესტით მიმართა და მათ სტოკჰოლმის კონფერენციისაკენ მოუწოდებს.

მანიფესტში დაწვრილებით აღნიშნულია ზავის პირობები, სამშვიდობო კონფერენციის მიერ გასარკვევი საკითხები. მოწოდებაში თითქმის არ არის არც ერთი საგარეო პოლიტიკის სადაო პრობლემა დატოვებული და ყოველმხრივ სქემატიურათ არის აღნიშნული. აქ ჩამოთვლილი და აგრეთვე გამორჩეული სადაო პრობლემების გარჩევა-წამოყენება თვით კონფერენციის საქმე იქნება და იქ ყოველმხრივი დემოკრატიული თვალსაზრისით იქნება გარკვეულ გადაწყვეტილი.

მსოფლიო ომის საშინელებამ საერთაშორისო დემოკრატიას სამი წლის შემდეგ საშუალება მისცა იმპერიალისტური ომის მსაჯულათ გამოვიდეს და საგარეო პოლიტიკაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს.

უმაგალითო ომმა მრავალ ბიროტებასთან ერთად, როგორც მოსალოდნელი იყო, საერთაშორისო პოლიტიკაში და კლასთა ბრძოლის მიმდინარეობაში დიდი ცვლილება მოახდინა და დროებით შეჩერებული ინტერნაციონალური მუშათა მოძრაობა კვლავ მეტის სიძლიერით წარმოიშვა. კარლ კაუცკის აზრით ყოველი ომი უდიდესი სოციალური და ეკონომიური ბოროტებაა, მაგრამ ამავე დროს ეს ომები დიდ სოციალურ შედეგებსაც იწვევენ და ხშირათ პოლიტიკურ ცხოვრებაში პროლეტარიატის სასარგებლო რევოლუცია—რეფორმებს წარმოშობენ. არ ვიცით არც ერთი წარსული ომი, რომელსაც პოლიტიკურათ და ეკონომიურათ დაბეჩავებული კლასი არ გამოეფხიზლებიოს და ამ უკანასკნელს შინაურსა და საგარეო პოლიტიკის ასპარეზზე ომის შემდეგ ან ომის პროცესში დროის შესაფერი ცვლილებები არ მოეხდინოს.

მარქს-ენგელსი ჯერ ისევ 1848 წლებში მომავალ მსოფლიო ომის წარმოშობაზე და არაჩვეულებრივ საზოგადოებრივ ბიროტებაზე დიდ იმედებს ამყარებდენ, იმ მხრივ, რომ მათში ხედავდენ მთელი წყობილების გაუქმებების ტენდენციებს. კარლ კაუცკი თავის ცნობილ წიგნაკ „სოციალურ რევოლუციაში“, რომელიც ამ ათი-თხუთმეტი წლის წინათ დაიბეჭდა, აღნიშნავს, რომ მომავალი მსოფლიო ომი ნიკოლოზ მეორის ბატონობას ბოლოს მოუღებს და მონარქიულ სახელმწიფოში არსებული წყობილება ძირიან ფესვიანათ შეიცვლებაო.

კაუცკის წინასწარმეტყველება მსოფლიო ომის მსვლელობამ სავსებით გაამართლა, რუსეთის მონარქიულ წყობილებას ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოუღო. რუსეთის რევოლუციონური დემოკრატია შინაურ პოლიტიკაში მომხდარ ცვლილებით არ დაკმაყოფილდა და მსოფლიო პროლეტარიატს საგარეო პოლიტიკაში აქტიურ ჩარევისაკენ მოუწოდა. ახლა ამ მოწოდებამ უკვე საგრძნობი ნაყოფი გამოიღო. შეთანხმების სახელმწიფოების სოციალისტები მის ზავის მოწოდებას გამოეხმაურნენ. რუსეთის დემოკრატიის ინიციატივით შედგენილ სტოკჰოლმის სამშვიდობო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ გამოქვეყნებულ ყოველ მოწოდებას საერთაშორისო დემოკრატია აღტაცებით ეგებება.

მსოფლიო ომი იმპერიალისტურმა კლასებმა დაიწყეს და მისი გათავება კი მსოფლიო დემოკრატიას დაევალა. უკვე დადგა დრო, როცა მთელი ქვეყნის პროლეტარიატი საგარეო პოლიტიკის საქმეში აქტიურათ უნდა ჩაერიოს და შიგ არაჩვეულებრივი რევოლუცია მოახდინოს.

ჯერ ისევ წარსულ საუკუნის სამოცდა-ათის წლებში კარლ მარქსი მსოფლიო პროლეტარიატს მოუწოდებდა საგარეო პოლიტიკისთვის თვალყური ედევნებიათ და მასში აქტიურათ ჩარეულიყო. დღეს ეს მოწოდება სინამდვილეთ გადაიქცა, საერთაშორისო დემოკრატია საგარეო პოლიტიკაში აქტიურათ ერევა და ბურჟუაზიული ომების მსაჯულათ გამოდის. ვინ იცის მისი ასეთი მოქმედება რითი დამთავრდება. შესაძლებელია მარქსის იმედები, რომელსაც იგი მომავალ მსოფლიო ომებზე ამყარებდა, სინამდვილეთ გადაიქცეს და ის ტენდენცია, რომელსაც ის აღნიშნავს, რეალურ ძალათ გახდეს. მხოლოდ ჯერ-ჯერობით ის კი მართალია, რომ მიმდინარე ომის გათავება მსოფლიო პროლეტარიატის საქმეა და ეს მისია დაკისრებული აქვს სტოკჰოლმის მომავალ სამშვიდობო კონფერენციას, რომელმაც მეომარ და ნეიტრალურ სახელმწიფოების სოციალისტებს შესაფერ საზავო მანიფესტით მიმართა. ომის დღეები დათვლილია, საერთაშორისო დემოკრატია ზავის ნიადაგზე მედგრათ ამოძრავდა.

## მეოთხე დუმის დათხოვნა

დროებითი მთავრობის ახალი განკარგულებით სახელმწიფოს მეოთხე დუმა და სახელმწიფო საბჭო დათხოვნილ იქნა. ცენზიანმა და პრივილეგიურმა საზოგადოებრივმა დაწესებულებამ ყოველგვარი მნიშვნელობა დაკარგა და იგი ძველ წყობილებასთან ერთად დიდი ხანია ზედმეტ ბარგათ გადაიქცა.

მართალია სახელმწიფო დუმა რევოლუციის პირველ ხანაში ერთგვარ როლს თამაშობდა, იგი ერთგვარ რევოლუციის ცენტრათ იქცა და მის აღმასრულებელ კომიტეტში დემოკრატიის წარმომადგენლებიც შედიოდენ. სახელმწიფო დუმამ პეტროგრადის მუშათა და სალდათთა საბჭოსთან შეთანხმებით შეადგინა პირველი და მეორე დროებითი რევოლუციონური მთავრობა; ისინი ნიშნავდენ კომისარებს და ამ სახით დასახელებული ორგანო მართველობაში ერთგვარ როლს თამაშობდა.

მაგრამ რევოლუციის მსვლელობა, რევოლუციის ახალ ორგანოების—მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების გაძლიერებამ, სახელმწიფო დუმის მოქმედება და მნიშვნელობა არარათ აქცია. მისი არსებობა დიდი ხანია ფაქტიურათ გაუქმებული იყო. ცენზიანი კლასები, განსაკუთრებით კადეტები ბევრს დაობდენ, გამოცოცხლების შესახებ, მაგრამ ამაოთ. რუსეთის პოლიტიკაში დემოკრატიის რევოლუციონური ორგანოები ნამდვილ სახელმწიფოებრივ ძალათ გადაიქცენ და უკანასკნელები საზოგადოებრივ ძალთა განწყობილების სწორი გამომხატველები იყვნენ. მეოთხე დუმა დიდიხანია წმინდა საარქივო დაწესებულებათ გადაიქცა და მას არავინ არაფერს ეკითხებოდა. თუმცა მისი შემადგენელი ელემენტები ყოველ ღონეს ხმარობდენ შეენარჩუნებიათ ძველი პრივილეგიები. უკანასკნელათ კორნილოვის ავანტიურის დროს იგი შეეცადა კვლავ ძველებური როლი ეთამაშა და მთავრობის სამოსელში გამოწყობილიყო. მაგრამ აქაც მას ბედმა უმტყუნა და ამის შემდეგ იგი მთლათ მიიმალა პოლიტიკურ ასპარეზიდან. ერთი სიტყვით დროებითმა მთავრობამ გააუქმა ის, რაც რუსეთის რევოლუციის მსვლელობამ უკვე დიდი ხანია დასამარებულათ გამოაცხადა. ამ შემთხვევაში დროებითი მთავრობის განკარგულება მხოლოდ სანქციაა იმის, რაც სინამდვილემ დაკანონა. ამ სახით რევოლუციის გაღრმავებასთან ერთად მონარქიული წყობილების ნაშთები უქმდება და მის ადგილს რევოლუციონური ორგანოები იჭერენ, რომელთაც შეუძლიათ მომავალ ბრძოლის მსვლელობას გაუძღვენ და რევოლუცია სრულ გამარჯვებამდე მიიყვანონ.

## პრესა

„ნოვ. ჟიზნ.“, გაზეთი მაქსიმე გორკისა, ეხება მომავალ მუშათა საბჭოების ყრილობის საკითხს და შემდეგ აზრს გამოსთქვამს:

„ამბობენ, როცა ბოლშევიკები აყენებენ ლოზუნგს: „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს“, და ამას აკავშირებენ მომავალ ყრილობის კამპანიასთან, ამით ისინი აშკარათ უპირდაპირებენ საბჭოებს დამფუძნებელ კრებას და ცდილობენ შეაკავონ კრება გამოსვლები მხოლოდ იმისთვის, რომ შეაერთონ იგინი ერთ მთლიან და საერთო გამოლაშქრებაში სწორეთ ყრილობის დროს იცნებობენ საბჭოების ხელში ძალა-უფლების გადასვლაზე რამდენიმე კვირით ადრე დამფუძნებელ კრების მოწვევამდე, რომელსაც (ე. ი. დამფ. კრებას) მცხოვრებთა დიდი უმრავლესობის რწმენით, ეკუთვნის უდავო და საბოლოო უფლება სახელმწიფოებრივ ფორმების შემუშავების. სამწუხაროთ ბოლშევიკების ცენტრალური ორგანოები არ სწერენ ამ კითხვის შესახებ იმდენათ მკაფიოთ და ნათლათ, რომ ყოველი ნიადაგი მოუსპონ საბჭოების წინააღმდეგ დემაგოგიას“.

ბოლშევიკებს თავის აზრის სწორათ და მკაფიოთ გამოთქმა არ უჭირათ. და თუ ამ შემთხვევაში ასეთ სისწორეს არ იჩენენ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათი მოქმედება სწორეთ ამ საერთო გალაშქრების მოწყობისკენაა მიმართული. მაქსიმე გორკის გაზეთს ეს ყველაზე კარგათ უნდა ესმოდეს. მან უნდა იცოდეს, რომ სამოქალაქო ომი ბოლშევიკებს მთელ პანაცეათ აქვთ დასახული; მისგან მოელიან პროლეტარიატის გამარჯვებას და რევოლუციის სოციალისტურათ დაგვირგვინებას. მაგრამ, რადგან დღეს საზოგადოების და თვით დემოკრატიის ფართე წრეებისთვის აშკარაა სულ წინააღმდეგი, ე. ი. სამოქალაქო ომის დამღუპველი მნიშვნელობა რუსეთის ნორჩ თავისუფლებისათვის, ამიტომ იგინი თავს იკატუნებენ და შინაური ბრძოლის ინიციატივას მოპირდაპირე წრეებს აწერენ. ეს ნათლათ გამოსჭვივის ბოლშევიკების მანიფესტიდან, რომელიც მათ მომავალ ყრილობის გამო გამოსცეს.

გაზეთი განაგრძობს:

„3—5 ივლისის მოძრაობის გაკვეთილები, ერთი მხრით, და კორნილოვის დღეებისა, მეორე მხრით, სრულიად ნათელყოფენ იმ აზრს, რომ დემოკრატია, რომელსაც აქვს გავლენიანი ორგანიზაციები თავის განკარგულებაში, დაუძლეველია, როცა სამოქალაქო ომში თავდაცვას ადგია, და მარცხდება, როცა თავდასხმის ინიციატივას იღებს თავის თავზე, რადგან საშუალო წრეები ასეთ მომენტში შორდებიან მას“.

ეს სრული სიმართლეა დღევანდელ მომენტში, რადგან რუსეთის რევოლუციას დიდი და მრავალი მოპირდაპირე აქვს გასამაგრე-

# საერთაშორისო ომი

**დასავლეთის ასპარეზზე მოწინავე რაზმები იბრძვიან. ზოგიერთა ადგილებში მოწინააღმდეგეთა ჯარისკაცთა შორის „დაძმობილებამ“ კვლავ იჩინა თავი.**

**ბალტიის ზღვაზე მტრის სამხედრო ფლოტის მოქმედება შეჩერდა. გერმანიის გემები ძალას მოიკრებენ და მალე იერიშების განგრძობას დაიწყებენ.**

**საფრანგეთის ფრონტზე, მდ. მაასისა და მდ. ენის რაიონში საარტილერიო სროლა გაცხოველდა. ინგლისის ფრონტზე ღირს შესანიშნავი არაფერი მომხდარა.**

**იტალია-ავსტრიის ფრონტიდან ცნობა არ მოსულა.**

შედეგი. და ხალხის უდიდესი ნაწილი ყოველ თავდასხმას, ამ მოპოვებათა წასართმევად მიმართულს, თავგანწირული შეებრძოლება... მაგრამ ვფიქრობთ, რომ ბოლშევიკებმა ყურად იღონ „ნ. ქიზნის“ ასეთი დარიგებანი: „იფუზენი რეგვენსაო, ურაკუნე კედელსაო“. ამიტომ ჩვენ ბოლშევიკების ხელმძღვანელთა და უპასუხისმგებლო აგიტატორთა „მოქვიანების“ იმედი არ გვაქვს იმდენად, რამდენადაც იმედი გვაქვს თვით მუშათა კლასის საღი ინსტიქტის. მხოლოდ ეს ინსტიქტი თუ იხსნის კლასს უკიდურეს ნაბიჯებისაგან, რომლების გადადგმას მათ ურჩევენ და ჩასჩიჩინებენ ჩვენი „მემარცხენეზე-უმემარცხენესი“ ელემენტები.

* *

„სახ. საქმე“-ში ს. დადიანი მენშევიკების და განსაკუთრებით გაზ. „ერთობის“ წინააღმდეგ ილაშქრებს. მას უნდა „მთრიგი თავლითობა“ დაგვწამოს და თვითონ კი თავლითობს. ჩვენ ვწერდით, რომ სოც.-ფედერალისტები ჩვენში დემოკრატიულ მთავრობის შედგენას ებრძვიან, ხოლო რუსეთში კი მთავრობის შედგენას მოითხოვენთქო“.

ს. დადიანი კი ამის საპასუხოთ კვლავ იმასვე იმეორებს რაც არა ერთხელ და ორჯერ ამოგვიკითხავს ნაციონალისტთა გაზეთებში, ადგილობრივი მთავრობა ეროვნულ პრინციპის მიხედვით უნდა შედგესო. ე. ი. იქ უნდა ნაციონალისტებს ექნეს ადგილიო. ჩვენ ვამბობთ, რომ ნაციონალისტების ჩარევა მართველობაში ნიშნავს არა დემოკრატიულ ელემენტების ჩარევას და მაშასადამე იგი ეწინააღმდეგება „დემოკრატიული ბლოკის“ იდეას, რომელსაც „სახ. საქმე“ ადიარებს საპიროთ რუსეთისთვის. წინააღმდეგობა აქ აშკარაა და მას მიკიბულ მოკიბული სიტყვებით თვით ს. დადიანი ვერ დაფარავს.

ვერ დაფარავს ვერც ის გარემოება, რომ ფედერალისტები უკიდურეს ბოლშევიკურ რეზოლიუციებს იღებდენ თავის კონფერენციებზე. პირიქით ეს კიდევ უფრო ნათელ-ყოფს მათი პოლიტიკანობის ორპირობას, შინ ნაციონალისტურ ბლოკის შეკვრას და რუსეთში კი ასეთ ბლოკის უარყოფას.

ს. დადიანი გვეკითხება:

„ასეთ კეკემალობას თამაშობენ ეს ვაჟბატონები (ე. ი. ჩვენ) მხოლოდ იმისთვის, რომ სოც. ფედერალისტებს გაუთხარონ სამარე, მაგრამ სხვის სამარის მთხრელნი თვითვე იხრიან სამარეს. რუსეთში ხომ „გაკოტრდა“ სოც.-დემოკრატიული მემარჯვენე ფრთა და ჰგონებ საქართველოშიაც ვერავინ შეაჩეროს. რაც მალე მოხდება ეს ბუნებრივი პროცესი, რაც მალე გამოაშკარავდება სოც.-დემოკრატების გაკოტრება მით უმჯობესი იქნება ქართველი ერისათვის“.

უნდა მოვახსენოთ სულწასულ ავტორს, რომ სოც.-დემოკრატები კეკემალობას ჩვეული არ არიან. ეს ხელობაა გაბოლშევიკებულ ნაციონალისტების და არა მარქსისტ-მენშევიკების, რაც ზევით უკვე დავინახეთ. რაც შეეხება დროებით მენშევიკების გავლენის შესუსტებას, აქაც ტყუილა ცმუკავს ბ. ს. დადიანი: ზღვა ისე არ დაშრება, რომ ტბის ოდენა გახდეს, და სოციალ დემოკრატია ისე არ დასუსტდება, რომ ჩვენ „ფედერალისტებს“ დაედაროს. ხოლო რომ რევოლიუციურ ბრძოლის პროცესიდან სოციალ-დემოკრატია გამარჯვებული, გაძლიერებული გამოვა, ამის თავდებია მათი წარმომადგენლების ლიდერობა და მეთაურობა მთელი რუსეთის რევოლიუციის. კლასი და მიმართულება, რომელმაც წერეთელი, ჩხეიძე, ჟორდანია, ეს საყოველთაოთ ცნობილი ხელმძღვანელნი მისცა რუსეთის განმანთავისუფლებელ მოძრაობას, ყოველთვის მომხიბლავი შარავანდედით იქნება მოსილი და ფედერალისტების „სულთათანა“ მათ ვერას დააკლებს.

# დეპეშები.

(პ. დ. ს. 9 ოქტომბერი).

**პრაპორშჩიკთა სკოლების დახურვა.**

**პეტროგრადი.** სამხედ. მინისტრმა ბრძანება გამოსცა, რომ ეხლავე შესწყვიტონ პრაპორშჩიკთა სკოლებში მიღება და თან და თან დახურონ ყველა, გარდა უკრაინელთა სკოლის კიევში. სამხედრო სასწავლებლები ისევ ისე დარჩება და იქ მიიღებენ წინანდელ წესებით.

**ა რ ე უ ლ ო ბ ა.**

**ადიხა.** ვოზნესენსკიდან იტყობინებიან, რომ იქ მოხდა არეულობა. ბრბომ დაამტვრია ღვინის საწყობები და შემდეგ უნდოდათ სადგურზე დაემტვრიათ საინტენდანტოს ვაგონები. გაიგზავნა ჯარი.

**ვირცბურგის კონფერენცია.**

**კოპენჰაგენი.** ვირცბურგიდან იტყობინებიან, რომ ს. დ. პარტიულ ყრილობაზე მიიღეს რეზოლიუცია, რომელიც იწონებს რაიხსტაგში ს.-დემოკრატიულ ფრაქციის ტაქტიკას, რითაც ფრაქციას სამხედრო კრედიტის შესახებ თავისუფალ მოქმედების უფლება ეძლევა.

**დაწესებულებების გაუქმება.**

**მოქმედი ჯარი.** ჩრდილოეთ ფრონტის მთავარსარდლის ბრძანებით 20 ოქტომბრიდან უქმდება ქალაქთა და ერობათა კავშირი და პოლიტექნიკური საზოგადოების დაწესებულებები.

**ჯარისკაცების განთავისუფლება.**

**პეტროგრადი.** დროებით მთავრობის დადგენილება: 1) 10 ოქტომბერს 1917 წ. დაიწყოს 1897—1898 წლის ჯარისკაცების განთავისუფლება, როგორც ფრონტიდან ისე ზურგს უკან ჯარებიდან და დაწესებულებებიდან; 2) ეს დადგენილება სისრულეში მოყვანილ იქნას იმ სახით, როგორითაც შესაძლებელი იქნება რკინის გზის მოძრაობით, რომ ჯარისა და ქვეყნისთვის ნორმალური მუშაობა არ იქმნას დარღვეული; 3) ეს დადგენილება დეპეშით იქმნას ძალაში შესული. მინისტრი-თავმჯდომარე და უმაღლესი მთავარსარდალი ა. კერენსკი. სამხედრო მინისტრი ვერხოვსკი.

**უკრაინის უნივერსიტეტი.**

**კიევი.** გაიხსნა უკრაინის პირველი სახალხო უნივერსიტეტი.

**ბერნის კონფერენციის გადადება.**

**ციურიხი.** ბერნის კონფერენცია ზავის შესახებ გადაიდო, რადგან შეთანხმების სახელმწიფოებიდან აცნობეს, რომ მხოლოდ სამი იტალიელი მოვიდა, ერთი ინგლისელი და ერთი რუსი, იმ დროს როდესაც ცენტრალურმა სახელმწიფოებმა განაცხადეს 65 დელეგატს გამოვგზავნითო და მათ შორის ერცბერგერს.

**ბალტიის ფლოტის მეზღვაურთა მოწოდება.**

**ჰელსინგფორსი.** ბალტიის ფლოტის მეზღვაურების დელეგატთა მეორე ყრილობამ მოწოდებით მიმართა ყველა ქვეყნის დაჩაგრულთ და მოუწოდებს მათ აჯანყებისაკენ, რათა ქვეყნათ დამყარებულ იქნას სამართლიანი საერთო ზავი. მოწოდებაში ნათქვამია: საბედისწერო ჟამს, როცა ბრძოლის, სიკვდილის სიგნალი გაისმის ადვიძადლებთ ჩვენს ხმას: სალამს ვუძღვნით და სიკვდილის წინ ანდერძს ვუტოვებთ ჩვენს ძმებს. გერმანიის ძლიერ ფლოტთან უსწორო ბრძოლაში იღუპება ჩვენი ფლოტი, მაგრამ არც ერთი პატარა გემიც არ რჩება ბრძოლის გარეშე. არც ერთი მეზღვაური არ გამოვა ნაპირათ დამარცხებული. ფლოტი შეასრულებს თავის ვალს რევოლიუციის წინაშე, ის დაიცავს პეტროგრადს. დაამსხვრიეთ ბორკილები, აფრიალეთ ბრძოლის დროშა. ამ ქვეყნით ბორკილების მეტი არას დაეკარგებათ. სიკვდილის პირად მყოფნი, უკანასკნელად მოგიწოდებთ თქვენ“.

**პარიზის მოკავშირეთა კონფერენცია.**

**პეტროგრადი.** საბჭოთა ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა „ნაკაზი“ შეიმუშავა, რომელსაც გადასცემს კონფერენციის დელეგატს სკობელევს. „საზავო ხელშეკრულობა უნდა დაემყაროს უანექსიო და უკონტრიბუციო პრინციპს ერთა თვით გამორკვევის საფუძველზე. აუცილებლათ უნდა გაყვანილ იქნას გერმანიის ჯარები რუსეთის ტერიტორიიდან. პოლონეთს, ლიტვას და ლატვიას ეძლევა თვით-გამორკვევის უფლება; ოსმალეთის სომხეთს ეძლევა სრული ავტონომია და სრული თვით-გარკვევის უფლება, როცა შეიქმნება საერთაშორისო გარანტია. ელზას-ლოთარინგის საკითხი მცხოვრებთა კენჭის ყრით გადაწყდება ჯარების გაყვანის შემდეგ. სერბია, ჩერნოგორია და ბელგია უნდა აღდგენილ იქნან. ზარალი უნდა ანაზღაურებულ იქნას საერთაშორისო ფონდიდან. სერბიას ეძლევა გასავალი ადრიატიკისაკენ. ბოსნია ჰერცეგოვინას ეძლევა ავტონომია. სადაო ოლქები ბალკანეთის კუნძულზე ავტონომიური უფლებებით სარგებლობენ, ვიდრე საკითხი გადაწყდებოდეს პლებისციტით. რუმინია აღდგენილ იქნება და უნდა მიეცეს თვით გამორკვევა დობრუჯას. დროებით კი დობრუჯას ეძლევა ავტონომია. რუმინიის ქვეშევრდომ ებრაელთა სწორ უფლებიან მოქალაქეებათ გამოცხადდება. იტალიელებით დასახლებული ავსტრიის ოლქები ავტონომიურ ერთეულებათ რჩება. თუ რომელ სახელმწიფოს უნდა ეკუთვნოდეს ისინი, ეს სწყდება პლებისციტით. რუმინია აღდგენილ იქნება და დობრუჯას დროებით ავტონომიას აძლევს, პირობას სდებს ებრაელები რუმინიის თანასწორ უფლებიან მოქალაქეებათ სცნოს. იტალიის ოლქები ავსტრიაში ავტონომიურია, ხოლო რომელ სახელმწიფოს დაეკუთნებიან ამას გადასწყვეტს პლებისციტი. გერმანიას უბრუნდება ახალშენები. საბერძნეთი და სპარსეთი აღდგენილ უნდა იქნეს. პანამის და სუეცის სრუტე ნეიტრალათ უნდა გამოცხადდეს. სავაჭრო ნაოსნობა თავისუფალი უნდა იქნეს. აკრძალულ უნდა იქნეს სავაჭრო გემების ნაღმებით ჩაძირვა. აღებული კონტრიბუცია უბრუნდება. სავაჭრო ხელშეკრულობები ზავის პირობებში არ შედის, საიდუმლო დიპლომატია უქმდება. თანდათან იარაღის აყრა და მილიციის სისტემაზე გადასვლა. უკეთუ მოწინააღმდეგე მიიღებს ამ პირობებს მოკავშირეებმა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყონ მოლაპარაკება. მოკავშირეებს ვალდებათ არ დაიწყონ მოლაპარაკება და არ შეკრან ზავი ისე, თუ არ კონგრესზე ყველა ნეიტრალურ ქვეყნების მონაწილეობით. დელეგატს ევალება ეცადოს სტოკჰოლმის კონფერენციის მოწვევის წინააღმდეგ დაბრკოლებებს ბოლო მოეღოს.

# სტოკჰოლმის კონფერენცია

(პ. დ. ს.).

**სტოკჰოლმი.** სტოკჰოლმის კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტმა შემდეგი მანიფესტი გამოაქვეყნა, რომლითაც ნეიტრალურ ქვეყნების დელეგატები მიმართავენ ინტერნაციონალის ყველა პარტიებს: დღევანდელმა ომმა ვერ გადასჭრა საკითხი, რომელმაც ეს კონფლიქტი წარმოშვა, მაგრამ საეჭვოა შემდეგში ამ ომს განსაზღვრული შედეგი ექნეს. მომავალში ყველა სადაო საკითხები უნდა გადასჭრას საერთაშორისო არბიტრაჟმა, პროლეტარიატის დაუყოვნებლივ გამოსვლის ძირითადი მიზანი უნდა იყოს, ხელი მიჰყოს საყოველთაო იარაღის აყრას. თუ მეომარი სახელმწიფოები დასთანხმდებიან და მიიღებენ ამ ძირითად მუხლებს, ამით შესაძლებელი იქნება შევქმნათ ერთი საზოგადოება. ზავის ჩამოგდებას იმის ხასიათი არ უნდა ჰქონდეს, რომ გამარჯვებულმა ძალა დაატანოს დამარცხებულს. ზავი უნდა იყოს შემარიგებელი. საორგანიზაციო კომიტეტს შემოაქვს შემდეგი წინადადებები: 1) საზოგადო პირობები, არავითარი ანექსია, ყველა აღებული ადგილები უნდა დაუბრუნდეს თავის წინანდელ პატრონს, არავითარი კონტრიბუცია, დანგრეულ ტერიტორიების აღდგენა საერთაშორისო ფონდის შემწეობით, იმ შემთხვევაში, როდესაც ამისთვის საჭირო იქნება ნაციონალური თვითმმართველობის ნებართვა. შრომის გარანტია. პოლიტიკურ და იმ დანაშაულობისთვის, რომელსაც ამ ომთან დამოკიდებულება აქვს—სრული ამნისტია, 2) სპეციალური პირობები. ბელგიის სრული ეკონომიური აღდგენა, ფლანდრიის და ვალონის კულტურული ავტონომია. ელზას-ლოტარინგიის საკითხის გადაჭრა პლებისციტის საშუალებით, რომელიც უნდა მოხდეს ომის გათავების შემდეგ განსაზღვრულ ვადაში. გაერთიანებულ ჩერნოგორიის და სერბიის პოლიტიკურ-ეკონომიური აღდგენა საერთაშორისო ფონდის შემწეობით. სერბიას, ბოლგარეთს და საბერძნეთს თავისუფალი გზა სოლუნის სრუტესთან. ალბანეთს მაკედონიის ვარდარამდე ბულგარეთთან შეერთება, რაც კომუნიკაციონურ ხაზით დარჩება სერბიასა და ზღვის შუა, თავისუფალი და დამოუკიდებელი პოლონეთის შექმნა. ებრაელთა და სხვა უმცირეს ერთათვის გარანტია ეკონომიურ განვითარებისა და ავტონომიის, ავსტრიის და გერმანიის პოლონეთის ოლქებისთვის ფართო ავტონომია, რუსეთის ერთა ტერიტორიალური ავტონომია, როგორც ფედერატიულ რესპუბლიკის, უმცირეს ერთა უფლების გარანტიით, რუსეთის რესპუბლიკასთან გაერთიანებულ ფინლიანდიის დამოუკიდებლობა, ჩეხელთა გაერთიანება. ავსტრიის იტალიის ოლქების კულტურული ავტონომია, ირლანდიის პოლიტიკური დამოუკიდებლობა და თანასწორი უფლებები, ჩრდილოეთ შლეზვიგის საკითხის გადაჭრა დაინტერესებულ სახელმწიფოთა შეთანხმებით. ოსმალეთის სომხეთის აღდგენა და ტერიტორიალური ავტონომია, ებრაელთა საკითხის საერთაშორისო გადაჭრა. რუსეთის, ავსტრიის, რუმინიის და პოლონეთის ებრაელთა პირადი ავტონომია, დახმარება ებრაელთა მოსაწყობათ პალესტინაში, 3) გადაჭრილი განცხადება იმის შესახებ, რომ მორიგების მომხრე სახელმწიფოები მზათ არიან შექმნან ისეთი საზოგადოება, რომელსაც საფუძვლათ დაედება სამედიატორო სასამართლო, საყოველთაო იარაღის აყრა, ეკონომიურ ომზე უარის თქმა და საგარეო პოლიტიკაზე პარლამენტარულ კონტროლის გავრცელება“.

მანიფესტი თავდება შეთანხმების სახელმწიფოთა სოციალისტებისადმი მოწოდებით, ძალა დაატანონ პასპორტები მისცენ ცენტრალურ სახელმწიფოების დელეგატ სოციალისტებს, ეცადონ დაამყარონ დემოკრატიულ-პარლამენტარული რეჟიმი და განსაზღვრონ ომის მიზნები.

# დემოკრატიული საბჭო

(პ. დ. ს.)

**პეტროგრადი.** გაიხსნა რუსეთის რესპუბლიკის დროებითი საბჭო. კრებას დაესწრო მინისტრი თავმჯდომარე და დიპლომატიურ კორპუსის წევრნი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ავქსენტიევი, მის ამხანაგებათ პეშეხონოვი, ნაბოკოვი და კროხმალი. ბოლშევიკებმა სხდომის დარბაზი დასტოვეს.

პირველი სიტყვა წარმოსთქვა მინისტრ-თავმჯდომარე კერენსკიმ. დროებით მთავრობის სახელით ის მიესალმა საბჭოს და დაახასიათა მისი დიდი მნიშვნელობა დღეს. შემდეგ ის გადავიდა საზოგადოთ რუსეთის რესპუბლიკის დღევანდელ მდგომარეობაზე, დაწვრილებით შეეხო ომის, სასურსათო და სხვა საჭირ-ბოროტო საკითხებს. მთელ თავის სიტყვაში მან ის აზრი გაატარა, რომ მიუხედავათ დღევანდელ საშიშ მდგომარეობისა, მიუხედავათ ცხოვრების ყოველ დარგში არევ-დარევისა, ძველი დრო აღარ დაბრუნდება, ის თავს ვეღარ წამოჰყოფს, მოკვდა, შავი ღრუბლებით წამოგრაგნილი რუსეთის სახელმწიფოს ცა ბოლოს გადაიწმინდება, მზე სხივებს მოჰფენს და მთელი რუსეთის ხალხის შეერთებულ მოქმედებით რუსეთის რესპუბლიკა ძალას მოიკრებს და საბოლოოთ დაეყრდნობა კლდესავით მაგარ და შეურყეველ საფუძველს.

კერენსკის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ბრეშკო-ბრეშკოვსკაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ რუსეთის მოქალაქენი ამდენ ხანს გულგრილად უყურებდენ ქვეყნის საჭიროებას. დიდი ხანია გლეხები მიწას თხოულობენ და ეს საკითხი დღესაც გადაუჭრელია, ხოლო მისი გადაჭრა აუცილებელია, რომ ყოველივე ანარქიას და არევ დარევას ბოლო მოეღოს. ავქსენტიევი მადლობას უძღვნის საბჭოს ასეთ პატივისცემისათვის. შემდეგ ის ვრცელი სიტყვით ეხება რუსეთის დღევანდელ მდგომარეობას—სამშობლო განსაცდელშია—აი რა გვესმის ჩვენ დღეს, აი რა საბედისწერო სიტყვები ჩაგვწივის ყურში—ამბობს ავქსენტიევი. დიახ, რომ სამშობლო და თავისუფლება განსაცდელშია. ორატორი ვრცლად ეხება ფრონტის დღევანდელ მდგომარეობას და ამბობს, რომ ყველა ცოცხალი ძალები უნდა შეერთდენ რათა მტერმა არ ჩაახრჩოს რუსეთის რევოლიუციაო, შემდეგ ორატორი აღნიშნავს სახელმწიფოს გაჭირვებულ მდგომარეობას მეურნეობის, ტრანსპორტის და სხვა საქმეების არევ დარევას, გამეფებულ ანარქიას და მოუწოდებს ყველას საერთო ძალით შეებრძოლონ ამ არა ნორმალურ მოვლენებს სამშობლოს და რევოლიუციის დასახსნელათ.

არჩევნების შემდეგ სიტყვას აძლევენ ბოლშევიკთა ჯგუფის წარმომადგენელს ტროცკის. მისი სიტყვა კრების უმრავლესობის გულისწყრომას და პროტესტს იწვევს. ის ამბობს, რომ დემოკრატიულ საბჭოს დაარსებას მიზნათ ჰქონდა პირადულ უპასუხისმგებლო რეჟიმის გაუქმება და ისეთი მთავრობის შექმნა, რომელიც მოსპობდა ომს და უზრუნველჰყოფდა დამფუძნებელ კრების მოწვევას. მაგრამ კადეტებმა, ს.-რევოლიუციონერთა და მენშევიკთა ბელადებმა საიდუმლო მოლაპარაკებით შექმნეს ისეთი მთავრობა, სადაც კორნილოვის მიმდევრები ხელმძღვანელ როლს თამაშობენ. (დასასრული ჯერ არ მოსულა). 8 ოქტომბერს კრება გამართა რუსეთის რესპუბლიკის დროებითი საბჭოს პრეზიდიუმმა. დაადგინეს, კრებები იმართებოდეს კვირაში სამჯერ, ხოლო სამშაბათობით დანიშნონ მინისტრთა თათბირი ქვეყნის დაცვის საკითხის შესახებ.

# სახელმწიფო დუმის და საბჭოს დათხოვნა

(პ. დ. ს.)

**პეტროგრადი.** მთავრობამ დაადგინა: თანახმად დროებითი მთავრობის დადგენილებისა 1917 წლის 8 აგვისტოდან დამფუძნებელი კრების არჩევნები დანიშნულია 12 ნოემბრისთვის და ვინაიდან 3 ოქტომბრიდან უკვე დაიწყო დამფუძნებელი კრების არჩევნები, ამიტომ დათხოვნილ იქნას მეოთხე სახელმწიფო დუმა და გაუქმებულ იქნას სახელმწიფო საბჭოს არჩეულ წევრთა უფლებანი.

# ყუბანის რესპუბლიკა.

(პ. დ. ს.).

**ეკატერინოდარი.** ყუბანის ჯართა რადაში გამოაქვეყნეს ყუბანის მომავალ მართვა-გამგეობის პროექტი. ამ პროექტით ყუბანის რესპუბლიკა რუსეთის ერთა კავშირის სწორუფლებიანი წევრია და მას მართავს კანონმდებლობითი რადა. რესპუბლიკის ცენტრალურ მთავრობასთან ყავს თავის ელჩი, რომელსაც ეწოდება კანცლერი. კანონმდებლობითი რადას ირჩევენ დაუყოვნებლივ. არჩევნების უფლება აქვთ ოლქში მცხოვრებ, მთიულებს ყაზახებს, გლეხებს და მიწების საზოგადოებათა წევრებს. ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა მთავრობის კომისარმა დოლგოპოლოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს პროექტი დამფუძნებელ კრების ძალა-უფლების უზურპაცია არის, ანტიდემოკრატიული ხასიათი აქვს და ქალაქს გარეშე მცხოვრებთ საარჩევნო უფლებას ართმევს. დოლგოპოლოვმა განაცხადა, რომ ყუბანის ოლქის ყაზახები თავიანთ მოქმედებით საშინელ სამოქალაქო ომს ნიადაგს უმზადებენ და ამის პასუხისმგებელი იგინი უნდა იყვნენ. მისი სიტყვის დროს დარბაზში საშინელი ხმაურობა ასტყდა, ერთათ-ერთ მემარცხენე ჯგუფს შეადგენს ფრონტის ყაზახები და ოფიცრები, რომლებიც მთელი რადის მეხუთედს შეადგენენ.

პროექტის წინააღმდეგ გამოვიდენ ფრონტის წარმომადგენლნი და გლეხები. ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ასის თავმა გერეგასიმ, რომელმაც აღნიშნა, რომ ამ პროექტით რადა გამოიწვევს სამოქალაქო ომს. გლეხებმა „ობჩინნიკებმა“ გამოაქვეყნეს პროტესტის დეკლარაცია, რომლითაც აღნიშნეს, რომ ასეთი წესით ფედერატიულ რესპუბლიკის შექმნა გამოიწვევს ასეთივე წესით მიწების საკითხის გადაჭრას. ამ დეკლარაციის წაკითხვამ მთელ დარბაზში დიდი ხმაურობა გამოიწვია. რადამ მიიღო ფედერატიულ მართვა-გამგეობის პროექტი და ამ რიგად მცხოვრებთა დიდ ნაწილს მოქალაქეობრივი უფლებები წაართვა. გლეხებმა დარბაზი დასტოვეს. კანონი დაუყოვნებლივ შედის ძალაში, რაც დროებით მთავრობას ეცნობება.

# ომის დეპეშები.

**პეტროგრადი.** 8 ოქტომბერი. მთელს ფრონტზე მზვერავთა რაზმები იბრძვიან. ზოგიერთა [illegible] „დაძმობილებამ“ კვლავ თავი იჩინა.

ბალტიის ზღვაზე ცვლილება არ მომხდარა.

**პარიზი.** 7 ოქტომბერი. მდ. ენის ფრონტზე საარტილერიო სროლა გაცხოველდა. აქ მტრის გაფანტული იერიშები მოვიგერიეთ. საარტილერიო სროლა გაცხოველდა აგრეთვე მდ. მაასის ნაპირებთან. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

**ლონდონი.** 6 ოქტომბერი. სენ-კვენტინსა და სტეენბეკეს მახლობლათ საარტილერიო სროლაა. არლეს მახლობლათ საარტილერიო სროლაა.

# ახალი ამბები

**დღეს, საღამოს 7 საათზე, ბიუროს ბინაზე (გოლოვინის პრ., № 12) დანიშნულია რ. ს. დ. მ. პ. ტფილისის კომიტეტის წევრთა კრება.**

◆ **გაფიცვა.** სპილენძის ქარხნის მუშებმა ამ ცხრა დღის წინათ გამოაცხადეს გაფიცვა, ვინაიდან მათი მოთხოვნილებანი არ დააკმაყოფილეს. მუშებმა თავიდანვე მოითხოვეს საქმე მომრიგებელ კამერისათვის გადაეცათ, მაგრამ უარი მიიღეს. გუშინ კი ქარხნის დირექტორმა მიმართა მუშებს, თუ თქვენი მოთხოვნილებებიდან დასთმობთ ზოგიერთ მუხლებს, მაშინ გადავსცემთ საქმეს მომრიგებელ კამერასო. მაგრამ მუშები თავის მოთხოვნილებებს მინიმალურათ სცნობენ და ამიტომ დირექტორის წინადადებას არ დასთანხმდენ. ამნაირათ გაფიცვა დღესაც გრძელდება.

◆ **პური.** ჯარისკაცები ხშირათ იტაცებენ პურს არამც თუ უბარათოთ, ზოგიერთ შემთხვევაში ფულსაც არ იხდიან. ამიტომ ქალაქის სასურსათო კომიტეტი მოუწოდებს მათ—ნუ წაიღებენ ზედმეტ პურს, რომ ამით უპუროთ არ დასტოვონ სხვები. ჯარისკაცებს ყაზარმაშიაც ეძლევათ თავის ულუფა და ვინც იქ არ იღებს პურს, მას შეუძლია პურის ბარათი მიიღოს.

◆ **მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს** მუშათა სექციასთან დაარსდა შრომის ბიურო ამნისტიით განთავისუფლებულთათვის. სამუშაოსა და ბინას მოკლებულ ამხანაგებს შეუძლიათ ჩაეწერონ სექციის საქმის მწარმოებლის ბინაზე სასახლეში, ყოველ დღე, 10—2 ს. და 6—8 საათამდე.

◆ **ლექცია.** დღეს, დემოკრატიულ კლუბში, „მუშტაიდ“-ში ამხ. ფირუმოვი წაიკითხავს ლექციას შრომის დაცვაზე. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

◆ **ხელის მომწერთა საყურადღებოთ.** რ. ს.-დ. მ. პ. ტფილისის ორგანიზაციის მეორე რაიონის კოლექტივი აცხადებს ამხანაგების საყურადღებოთ, რომ ხელის მოწერა პარტიულ გაზეთებზე მიიღება რაიონის ბინაზე (სახალხო სახლში). ხელის მომწერლებს გაზეთები დაურიგდებათ წინა ღლით საღამოობით.

◆ რედაქციამ მიიღო ვეგენი დეჭლის ლექსები—„სალამი“, წიგნი ოთხი ფორმისაგან შესდგება და ღირს 1 მანეთი და 50 კ.

**კრებანი და მიტინგები.**

დღეს მე-6 სავაჟო გიმნაზიის შენობაში საღამოს 6 ნახ. საათზე დანიშნულია კრება ამიერ-კავკასიის მარქსისტ მოწაფეთა კავშირის ტფილისის კოლექტივის წევრებისა. ამხანაგებს ვსთხოვთ აუცილებლათ დაესწრონ. ვინაიდან წინა კრება არ შესდგა, ეს კრება კანონიერათ ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

— დღეს, საღამოს 7 ს. მეოთხე სამილიციო უბნის მცირე კოლექტივი იწვევს ამ უბანში მცხოვრებ რ. ს. დ. მ. პარტიის წევრთა საზოგადო კრებას, მეორე სამომრიგებლო განყოფილების შენობაში (მუხრანის ქუჩა). დღის წეს-რიგი: 1) დამფუძნებელ კრების არჩევნები 2) დამატებითი არჩევნები მცირე კოლექტივის წევრებისა და 3) მიმდინარე საკითხები.

— დღეს, საღამოს 7 ს., სასახლის თეთრ დარბაზში დანიშნულია გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის წევრთა კრება.

— ხვალ, საღამოს 5 ნახ. საათზე გაზ. „ბორბა“-ს რედაქციის ბინაზე (გოლოვინის პრ. № 12) დანიშნულია პარტიულ პროპაგანდისტ-აგიტატორთა კრება დამფუძნებელ კრების არჩევნებთან შეკავშირებულ საკითხების განსახილველათ.

— დღეს, საღამოს 6 საათზე, საოლქო კომიტეტის ბინაზე დანიშნულია საგანგებო სხდომა ქალაქის ცენტრალურ საარჩევნო კომისიის წევრებისა და რაიონის წარმომადგენლებისა. საჭიროა კრებას ყველა დაესწროს.

— ხვალ, საღამოს 5 ს., ტფილისის კომიტეტის ბინაზე (გოლოვინის პრ., № 12) დანიშნულია დამფუძნებელ კრების რ. ს.-დ. მ. პ. ცენტრალურ საარჩევნო კომიტეტის წევრთა კრება. პრეზიდიუმი სთხოვს ქალაქის ყველა რაიონებს გამოგზავნონ თითო წარმომადგენელი და აგრეთვე რაიონის ყველა სამილიციო ნაწილიდან თითო წარმომადგენელი.

— 12 ოქტომბერს, საღამოს 6 ს., ავლაბრის კლუბში ამხ. სოსო ირემაშვილი წაიკითხავს ლექციას ქართულ ენაზე დამფუძნებელ კრების შესახებ.

# ამხანაგებო და მოქალაქენო!

რ. ს.-დ. მ. პარტიის თფილისის კომიტეტმა უკვე დაიწყო დამფუძნებელი კრების კამპანია. დააჩქარეთ [illegible] წვლილი საარჩევნო ფონდისათვის. შემოწირულება მიიღება, როგორც თფილისის კომიტეტის ბიუროში, გოლოვინის პროსპექტი № 12, მდივანთან, აგრეთვე უშუალოდ რაიონულ კოლექტივებში.

თფილისის კომიტეტი რ. ს.-დ. მუშათა პარტიისა.

## უკანასკნელი ფოსტა

18—19 ოქტომბერს პეტროგრადში მოხდება შრომის კომისართა ყრილობა.

რუმინიის ფრონტის დელეგატმა საბჭოს მუშათა სექციაში მოხსენება გააკეთა ჯარის მდგომარეობის შესახებ. სხვათა შორის მან სთქვა: ფრონტი დაიქანცა და ვეღარ იბრძოლებს. ჯარისკაცები შიმშილს და სიცივეს ითმენენ. უკეთუ ზავი არ იქნა ახლო ხანში ჩამოგდებული, საქმე ცუდათ წავა. მეორე დელეგატმა სთქვა: დისციპლინა ჯარში აღარ არის, ვინაიდან ჯარს ბრძოლა აღარ შეუძლიათ.

## კაკი წერეთლის ლექციაზე

8 ოქტომბერს სახელმწიფო თეატრში კაკი წერეთელმა წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: „ომი და რევოლიუცია“. ჯერ კიდევ დილიდანვე მიაწყდა ხალხი თეატრის კასსას, ქუჩაში გრძელი „კუდი“ გაკეთდა. ყველას უნდოდა დასწრებოდა რევოლიუციის გმირის ლექციას, ყველას უნდოდა მოესმინა მისი სიტყვა, მაგრამ თეატრი მთელ თფილისს ხომ ვერ დაიტევდა! ბევრი გაბრუნდა უკან დაღონებული, რომ ვერ აისრულა გულის წადილი, არ მიეცა შეძლება დასწრებოდა წერეთლის ლექციას. არაფერს არ დაზოგავდენ, ოღონდ ბილეთი ეშოვნათ. 50—100 მან. იძლეოდენ ბილეთში, მაგრამ სპეკულიაციას ვინ გასწევდა, როცა ყველას უნდოდა თეატრში შესვლა... თეატრი სულ გაივსო ხალხით, სადგომ ადგილსაც კი ვერ იშოვიდით. აიხადა ფარდა. ახალგაზრდა არწივის დანახვით გამოწვეულ ტაშისცემასა და ოვაციებს საზღვარი არა აქვს. თაიგულებითა და ყვავილებით აავსეს სცენა... სულ-განაბული უსმენენ. აქა-იქ იგრიალებს ტაში, ვერ ითმენენ, რომ არ გამოხატონ თავისი აღტაცება ლამაზათ აგებულ, ღრმა შინაარსიან წინადადებით, გამოწვეული. მაგრამ ცდილობენ შთაბეჭდილების სიძლიერე არ შეასუსტონ, მისი მთლიანობა არ დაარღვიონ... ერთმანეთს აჩერებენ, მაგრამ გრძნობებს მაინც ვერ აკავებენ, მქუხარე ტაში დრო-გამოშვებით არღვევს სიჩუმეს... ან ომი ჩაყლაპავს რევოლიუციას, ან რევოლიუციამ უნდა მოსპოს ომი—ასეთია დღეს მდგომარეობა,—ამბობს ლექტორი. 14 მარტის მოწოდება, რომელშიაც გამოიხატა რუსეთის დემოკრატიის ნება, არის საფუძველი ჩვენი საგარეო პოლიტიკისა. ამ საკითხში დემოკრატიამ გაიმარჯვა ბურჟუაზიაზე, ვინაიდან ხელი აიღებინა მის დაპყრობით პოლიტიკაზე. დემოკრატიამ თავის პლატფორმის გარშემო გააერთიანა ქვეყნის ყველა ცოცხალი ძალები, მაგრამ ევროპის ფინანსიური იმპერიალიზმი ცდილობს რუსეთის განადგურებას, რევოლიუციის ჩაქრობას, მაგრამ ამას იგი ვერ შესძლებს, ამის ნებას არ მისცემს საკუთარი დემოკრატია, რომელიც უკვე ამოძრავდა და შორს არ არის ის დრო, როცა ისიც, რუსეთის დემოკრატიის მსგავსათ, ხელში აიღებს ომისა და ზავის საკითხის გადაჭრას. და თუ დღეს, როცა ფინეთის ყურეში თავისუფლათ დაიარებიან გერმანიის გემები და პეტროგრადს ემუქრებიან, გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ არ აღიმაღლა ხმა, აქტიურათ არ გამოვიდა თავის იმპერიალისტების წინააღმდეგ—ეს შავ ლაქათ დაედება მთელ მის მოძრაობას. ჩვენი მიმართვა ევროპის მუშათა კლასისადმი ხვეწნა-მუდარა როდი არის!.. ეს არის ჩვენი მოთხოვნა, ვინაიდან რუსეთის რევოლიუციის ბედი დამოკიდებულია საერთაშორისო დემოკრატიის ამოძრავებაზე და თავის მხრით, ამ დემოკრატიის მომავალიც შეკავშირებულია რუსეთის რევოლიუციის გამარჯვებასთან. რევოლიუციას, რომ კიდევ დაეგვიანებია, შესაძლებელია რუსეთი დაღუპულიყო კიდეც, მაგრამ დღეს დემოკრატიამ აიღო მისი ბედ იღბალი ხელში და დემოკრატია კი არ უღალატებს სამშობლოს, არამედ —უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს მას.

ლექციამ მეტათ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. არ შეიძლია არ დაეთანხმოო, ამბობდენ ისინიც კი, ვინც პირველად არ იზიარებდა კაკის ტაქტიკას, თეატრთან აუარებელ ხალხს მოეყარა თავი კაკის სანახავათ; ოვაციებს დასასრული არ ჰქონდა. როცა კაკი ქუჩაში გამოვიდა „გაუმარჯოს წერეთელს“ ძახილით და მქუხარე ტაშით მიაცილეს იგი ავტომობილამდე, და არ დაშლილან, სანამ ავტომობილი სავსებით არ მიიმალა.

ვენ—ხონ.

## აბასთუმანის და ბორჯომის მამულების გარშემო.

(რევოლიუციონურ ორგანიზაციების საყურადღებოთ)

ერთი თვეა რაც საზოგადოებაში გავრცელებული მითქმა-მოთქმაა აბასთუმანის და ბორჯომის სასახლეების გაყიდვის შესახებ. დაჟინებით ამბობენ, რომ მილიონერი მანთაშოვი ცდილობს ხელთ იგდოს ბორჯომის დიდი მთავრის სასახლეები და მათ შორის ლიკანის შესანიშნავი ბაღი. კაპიტალისტების მაკლეორები დაძვრებიან კანცელარიებში, რომ ფორმალური ნასყიდობა გააკეთონ და ჩვენ ხალხს ერთი უმთავრესი და უმშვენიერესი სიმდიდრე ხელიდან გამოაცალონ. ჩვენ შევეკითხეთ ამის შესახებ ყველა საჭირო ორგანიზაციებს და კერძო პირებს, მაგრამ ნამდვილი ცნობების მიღება ყველგან გაჭირდა. მიხეილ ალექსანდროვიჩის რწმუნებული პოლკოვნიკი დვორჟეცკი გადაჭრით უარყოფს, რომ არ აქვს დავალებული აბასთუმნის სახლების გაყიდვა, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმ დავალებას, რომელიც მას ეძლევა დიდი მთავრისაგან მიცემული რწმუნებულობის ქაღალდით, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ დვორჟეცკის შეუძლია გამოარკვიოს თუ როგორ პირობებში შეიძლება აბასთუმანის სასახლეების და დიდი მთავრის ქონების ლიკვიდაცია.

ბორჯომის სასახლეების შესახებ კი დაჟინებით ამბობენ, რომ მანთაშევი და, თუ არ ვცდები, სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებაც, ცდილობენ ამ ქონების შეძენას. ეს მით უფრო შესაძლებელია, რადგანაც ვიცით, რომ მანთაშევმა უკვე შეუდგა კავკასიის სხვა ადგილებში აგარაკების და სანატორიების შეძენას. მან შეისყიდა კისლავოდსკის სანატორია და ეხლა ამიერ კავკასის სააგარაკო ადგილების შეძენას ფიქრობს.

ამ ცნობების გამოქვეყნების შემდეგ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კავკასიის რევოლიუციონური ორგანიზაციები და დროებითი მთავრობა ყურადღებას მიაქცევს საქმის მდგომარეობას და ბორჯომ-აბასთუმნის შესანიშნავ მამულებს და სასახლებს კაპიტალისტებს არ ჩაუგდებს ხელში. მით უმეტეს მთელი ეს სიმდიდრე მომავალ ერობას უნდა გადაეცეს და ის მისი შემოსავლის ერთ უმთავრეს წყაროთ იქცეს.

საჭიროა დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს ამიერ კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტისაგან და რევოლიუციონურ ცენტრებისაგან განკარგულება, რომ აკრძალულია რომანოვთა გვარეულობის ქონების გაყიდვა დამფუძნებელ კრებამდე, ეს მით უფრო საჭიროა, რადგანაც გაზეთებმა ცნობა მოიტანეს, რომ პეტროგრადში ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ გზათა უწყებას ორ მილიონათ მიყიდა თავისი სასახლე. სწორეთ ამავე მიზნით შეუძლიათ გაყიდონ ბორჯომის და აბასთუმნის სასახლეები. და თუ ეს მაინც აუცილებელი იქნება და სასახლეებს იცნობენ კერძო საკუთრებათ, მაშინ საჭიროა ის ხელში ჩაუვარდეს არა კაპიტალისტებს და კერძო პირებს, არამედ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც მომავალში ბატონ პატრონი იქნებიან მთელი ჩვენი ქვეყნის სიმდიდრის.

ღრმათ გვწამს, რომ კავკასიის რევოლიუციონური ორგანიზაციები დაუყოვნებლივ მიიღებენ შესაფერ ზომებს და ბორჯომ-აბასთუმნის შესანიშნავ სიმდიდრეს ხალხს არ დაუკარგავენ.

დ. რუხაძე.

P. S. ვთხოვთ ადგილობრივ რუსულ-ქართულ გაზეთებს გადაბეჭდონ. დ. რ.

## ზუგდიდის საქალაქო არჩევნები.

1 ოქტომბერს მოხდა არჩევნები ქალაქის თვითმართველობაში. არჩევნებს წმინდა საქმიანი ხასიათი ჰქონდა. ბრწყინვალე ამერიკულ რეკლამებს ადგილი არ ქონია არც ერთი პარტიის მხრივ. სამდივნოთ მიტინგებზე და კრებებზე გულმოდგინეთ უსმენდენ საარჩევნო პლატფორმებისა და პარტიათა პროგრამების გარჩევას. ჩხუბსა და უწესოებას არც საარჩევნო კამპანიისა და არც არჩევნების დღეს ადგილი არა ჰქონია. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდე მთვრალ სალდათის ცდას, არჩევნებისათვის ხელი შეეშალათ იმიტომ, რომ სოც.-რევოლიუციონერები არ ღებულობდენ მონაწილეობას არჩევნებში. ეს თქვენი ბრალია, გვიკიჟინებდენ ჩვენ, სოც.-დემ; საქმე იმაშია, რომ სულ რადგანაც 50—60 სოც.-რევოლიუციონერებს ჩვენ ვაძლიეთ ჩვენს სიაში 2 ადგილი პირველ ნომერში, და ორიც უკანასკნელში. მათ მოითხოვეს 4 პირველში და 4 ბოლო ნომრებში. ჩვენ არ დავთანხმდით და ისინი საკუთარი სიით გამოვიდენ არჩევნებში, რადგანაც კანდიდატთა გაყვანა არ შეეძლოთ. ამიტომ იყო, რომ აამხედრეს რამოდენიმე სალდათი. საქმის გარემოება რომ შეიტყვეს, სალდათები დამშვიდდენ... აღსანიშნავია, რომ ზოგი სოც.-ფედერალისტები „მუშათა პარტიის“ და „დემოკრატიის“ სახელით თავიანთ ბიულეტენებს უდგმიდენ კონვერტებში განაპირა უბნებში მცხოვრებ გლეხებს. მათ განუცხადეს ეს საარჩევნო კომისიას, რომელმაც გამოუცვალა კონვერტები. არჩევნების შედეგი ასეთია: სოც.-დემ. 785 ერგო 10 ადგილი, სოც.-ფედ. 370—ან ადგილი, ხოლო ნაც.-დემ. 342—ნ ადგილი. არჩევნებში მონაწილეობდა 61 პროც. ამომრჩევლებისა, რომლებიც სიაში იყვენ შეტანილი. სიის გარეთ დარჩა 400-მდის კაცი, უმთავრესათ ჩვენი მომხრენი. ჩვენ გვეძლევდენ ხმას განაპირა უბნები და ნოქარ-მუშა-ხელოსნები, ნაც.-დემ.—ვაჭრები და სოც.-ფ. ინტელიგენცია და მოხელეები.

P. S. ჩვენი გამარჯვება მით უფრო საყურადღებოა, რომ ზუგდიდი ნაციონალისტების მიუვალ სიმაგრეთ ითვლება. მე ვამბობ ქალაქ ზუგდიდზე და არა მაზრაზე.

## თფ. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოში.

(7 ოქტომბრის სხდომა).

7 ოქტომბერს სახალხო სახლი არაჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდა. ყველამ იცოდა, რომ ამ დღეს სხდომას დაესწრებოდა კაკი წერეთელი. დარბაზში ტევა არ იყო. ქანდარა გვერდე პირებით იყო გაჭედილი. ყველა მოუთმენლათ მოელოდა რევოლიუციის სახელოვან ბელადის ნახვას. სხდომას თავჯდომარეობს ნოე ჟორდანია. შეუდგნენ დღის წესრიგის განხილვას. ამხ. შარაშიძე აკეთებს მოხსენებას ქუთაისის დარბევის შესახებ. ამ დროს სცენაზე გამოჩნდა კიდეც კაკი წერეთელი. მის დანახვაზე ასტყდა ტაშისცემა, ოვაციები. საერთო მხიარულებაში, საერთო აღტაცებაში დისონანსი ბოლშევიკებმა შეიტანეს: დაინახეს კაკი თუ არა, მათ დასტოვეს დარბაზი და სანამ თფილისის დემოკრატიის წარმომადგენლები შეხვედრას უმართავდენ თავის საყვარელ ხელმძღვანელს, ისინიც არ შემოსულან დარბაზში. კაკიმ მიმართა დამსწრეთ სიტყვით. აქ, საბჭოში,—სთქვა, მან —მე ვგრძნობ თავს მშობლიურ სტიქიაში. რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე დავუკავშირდი საბჭოებს, ვხელმძღვანელობდი მათი ორგანიზაციული მუშაობით. საბჭოების მნიშვნელობა რევოლიუციის საქმეში დიდია. ისინი ყოველთვის ებრძოდნენ კონტრ-რევოლიუციონერებს და ამიტომ იყო მოსკოვის თათბირზე იერიში მიიტანეს მათ წინააღმდეგ, მოინდომეს მათი მოსპობა. იმათ კარგად იცოდნენ, სანამ არსებობს საბჭოები, კონტრ-რევოლიუციის გამარჯვებაც შეუძლებელია. ყველა დარგში დემოკრატიის ერთად-ერთი ორგანო—ეს მ. და ჯ. საბჭო იყო. თვითმართველობის ორგანოთა აღორძინების შემდეგ, საბჭოები არამც თუ მათ წინააღმდეგ წავიდენ, სიამოვნებით დაუთმეს კიდეც ზოგიერთი ფუნქციები, დაუცალეს მათ გზა, მაგრამ სანამ ახალი სახის ორგანიზაციათა მოწყობის პროცესი არ დამთავრებულა, საბჭოებმაც უნდა იდგეს თავის პოსტზე რევოლიუციის დასაცავათ, ვინაიდან მათ შეუძლიათ თავის ადგილის დათმობა მხოლოდ დამფუძნებელ კრებისთვის. სამხედრო ორგანიზაციებიც შეიცვლება მაშინ მილიციით, მაგრამ ეს არ იქნება მათი სიკვდილი, ისინი მხოლოდ მიიღებენ ახალ სახეს, ახალ ფორმას. მხოლოდ იაკობინელთა რესპუბლიკანური კლუბები თუ შეედრება მნიშვნელობით ჩვენს საბჭოებსო—სთქვა ორატორმა. და იქონიებს რა მხედველობაში საფრანგეთის რევოლიუციის მაგალითს, რუსეთის პროლეტარიატი გაიკვლევს გზას მომავლისაკენ ყველა ცოცხალ ძალთა შეერთებითო.

ქუთაისის დარბევის შესახებ მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ამ ჟამათ ქუთაისში სრული წეს-რიგია აღდგენილი, ეძებენ ნაძარცვ ნივთებს, სწარმოებს ჩხრეკა-დაპატიმრება. მცირე კამათის შემდეგ ერთის წინააღმდეგ ერთხმათ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ, მოისმინა რა ცნობა ქუთაისის დარბევის შესახებ, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ ჯარისკაცები, დაადგინა: ვინაიდან მსგავსი გამოსვლები მიმართულია რევოლიუციისა და ქვეყნის წინააღმდეგ, მოუწოდოს თფილისის გარნიზონის ჯარისკაცებს დაიცვან სრული წეს-რიგი და რევოლიუციონური დისციპლინა როგორც თფილისში, ისე მის გარეშეც და არ უნდა შეჩერდეს არავითარ საშუალების წინაშე ყოველგვარ ექსცესებისა და დარბევის მიზნით გამოწვეულ გამოსვლების ჩასაქრობათ, რა მოსაზრებითაც და ვისგანაც არ უნდა იყოს იგი მოწყობილი“.

დამფუძნებელ კრების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ალ. ლომთათიძემ *). ბოლშევიკებმა განაცხადეს, კერენსკის ბრძანების თანახმათ ჩვენ საშუალება არა გვაქვს გაწარმოოთ ფრონტზე საარჩევნო აგიტაცია და გავავრცელოთ ჩვენი ლიტერატურაო. ამის გამო საბჭომ დაადგინა, მიეცეს ყველა პარტიას საშუალება აწარმოოს აგიტაცია.

დემოკრატიულ თათბირის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ნოე ჟორდანია **). ახლა არსებობს კოალიციონური მთავრობა,—სთქვა სხვათა შორის მომხსენებელმა,—მაგრამ იგი თითქმის არც არის კოალიციონური. სოციალ-დემოკრატებიდან შედის მხოლოდ ერთი პარტიული მოღვაწე—გვოზდიოვი, დანარჩენები არ არიან ცნობილი, როგორც პარტიული მუშაკები, სოც.-რევ. მხრითაც პარტიული მუშა მხოლოდ კერენსკია. ბურჟუაზიის მხრით კი მთავრობაში შედიან ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები, როგორიცაა კონოვალოვი და კიშკინი. მაშასადამე, უპირატესობა მთავრობაში ბურჟუაზიას ეკუთვნის.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. ბოლშევიკები აღნიშნავენ, რომ საჭიროა გამოიცვალოს თვით სახელმწიფოებრივი აპარატი, იგი უნდა იყოს ან ბურჟუაზიული, ან დემოკრატიული, საშუალო გზა არ არსებობსო. თავის რეზოლიუციაში ისინი მოითხოვენ მართვა-გამგეობის საბჭოების ხელში გადასვლას და საბჭოთა ყრილობის მოწვევისათვის ხელის შეწყობას. კამათში მონაწილეობა მიიღო კაკი წერეთელმაც. აქ ლაპარაკობენ პროლეტარიატის და საბჭოების მთავრობაზე. ბოლშევიკები ბევრ დაპირებებს იძლევიან, მაგრამ ახლავე რომ არ იძლეოდენ ამ დაპირებებს, ისინი მაინც იძულებული იქნებიან როცა მართვა-გამგეობას ჩაიგდებენ ხელში, განახორციელონ პროლეტარიატის მოთხოვნილებანი, თვით სოციალიზმიც კი, ეს კი რუსეთში შეუძლებელია, როცა ევროპაში ბატონობს ფინანსიური იმპერიალიზმი. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი იმისთვის აიღებენ მართვა-გამგეობას ხელში, რომ დაიცვან ბურჟუაზიის ქონება. ამის ნებას კი პროლეტარიატი მათ არ მისცემს, ვინაიდან იგი ამისთვის არ იღწვის დიქტატურისაკენ. პროლეტარიატის დიქტატურა გულისხმობს სოციალისტურ რევოლიუციას, ისე მის დიქტატურას აზრი არა აქვს. ჩვენ ჩვენი ტაქტიკით დღემდის მოვიყვანეთ რევოლიუცია და მე არ ვიცი, შესძლებდენ კი ბოლშევიკები 6 კვირის განმავლობაში მაინც შეენახათ რევოლიუცია?

საბჭომ ამ საკითხში შეიწყნარა ნოე ჟორდანიას რეზოლიუცია, რომელიც იქნა მიღებული ამას წინათ საბჭოთა ცენტრის სხდომაზე *).

ვენე.

*) იხ. „ერთობა“ № 163.
**) იხ. „ერთობა“ № 160.

## მუშათა შორის.

**ხალხი მუშანი.** 8 ოქტომბერს საღამოს 4 საათზე იყო დანიშნული საზოგადო კრება „სასაკლაოს“ სალახ მუშების. განსარჩევი იყო შემდეგი კითხვები: მუშათა და „ხაზეინებს“ შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების განხილვა; კოლექტიური ხელშეკრულების პირობების შემუშავება; პროფესიონალური კავშირის მოწყობა; მოწვეული იყო ერთი ამხანაგი საბჭოდან. დანიშნულ დროზე მოწვეული ამხანაგი მოვიდა, მაგრამ, სამწუხაროთ, სულ ოთხი მუშა მოვიდა. საათნახევარ ლოდინის შემდეგ ისინიც გულდაწყვეტილნი წავიდენ. არ ვიცი, რა ეწოდოთ ზოგიერთი ამხანაგების ასეთ გულგრილობას. დღეს, როდესაც ყველა მუშა ცდილობს შეერთებას და შეერთებულ ძალით თავის ბედის გამოკეთებას, სასაკლაოს მუშები სადღაც ძილს მისცემიან. იმის მაგიერ, რომ საერთო მუშათა მოძრაობის ფერხულში ჩაებან, ისინი ხელს უშლიან საერთო საქმის კეთებას. ერთმანეთ შორის მეტი ადგილი უჭირავს შურს და მტრობას, ვიდრე ერთსულოვან მოქმედებას. და აი, სწორეთ ეს არის მათი ამგვარი საერთო საქმისადმი გულგრილობის მიზეზი. დრო ამხანაგებო გონს მოხვიდეთ! „ხაზეინები“ ირაზმებიან, იგინი მჭიდროთ კავშირდებიან თავიანთ კავშირში. თქვენ კი, ხელს გიშლიან შეკავშირებაში. ამისათვის ისინი არც ფულს და არც სხვა საშუალებებს არ იშურებენ, რომ თქვენში განხეთქილება შეიტანონ. მათ კარგათ ესმით თქვენი შეერთების მნიშვნელობა. მათ აშინებთ თქვენი შეერთებული ძალა. ამიტომ ცდილობენ თქვენს განცალკევებას. ზოგიერთი ამხანაგები შეუგნებლათ ეგებიან მათ ანკესზედ. ასე დაუფიქრებლათ სწორეთ იმ ტოტის მოჭრას უწყობენ ხელს, რომელზედაც თვითონ სხედან. ამხანაგებო! ახლა, როდესაც მსოფლიო მუშათა მოძრაობამ თავის ერთსულოვანი ბრძოლით აღგავა ქვეყნის პირიდან ბნელეთის მოციქულები და მოგვცა თავისუფალი ასპარეზი სამოქმედოთ, ჩვენი პირდაპირი მოვალეობა არის ვისარგებლოთ მოძმეთა შრომის ნაყოფით. ჩვენი საუკეთესო ამხანაგები თავს არ ზოგავენ საზოგადო საქმისათვის და ნუ თუ ჩვენ ჩვენი პირადი საქმისათვის არ გვემართებს, რომ შევეცადოთ? ჩვენ უნდა მოვაწყოთ ჩვენი საკუთარი საქმე. თითქმის აღარ დარჩენილა არც ერთი დარგის მუშა, რომ არ იყოს პროფესიონალურ კავშირში შეკავშირებული. მათ აქვთ თავიანთი ცენტრი, საკუთარი კავშირების ჟურნალი. იგინი მწყობრათ ცდილობენ საერთო ძალით გამოიჭედონ მუშათა და საყოველთაო ბედნიერება. ამხანაგო სალახებო! შეურთეთ თქვენი ხმა მთელ მუშათა ხმას და ერთად ხელი ხელ ჩაკიდებული გავსწიოთ აღთქმულ ქვეყნისაკენ, სადაც არ ექნება ადგილი ერთი მეორის ჩაგვრას, სადაც იმეფებს ძმობა, ერთობა, თანასწორობა.

მაშ, გაუმარჯოს ძმობას! გაუმარჯოს სოლიდარობას.

ი—ბ.

*) „ერთობა“ № 163.

## ამხ. ვლასა მგელაძის სიტყვა

კაკი წერეთელს, შეხვედრის დროს, 5 ოქტომბერს, ვლასა მგელაძემ შემდეგის სიტყვით მიმართა: ამხანაგებო და მოქალაქენო! ვის ელოდა ასე მოუთმენლათ კავკასიის პროლეტარიატი, კავკასიის დემოკრატია? რამ შეაერთა თფილისის სხვადასხვა ერები ვარსკვლავებით მოკაჭკაჭებულ ცის ქვეშ? ამ აღტაცებულ ხალხის თავზე ვის დასახვედრათ ფრიალებენ წითელი ფერადი დროშები? ძველათ ასე მეფეებს ხვდებოდენ! აქ კი, ჩვენ წინ დგას ჩვენი წრიდან ამოზრდილი, ჩვენი საყვარელი კაკი წერეთელი.

ვინ არის კაკი—„ბავშვმაც კი იცის მისი სახელი“!

ძვირფასო კაკი!

აი ეს ბავშვი, რომელიც შენ შეგეგებება თაიგულით ხელში ამ ტრიბუნაზე, რომელიც მორწყულია ხალხის სისხლით და რომელიც თავისუფლების გმირთა ძვლებ-ტვინ-ნერვებზე არის დამაგრებული, რომლის გარშემო ამაყათ ფრიალებენ თავისუფლების დროშები, არის შვილი კავკასიის მუშათა საყვარელი [illegible] ჯიბლაძის [illegible] მოსვლას!..

კაკი! აჰა თფილისი
სადაც ელიმართა პირველათ
დროშა უკვდავი, დიადი,
გააცისკროვნა კავკასი
და შორს გაჰფანტა წყვდიადი!..

ამ ათი წლის წინათ სხვებთან ერთად შენ აგირჩიეთ კავკასიიდან მეორე სახელმწიფო სათათბიროში და როცა თფილისის სადგურზე გაცილებდით ჯალათ მეფის დამცველებმა მათრახებით გვიფრინეს და სიტყვის თქმა არ დაგვანებეს, მაგრამ მალე შენი მქუხარე, ცეცხლ-მფრქვევი სიტყვები მძლავრათ გაისმა დუმის ტრიბუნიდან და მთელი ქვეყნის ყურადღება მიიპყრო... მიიპყრო, მაგრამ სხვებთან ერთად ჯალათებმა შენი საყვარელი თავი მოაგდ[ე]ს ალყაში, შენ ჭეშმარიტების დასაცავათ ამეტყველებულ ენაზე კლიტე დაადვეს, ფეხებში ბორკილები შეგიყარეს და შენს ჭკვიან, შორს-მჭვრეტელ თვალებს რკინის მესრები მოუჩინეს საზღვრათ!

რუსეთის რევოლიუციის წინ-მსვლელობა რეაქციონერებმა სისხლში ჩაახრჩეს. სოც.-დემოკრატიული ფრაქცია, ჩვენდა ბნელაში სასიკვდილოთ წყვდიადში დამწყვდეული, დროებით ჩაქრა!..

მიუხედავათ ამისა აქ აღმართული დროშა ხელიდან-ხელში გადადიოდა, მის დასაცავათ ამხანაგები მას მსხვერპლათ ეწირებოდენ! ამ დროს, ამ ბრძოლაში შენი ხმა ვით გალიაში დამწყვდეული ლომის—გვესმოდა; შენი არწივისებური თვალები ჩამქრალ სარკმლიდან ჩვენკენ იყო მოპყრობილი!..

რუსეთის თვალუწვდენელ სივრცეზე თავისუფლების დასაცავათ მებრძოლნი ისე კვდებოდენ და ჰქრებოდენ, ვით ჩვენ საყვარელ სამშობლოს ცაზე მოწყვეტილი ვარსკვლავი, მაგრამ მებრძოლთა რაზმს ისე ემატებოდა, როგორც ცის სივრცეში ვარსკვლავთა მნათობთ და ისე იკვირტ იფურჩქნებოდენ ვითარცა მათის ბუჩქნარზე ყვავილები!..

და როცა ტახტი მხაკვრებისა და მონობისა დაემხო, ჩვენი საყვარელი კაკი ციმბირიდან აქ, ჩვენ შვენიერ საქართველოს წალკოტ ნახევრში კი არ მოსულა დასასვენებლათ და გასანცხრომათ, არამედ იქ პეტროგრადში, რუსეთის ცენტრში მიიჭრა, სადაც სხვადასხვა ჯგუფები და კლასები ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ იბრძოდენ და ამ ბრძოლაში კაკის ხმა მძლავრათ გაისმა, მისმა გამოსვლამ მთელი ევროპის ყურადღება მიიპყრო და მშრომელ ხალხს იმედით გული აუვსო!..

მასში მთავრობის ჯალათებმა არამც თუ ჩაკლეს და ჩააქრეს ის ღვთიური ცეცხლი, რომელიც ნაპერწკალსავით დუმის ტრიბუნიდან გამოკრთა, არამედ ციხე-ბორკილებში გამოიბრძმედა, ვითარცა ფოლადი გამოაწრთოთ, ჭკუა-გონებით გაივსო და ვით მოვლენარე მზე დიდებით გამობრწყინდა!..

თავრიდის სასახლეში მისი გამოსვლები მეგობარ პატროკლის დამკვირვებ შორით სავსე ანალეს ემზგავსებოდა, მისი თავისუფლებისადმი აღსავსე გული, სიყვარულობით თავ-დავიწყებულ ტარიელ-ავთანდილს, მისი ენა წყლიანობა, სიმახვილე სოფოკლეს, მისი პოლიტიკური გაბედული ნაბიჯები ლასალს ედარებოდა!..

კავკასიის მხარეს მისი მოსვლის ხმა ელვის სისწრაფით მოედო; ამომავალ მზის სხივებით განდევნილ არსებასავით ხალხს გული აუტოკდათ, მოუთმენლათ, სიამოვნებით ნამტირალევ თვალებით კავკასიონის მთა გრეხილისკენ ვიცქირებოდით!..

ნანატრი წამი მოგვიახლოვდა! მყინვარიალბუზის მწვერვალს ამომავალმა მზის სხივებმა სპეტაკი თავი გადაუკოცნა, მის უმანკოებას ეამბორა და მშვენიერ საქართველოს ახატულ-აჭრელებულ კალთებში სხივები ოქროს ფერათ დააფრქვია!.. ჩვენი მთების შიკრიკი—ბროლივით გამჭვირვალე მჩქეფარე არაგვი სიხარულით სამახარობლოდ სამშობლო მხარისაკენ შხრიალებდა და სასიამოვნო ამბავით არე-მარეს ახმაურებდა!..

მთის სიო ნიავი, სისწრაფით კავკასიის კალთებს, ველ-მინდორს თავს ევლებოდა, ყვავილ-მცენარეს აშრიალებდა, მშობელ მხარეს საამაყო შვილის მოსვლას ამცნობდა!..

კავკასიის მრავალ-რიცხოვანი ტომები, პარტია-ჯგუფები კაკის დაჩემებაში ერთმანეთს ეცილებოდა!

შავი ზღვა წითელ ზღვას, არარატი-იალბუზ-მყინვარს კავკასიის გარშემორტყმული მთები გრგვინვით ერთმანეთს გასძახოდა: ეს ჩვენი საერთო შვილია! კავკასიის ქედზე მიჯაჭვულ ამირანს ბორკილები დაუმსხვრევია და ხალხის მზეთა-მზის ქაბუკ ამირანის ზეიმი, საერთო დღესასწაულია, მის ბუნებაში ჩვენი ძალა გამოსჭვივის...

დედამიწის ყოველ კუთხიდან ისმოდა ხმა: მშვენიერ საქართველოს და კავკასიის შვილის ტახტი მსოფლიოს ინტერნაციონალური სახელითაა!..

როცა მდიდართა კლასებმა, ძმობა-ერთობა-სიყვარულის ტახტი დაანგრიეს და დროებით ქვეყანაზე ჯოჯოხეთი გაამეფეს, როცა მთელი ქვეყნის კულტურა გაანადგურეს, რომლებიც კაცობრიობას ისეთ ადამიანებს ვერაგულათ ჰკლავენ, როგორც ქურდსია, მაშინ მუშათა კლასი თავის წრიდან კაკი წერეთელს იძლევა, წამების გვირგვინით შემოსილი საკაცობრიო კვარცხლ-ბეკზე აყავს, მოწამეებრივი შარავანდედის სხივით მოსავს და ეუბნება:

თქვენ მიერ ნათესს ნარ-ეკალში მუშათა კლასმა ასეთი ყვავილი კაცობრიობის სასახელოთ ამოგზარდეთო!..

სად არის სიკვდილო ძალა შენი?!
სად არის წყვდიადო სიბნელე შენი?!
სად არის ბოროტებავ მზაკვრობა შენი?!

მშვენიერება დიდებით იმოსება. და შენ, კავკასიის არწივო, ათი წლის ტანჯვა-წამების შემდეგ, ამ წითელი დროშების ქვეშ გაიხარე გულით და ცამდის სულით!..

## სოც.-დემ. პარტიაში.

**სენაკის სამაზრო კომიტეტი რ. ს. დ. მ. პ. მოხსენებიდან.** ჩვენში პარტიულ მუშაობას 14 წლის ისტორია აქვს. ორგანიზაცია არსებობს 1903 წლიდან. მიმდინარე წლის მარტამდე სენაკისა და ზუგდიდის მაზრა გაერთიანებული იყო ერთ ორგანიზაციაში. არსებობდა სამეგრელოს ხელმძღვანელი ჯგუფი ს.-დ. პარტიისა. 1905 წ. ორგანიზაცია ფართე ხასიათისაა. რეაქციის გაბატონების დღიდან პარტიული მუშაობა გადადის ვიწრო კალაპოტში. სოფლებთ არსებობს ვიწრო პარტიული ჯგუფები 8—10 კაცისაგან შემდგარი. მიმდინარე რევოლიუციის დასაწყისამდე მთელ სამეგრელოში არსებობდა 10-მდე პარტიული ჯგუფები. სადაც ასეთი ჯგუფების არსებობა შეუძლებელი იყო, იქ თითო-ოროლა მოწინავე ამხანაგი პარტიული მაინც იყო და ამათის საშუალებით ჩვენს პარტიას საშუალება ეძლეოდა დემოკრატიულ მასაში ეწარმოებია დემოკრატიული საქმე, როგორიცაა კოოპერატივებში, წვრილ საკრედიტო ამხანაგობებში, ბიბლიოთეკებში და სხვა კულტურულ დაწესებულებებში მუშაობა.

მიმდინარე რევოლიუციის დაწყებისთანავე ჩვენს პარტიულ მუშაობას და პარტიულ ორგანიზაციებს მიეცა ფართე ხასიათი. ორივე მაზრის ერთ ორგანიზაციაში თავის მოყრა ტეხნიკურათ შეუძლებელი გახდა და კიდევაც სენაკის მაზრამ შექმნა ცალკე სამაზრო პარტიული კომიტეტი, ზუგდიდისამ ცალკე.

მთელს მაზრაში და მხარეში რევოლიუციის ხელმძღვანელობა, დემოკრატიის შეკავშირება სხვადასხვა რევოლიუციონურ ორგანოებში იკისრა მხოლოდ ჩვენმა ორგანიზაციამ და ჩინებულათაც დააგვირგვინა ამ ნიადაგზე მუშაობა. მთელი დემოკრატიული მასა შემოკრბა ჩვენს პარტიულ ლოზუნგების გარშემო. ყველგან მოეწყო მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოები, სოფლის რაიონული და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტები. ყოველივე ამ ორგანოების შექმნა სულ რამოდენიმე დღის საქმე იყო. ყველა არჩევნები ჩვენი პარტიის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. სხვა პოლიტიკური პარტიები ამ დღეებით მუშაობის ასპარეზზე ხელის შემშლელათ გამოდიოდენ.

დემოკრატიულ მუშაობის, საერთო გამოსვლების, მიტინგების ხანის განვლის შემდეგ ჩვენი მთავარი ყურადღება მიექცა პარტიულ ორგანიზაციების შექმნას და სისტემატიური მუშაობის გაჩაღებას. შეიძლება ითქვას, რომ ამ ნიადაგზე მუშაობამ ჯეროვანი ნაყოფი გამოიღო და დღეს სენაკის მაზრაში არსებობს ერთი მტკიცე სოც.-დემ. ორგანიზაცია.

დღეს ჩვენი პარტიული ორგანიზაციის მუშაობა განიყოფება რამოდენიმე ნაწილად: 1) მუშაობა წმინდა პარტიული პარტიულ მასაში, 2) მუშაობა წმინდა დემოკრატიული ფართე დემოკრატიულ მასაში და დემოკრატიულ ორგანოებში, 3) მუშაობა მუშათა საკითხის გარშემო, 4) მუშაობა მიწის საკითხის გარშემო, 5) მუშაობა კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ და 6) მუშაობა დამფუძნებელი კრების საარჩევნო კამპანიის გარშემო.

მთელს სენაკის მაზრაში ამ ჟამად 28 ძირითადი ორგანიზაციაა თავის კოლექტივებით, სასოფლო და სარაიონო. სენაკის მაზრაში სულ 28 სასოფლო საზოგადოებაა და დღეს არ არის სოფელი და საზოგადოება, სადაც პარტიული ძირითადი ორგანიზაცია არ არსებობდეს. ერთი სოფლის საზოგადოების პარტიული მასა წარმოადგენს ერთ ძირითად ორგანიზაციას. ყველა 28 ძირითადი ორგანიზაცია დაყოფილია 9 რაიონებად: ქ. სენაკი, სენაკის რაიონი, ძველ-სენაკის რაიონი, ნოქალაქევის, ბანძის, მარტვილის, კინოთ-სალხინოს, აბაშის და სუჯუნის. ყველა ორგანიზაციებში პარტიის წევრთა საერთო რიცხვი ამ ჟამათ უდრის—6459. თითოეულ კუთხე-სოფლის წევრებს ყავს თავის ხელმძღვანელი ჯგუფი, ერთად მთელ საზ. პარტ. წევრებს კი თავისი კოლექტივი. ყველა კოლექტივებს კვირაში ერთხელ დანიშნული აქვთ თავისი მორიგი სხდომა და იმართება კიდეც სისტემატიურათ მიმდინარე პარტიულ თუ დემოკრატიულ კითხვების გასარჩევათ. ამავე დროს ორ კვირაში ერთხელ მაინც იმართება თითოეულ სოფელში პარტიის წევრთა საერთო კრება, სადაც მოწინავე ამხანაგები და პროპაგანდისტები უხსნიან მომენტის საჭირბოროტო კითხვებს და აცნობენ პარტიულათ. ზოგიერთ მოწინავე რაიონებში კი კვირაში ერთხელაც იმართება პარტიული კრება. ამ გვარათ მთელს მაზრაში დაწყებული მაისიდან სექტემბრის დამლევამდე გამართულა სულ პარტიული კრება 200-მდე, სადაც მოწინავე ამხანაგებს თანახმათ სამაზრო პარტიულ კომიტეტის დადგენილებისა ქონდათ მსჯელობა პარტიულ პროგრამულ საკითხებზე, მეტწილობრივ მომენტზე, პარტიულ ყრილობების დადგენილებებზე, დამფუძნებელ კრებაზე, დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, მიწისა და ეროვნულ საკითხებზე. რომ ამ კრებებს მიეცეს შინაარსიანი ხასიათი და პარტიულ მასამ გამოიტანოს რაიმე გონებრივი საზრდო, სამაზრო პარტ. კომიტ. უგზავნის ადგილებში აგზავნის პასუხისმგებელ პროპაგანდისტებს. პასუხისმგებელი პროპაგანდისტები კომიტეტს ყავს დაქირავებული ხუთი. თითოეულ რაიონში მოწყობილია პროპაგანდისტთა კოლეგია, სადაც შედიან ასე თუ ისე მოწინავე ამხანაგები, მასწავლებლები და სხვა... ამ კოლეგიების კრება იმართება ორ კვირაში ერთხელ, სადაც კოლეგიის ყველა წევრები წინასწარ ითვალისწინებენ იმ კითხვებს, რაზედაც უნდა იქონიონ მსჯელობა ხალხთან და პარტიულ მასასთან. ამ მხრივ პროპაგანდის საქმის დაყენებამ ნაყოფიც გამოიღო: დღეს პარტიულ მასას მთავარ პარტიულ და სადღეისო საკითხებზე ელემენტარული წარმოდგენა აქვს.

ჩვენი ორგანიზაცია სიტყვიერი პროპაგანდასთან ერთათ მთავარ ყურადღებას აქცევს წერილობითი პროპაგანდასაც. ამისათვის მას ორს მთავარ პუნქტში ყავს დანიშნული პასუხისმგებელი აგენტები, რომელთა მოვალეობას შეადგენს პარტიულ ორგანოსა და პარტიულ წიგნაკების გავრცელება. სენაკში მოდის „ერთობა“, „სოციალ-დემოკრატი“ და სხ. პარტიული გაზეთები, პარტიული წიგნაკები,—გამოცემანი საოლქო კომიტეტისა, ქუთაისის და ბათუმის კომიტეტისა. აგენტს მოსდის რამოდენიმე ასობით თითოეული გამოცემა და სადღეგა უკლებლივ. აგრეთვე გამოწერილია სატახტო პარტიული ორგანოც, რამოდენიმე ათი ცალი მოსდის იქიდანვე რუსულ ენაზე პარტიული ბროშიურები და ყველა უკლებლივ გადის.

თითოეულ რაიონში რაიონულ კოლექტივს ყავს თავის პასუხისმგებელი კორესპონდენტი, რომლებიც შეძლების დაგვარათ აწვდიან ჩვენს ორგანოებს ცნობებს სხვადასხვა დარგიდან. მხოლოდ მას ჯერ ჯერობით ვერ მიეცა სისტემატიური ხასიათი, რაც აიხსნება ამხანაგის დროის უქონლობით.

პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული დისციპლინა დაცულია, თუმცა და ზოგიერთ ადგილებში ქონდა ადგილი ცალკეთი გაუგებრობას, მარა მას ადრევე მოეღო ბოლო—პარტიულ გამოძიების საშუალებით.

დემოკრატიულ მასაში ჩვენი მუშაობა უმთავრესათ გამოიხატება საერთო კრებების მოწვევაში, სადაც უმთავრესათ მომენტის შესახებ მსჯელობა, აგრეთვე მიქცეულია ყურადღება დამფუძნებელი კრების და დემოკრატიული რესპუბლიკის მნიშვნელობებზე.

პარტიულ კრებებზე დემოკრატიულ მასასაც ვისწრებთ და საერთო ხასიათის მოხსენებას ისინიც ისმენენ. მხოლოდ წმინდა ვიწრო პარტიული კითხვები ირჩევა დახურულ კრებებზე. ამ მუშაობამ ფართე დემოკრატიულ მასაშიც საკმაო შეგნება შეიტანა და ხალხის იდეიურ შეკავშირებას და წესიერების დამყარებას მან დიდათ ხელი შეუწყო. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ დღეს სენაკის მაზრაში ძარცვა გლეჯას, ყაჩაღობას, ქურდობას და ლოთობა-ფუქსავატობას ბოლო მოეღო.

დემოკრატიულ ორგანოებში ჩვენი შეგავლენა ძლიერია. არსებობს სენაკში მუშათა საბჭო, ჯარისკაცთა საბჭო, სოფლებთ გლეხთა საბჭოები. ამ ორგანოებში უმრავლესობა ჩვენები არიან. აღმასრულებელი კომიტეტები, სასურსათო, სადგილ-მამულო კომიტეტები ყოველგან მოწყობილია და მუშაობა მათი რამდენათაც შესაძლებელია არსებულ პირობებში მნიშვნელოვანია. თუ რეალური ნაყოფი ჯერ არ გამოუღია მათი საქმიანობა მაინც არის, ყოველ ორგანოებში ჩვენს ორგანიზაციას ჩაყენებული ყავს პასუხისმგებელი ამხანაგები, რომლებიც უვლიან მინდობილ საქმეს და ატარებენ იქ ჩვენს დირექტივებს. ყოველ პარტიულ კრებაზე კომიტეტისას დემ. ორგანიზაციების პასუხისმგებელ ამხანაგები აძლევენ თავის მოქმედების თუ მუშაობის ანგარიშს. აქ უნდა აღინიშნოს ერთი: თუ ამ ორგანოებში მუშაობა ფერხდება, ეს მხოლოდ გამოუცდელობით. გამოცდილი ამხანაგები ნაკლებათ გვყავს, გამოცდილება უცბათ ძნელი შესათვისებელია. პარტიული კომიტეტი ყოველგან კი ვერ გასწვდა.

მუშათა საკითხში ჩვენმა ორგანიზაციამ შემდეგი გააკეთა: სენაკში მოაწყო პროფესიონალური კავშირი ნოქრებისა, შ. ზღვის რკ. გზ. მუშებისა ცალკე. გატარებულ იქნა ნორმალური სამუშაო დღე, ხელფასი ყველას გადიდებული აქვს, განსაკუთრებით შ. ზღ. რკ. გზის მუშებს. ეს უკანასკნელი მშვიდობიანათ განხორციელდა. მუშებში მოწყობილია შრომის არტელები და ამრიგათ მუშათა საქმე მიმდინარეობს გვარიანათ. უკანასკნელათ მოსკოვიდან მოწოდება მოვიდა გაფიცვის შესახებ. პარტიულ კომიტეტმა მოუწოდა მუშებს და უდროვო ინციდენტი თავიდან ააცდინა მათ.

მიწის საკითხის მოსაგვარებლათ პარტიულ კომიტეტის ხელმძღვანელობით დაარსდა ამ დღეებში თანახმათ მიწათ-მოქმედების მინისტრის ცირკულიარისა სადგილ-მამულო კომიტეტები, ყოველი დავა მიწის დალის გარშემო წყდება მომრიგებელი კამერების საშუალებით. მიწების დატაცებას ადგილი არა ჰქონია ჩვენში. თუმცა და ზოგან კი იყო მდგომარეობა გამწვავებული, მარა იქ პარტიამ მიიღო ენერგიული ზომები და საერთო მოქმედების გეგმის გამომუშავებამდე კითხვა ღიათ დარჩა.

კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებს ჩვენში ადგილი არ ჰქონია. ხალხის შეკავშირებამ მოუსპო ნიადაგი ყოველგვარ ბნელ ძალას.

თუ სადმე იყვნენ ძველი რეაქციონური ძალები, რომელთაც მრავალი ბოროტ მოქმედება მიუძღოდა ხალხის წინაშე, მათ წინააღმდეგ ცოტა ზომები კი იყო მიღებული ადმინისტრატიულ სასჯელის მოხდით და ზოგის მხრიდან გაძევებით.

„კორნილოვშჩინას“ ხალხი დიდის გულისწყრომით შეხვდა. დამფუძნებელ კრების გარშემო ამ დროებით მზადებაა. ყოველ სოფელში გაკეთდება ვრცელი შინაარსის მოხსენება დამფუძნებელ კრების შესახებ. მცხოვრებთა რეგისტრაცია უკვე დაწყებულია. რეგისტრაციებათ ყველგან ჩვენი მოწინავე პარტიულ ამხანაგებია. ხალხის სიმპატია ჩვენ მხარეზეა და არჩევნებში გამარჯვებაც უზრუნველყოფილია.

ფინანსიური მხარე ჩვენი ასეთია: საწევრო გადასახადი შემოდის ყველა ძირითადი ორგანიზაციებიდან, საწევროს გარდა შემოდის შემოწირულებაც, სხვადასხვა სახით მოგროვილი თანხაც, საარჩევნო ფონდიც გროვდება ადგილობრივათ, ზოგიერთ ადგილას წარმოდგენაც კი იმართება პარ. ორგანიზაციების ხელმძღვანელობით საარჩევნო ფონდისათვის. დაწვრილებით ფინანსიურ ანგარიშს ეხლა ვერ ვადგენთ, ვინაიდან ჯერ არაა დაწვრილებით შედგენილი და სარევიზიო კომისიის და კრების მიერ დამტკიცებული.

## ჯარის-კაცთა წერილები.

**პოზიციიდან.** მეტათ დამაღონებელი ცნობები მოდის დასავლეთ, გერმანიის ფრონტიდან. ნუ თუ ის დევგმირი შვილები თავისუფალი რუსეთისა, რევოლიუციონური ჯარი, რომელმაც მთელი ქვეყნიერობის ყურადღება მიიპყრო და პატივის ცემა დაიმსახურა მშრომელ მასაში, დღეს ასე გამორბიან პოზიციიდან, უტოვებენ მტერს რამოდენიმე წლობით გამაგრებულ პოზიციებს, სანგრებს, აუარებელი საზრდო სურსათით. დაუჯერებელია სწორეთ, მაგრამ რას იზამთ, სინამდვილეს უნდა დავემორჩილოთ. მე კიდევ არ დავიჯერებდი გაზეთების ცნობებს, რომ თვით იქ მონაწილე ჯარისკაცთა წერილები არ ამტკიცებდენ ზემო აღნიშნულ ცნობებს. მაგრამ რომ კარგათ დავუკვირდეთ, მიზეზები გამოვნახოთ, მაშინ კი სულ სხვა პირებს ვნახავთ დამნაშავეთა რიგში. დიდი დანაშაულობა მიუძღვით ამ საქმეში თვით უმაღლეს სამხედრო პირებს და არა უბრალო ჯარისკაცებს. აი რას იწერება და გულ-ნატკენი ამბობს ერთი ჯარისკაცი თავის კერძო წერილში: განა რა იმედი უნდა იქონიო ისეთ ჯარში, სადაც დღეს როტები და პოლკები ძველი რეჟიმის მოხელეებით და ჯაშუშ-პროვოკატორებით არის სავსეო. ძველი რეჟიმის მოტრფიალენი დღეს ყოველივე საშუალებას იხმარებენ, რომ ჯარში შეიტანონ არევ-დარევა და მისი თავისუფლება საფრთხეში ჩააგდონ, ნუ თუ შეიძლება იმედის დამყარება ყოფილ პოლიციელ-ჟანდარმებზე; ტყუილათ კი არ მოითხოვდა პოზიციებიდან რევოლიუციონური ჯარი, ყველა იმ ძველი რეჟიმის მოტრფიალე პოლიციელ-ჟანდარმების და ჩინოვნიკების ციმბირში გაძევებას, სადაც ჩვენს საუკეთესო გმირებს ისტუმრებდენ რომ მით თავიდან აეცილებიათ არა სასიამოვნო მოვლენები. საჭიროა ეხლავე შეუდგენ ჯარის გაწმენდას არასასურველ პირებისაგან, რომლებმაც ასეთი არევა დარევა შეიტანეს თავისუფალ ჯარში და მით ჩირქი მოსცხეს თავისუფლებისათვის და სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებს. ეს კი ევალება თვით ჯარისკაცთა კომიტეტებს, ეხლავე უნდა მიაქციონ ყურადღება ამ მოვლენებს. საჭიროა აგრეთვე ჯარში კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის გაძლიერება. ვის უნდა ევალებოდეს დღეს ეს? უპირველესათ, რა თქმა უნდა, ჯარში არსებულ კომიტეტებს. დღემდე, სამწუხაროთ, ამ მხრით ძალიან ცოტა გაკეთდა. საჭიროა მეტი სიფხიზლე.

ჯარისკაცი **ხიმონ მეხუზლა.**

28 სექტ., 1917 წ.
დ. მონასტერი, ტრაპიზონის გუბერნია.

**სოფ. ბუზუასხიდი** (სენაკის მაზრა). სხვებთან ერთათ ეს სოფელიც ჩაება საერთო ბედნიერების ფერხულში. გვაქვს სკოლა, კოოპერატივი და სამკითხველო. თუმცა ყველა ეს გაიხსნა რამოდენიმე პირთა შრომით, მაგრამ დღეს მათ საქმეებში ხალხიც ღებულობს ახლო მონაწილეობას და პატივს სცემს იმ პირთ, რომელნიც თავს არ იზოგავენ კეთილი საქმისათვის. ერთი დიდი ნაკლულევანება აქვს ამ სოფელს, ეს ის, რომ აქ არ არის ორგანიზაციული მუშაობა. ამ საქმეში ბრალ ერილობას იჩენს ადგილობრივი კომიტეტი. საჭიროა ამ მხარეს მეტი ყურადღება მიექცეს.

ჯარისკაცი **ივანე ანტონის ძე ჩიხლაძე.**

## პროვინციის ცხოვრება

**თიანეთი.** ამ ბოლო დროს ქისტების თავდასხმა ძლიერ გახშირდა ადგილობრივ მშვიდობიან მცხოვრებლებზე. გაზაფხულზე და ზაფხულში ფარულად ახდენდენ თავ დასხმას. ამ შემოდგომაზე კი აშკარად ილაშქრებენ და აწიოკებენ თუშებს და ფშავ-ხევსურებს. ვარაუდით გამოანგარიშებულია, რომ წელს გაზაფხულიდან გრომნის ოლქში და თიანეთის მაზრაში მცხოვრებმა ქისტებმა გაიტაცეს თუშებიდან და ფშავ-ხევსურებიდან 2586 სული ცხვარი, 24 ცხენი და 301 ძროხა, ხარი და სხვადასხვა ოთხ-ფეხი საქონელი, რამოდენიმე კაციც მოჰკლეს და სოფლებიც დაარბიეს. ყოველივე ცდა მილიციისა დღემდე უნაყოფო იყო, რაც აიხსნება ერთის მხრით იმით, რომ ადგილ-მდებარეობა, როგორც მთა-გორიან ადგილისა, რამდენადმე ხელსაყრელი იყო ყაჩაღებისთვის, როგორც კარგად მცოდნეთათვის ყოველივე ბილიკებისა თუ კლდე-ღრეებისა, იმდენათ დამაბრკოლებელი იყო მილიციონერებისათვის, რომლებმაც ისე კარგად არ იციან მნიშვნელოვანი ადგილები; მეორე მხრით, დღემდე მილიცია არ იყო ისე შეიარაღებული, როგორც ქისტები, უკანასკნელები გათამამებული იყვნენ და არავის არ ერიდებოდნენ. დაზარალებული მცხოვრებლები სასოწარკვეთილებამდის მიდიოდნენ. ქისტებთან მოსაზღვრე ხევსურები იქმნებ ადგენდნენ და თხოვდენ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს მათ ბარში დასახლებას. ალაპარაკდენ თუშებიც და ფშავ-ხევსურებიც. სამაზრო კომისარიატმა აღმასრულებელ კომიტეტში წინადადება შეიტანა ჯარის გამოწვევაზე, რაც ერთხმად მიღებულ იქმნა და შუამდგომლობაც აღძრა ამის შესახებ სათანადო მთავრობასთან. შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქმნა და გამოიგზავნა ნახევარი როტა ჯარი ორი პრაპორშჩიკის მეთაურობით. 30 სექტემბერს უკვე მოვიდა თიანეთში ჯარი. მოხალისე თუშების თანხლებით ორ ოქტომბერს თიანეთიდან მათ გაჰყვა მაზრის კომისარი გ. მენთეშაშვილი, მილიციის უფროსი ნ. ნადიბაიძე და ამხ. დიმ. გოგიტიძე—ადგილობრივი მილიციის რაზმით. ექსპედიციის მიზანია გადავიდეს ქისტეთში და დაუბრუნოს დაზარალებულებს თავიანთი საქონელი. იმედოვნ ღონისძიება, რომ მომავალში უზრუნველყოფილი იყოს მშვიდობიანი მცხოვრებლები ავაზაკების თავდასხმისაგან. ამინდი ჯერ-ჯერობით კარგია—უნდა ვიფიქროთ, რომ ექსპედიციას უამინდობის გამო ხელი არ შეეშლება. საერთოდ მოქმედება მიზანშეწონილია და ექსპედიციაც, ჩვენის აზრით, მიზანს მიაღწევს. **არგონი.**

**სოფ. საჯილაო.** 1 ოქტომბერს მოხდა საზოგადოების საერთო კრება. დაესწრო დიდი უმრავლესობა ორივე სქესისა. თავმჯდომარის არჩევის შემდეგ კრებამ მოისმინა მოხსენება გლეხთა კავშირის სასურსათო კომისიის, სასკოლო, მიწის დამუშავების დროებით წესრიგზე, ყაჩაღებზე და დეზერტირებზე. მოხსენებები მოწონებული იქნა. შემდეგ კრებამ შეუდგა ამ დღევანდელ პირველ დაწყებით სკოლის გახსნის საკითხის განხორციელება-გადაწყვეტას. როგორც მოგეხსენებათ, ეს ფრიად დიდ მნიშვნელოვანი საზოგადო საქმეს წინეთ აფერხებდა ხალხის მტერი სახიფათო ძველი წესწყობილება, ეხლა კი სკოლისთვის ადგილის არჩევამ საზოგადოებაში კერძო ინტერესები დაბადა. მდგომარეობა გამწვავებული იყო, რომ საქმე სულ არ დაღუპულიყო და ხალხში განხეთქილება არ დარჩენილიყო, ყველა გულის ფანცქალით უცდიდა ამ კითხვის გადაჭრას. ადგილობრივი სოციალ დემოკრატიული ორგანიზაცია როგორც საერთოთ, ისე ამ კითხვაში ყოველ ძალ ღონეს ხმარობდა ხალხში დაბადებული უთანხმოების მოსასპობათ და სკოლის გახსნის დასაჩქარებლათ; მან კუთხური ინტერესები შეუფარდა საზოგადო ინტერესებს და პირნათლათ გამოიტანა ხალხის საკეთილდღეო შური და მტრობის მომსპობი დადგენილება. თავმჯდომარემ მოახსენა კრებას სოც. დემ. ორგანიზაციის აზრი ამ კითხვის შესახებ. კრებამ დაადგინა კამათის შეწყვეტა და ამ დადგენილებისთვის კენჭი ყრა, ერთმა დამსწრეთაგანმა წამოაყენა საწინააღმდეგო წინადადება, კენჭი უყარეს სოც. დემ. ორგანიზაციის შემუშავებულ დადგენილებას, რაც კრებამ ერთხმად მიიღო.

**ხალხის შვილი.**

## ანგარიში

ქალაქის საარჩევნო ფონდის 1917 წ. 1 ოქტომბრამდე.

**შემოსავალი:**

| | | |
|---|---|---|
| 1) | ბანკიდან (ძირითადი ფონდიდან) | 6,000—00 |
| 2) | შემოვიდა I რაიონ. კოლექტ. | 5,745—80 |
| 3) | „ II „ „ | 3,695—55 |
| 4) | „ III „ „ | 2,445—27 |
| 5) | „ IV „ „ | 2,528—05 |
| 6) | „ თანამგრძნობთაგან | 152—61 |
| 7) | „ აბანოების მოსამსახურეთ. | 200—00 |
| 8) | „ ბრენის ქარხნის მუშებისგ. | 100—00 |
| 9) | „ წითელი ჯვრის ს.-დ. ჯგუფ. | 140—00 |
| 10) | „ ბოზარ. ფაბრ. მოსამ. დ მუშ. | 870—41 |
| 11) | „ თფ. ს.-დ. მ. პ. კომ. (ვალით) | 1,000—00 |
| 12) | „ ს. ჯიბლაძისაგან (ვალით) | 1,500—00 |
| | სულ | 24,377—69 |
| | დანაკლისი | 1,243—31 |
| | **სულ** | 25,621—00 |

**გასავალი:**

| | | |
|---|---|---|
| 1) | ძირითადი ვალი ბანკის | 6,000—00 |
| 2) | პროცენტი და დასაგ. (ბანკს) | 606—15 |
| 3) | დახარჯული I რაიონ. კოლექტ. | 195—10 |
| 4) | „ II „ „ | 266—55 |
| 5) | „ III „ „ | 905 85 |
| 6) | „ IV „ „ | 379—00 |
| 7) | სტამბის ხარჯი (გასან-ზადის). | 460—00 |
| 8) | მ. და ს. დეპ. უფ. რეგ. განცხ. | 119—30 |
| 9) | ამხ. მაჭარაძეს სხვა და სხვა ანგარ. | 4,300—00 |
| 10) | დახარჯული ზ. ჩიჩუას მიერ | 1,803—10 |
| 11) | დახარჯული ე. მახვილაძის მიერ | 115—95 |
| 12) | სხვა და სხვა პირების ანგარიშ. | 10,470—00 |
| | სულ | 25 621—00 |
| | გასასტუმრებელი ვალი (თფ. კომ. რ. ს.-დ. მ. პ. ს. ჯიბლაძეს) | 2,500—00 |
| | დანაკლისი | 1,243—31 |
| | სულ დეფიციტი | 3,744—31 |

ცენტრალური საარჩევნო კომიტ. რ. ს.-დ. მ. პ.
მდივანი **ზ. ჩიჩუა.**

ანგარიში სწორია შემოსავალ-გასავლის დოკუმენტებთან.

თფ. კომ. რ. ს.-დ. მ. პ. მდივანი **ივ. ხანაურაძე.**

**ბ ი უ რ ო**

**მეოთხე რაიონულ კოლექტივის რ. ს.-დ. მ. პ.** მოთავსებულია მე 6 სავაჟო გიმნაზიაში (უდელონის ქ. № 3) აქ შეიძლება გამოწერა გაზეთებისა: „ერთობა“, „ბორბა“ და „ფაიქარი“. იყიდება სხვა და სხვა ბროშიურები. ბიურო ღიაა ყოველ-დღე: 4-დან 8 ს-დე.

ჩერქეზიშვილის მოედანზე, ყოფილ სადგარა ჯოში ნემეცების სკვერთან მოთავსებული რ. ს.-დ. მ. პ. მეცხრე უბნის კოლექტივის

**ბიურო და კიოსკი**

სადაც შეიძლება პარტიის წევრათ ჩაწერა, მიიღება ხელის მოწერა გაზეთებზე: „ერთობა“, „ბორბა“ და „ფაიქარი“ იყიდება გაზეთები და წიგნები. ბიურო ღიაა სად. 6—9 საათამდე.

ექიმის თანაშემწე

**ვლ. ი. თავართქილაძე**

ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი და ელექტრიზაცია; ტეხნიკური ქუჩა, № 4

ექიმის თანაშემწე

**ვანო საათაშვილი**

ღებულობს ავადმყოფებს საღ. 4—6 ს.-მდე.—ვენერიულ-სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებობ, ნერვებით აშლილი, სიფილისიანი, ციებიანებს და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ.

მისამართი: ფესანაურის შესახ. № 3, (1-ლი სამილიციო ნაწილი). (24—12)

ე ქ ი მ ი

**დ. ი. ქორდანია**

იღებს ავადმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სპეციალურათ ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—6 საათამდე გარდა სამშაბათისა. გორის ქუჩა № 6 (დიდუბე)

**ექიმი ა. გ. მუხაძე**

იღებს სალოსტაქირო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიციერთა ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სან. ხევანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

**ექიმი კ. ი. გვარჯალაძე**

შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა.

ქვენიფავის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

**ექიმი მ. გ. ვეფხვაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორი ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველდღე 3—5 ნახ. საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზმიხის ქუჩა, № 19.

ე ქ ი მ ი

**დ. ვ. ჯავახიშვილი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე კვირას გარდა, საღ. 5—7 საათამდის, გუნიბის ქ. № 41.